საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (604)
3 - 9 ნოემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



20 **წიგნი, რომელიც ქვეყანას სჭირდება**

# აბსურდის თეატრი



2

**ხალხი «ოცნებას» რომ აღარ უჭერს მხარს, ეს «ოცნების» მოქმედებების, უფრო სწორად, უმოქმედობის ბრალია** 3



8-9 **ნაცების «ლოგიკა» და ქოცების ულოგიკობა**



**ამომრჩევლის ნახევარზე მეტმა «ქართულ ოცნებასაც» უარი უთხრა და «ნაცმოძრაობასაც»** 10-11

გურამ ნიკოლაიშვილი:



**საუბარი იმაზე, რომ თურმე სააკაშვილის გამოშვება-არგამოშვებაზეა დამოკიდებული, შევალთ თუ ვერა ნატოში, სრული აბსურდია** 14



**საქართველოს ნატოში, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნე არ მიიღებენ — დასავლელი ლიდერები სიმართლეს თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ამბობენ** 4



15 **აშშ-ს საქართველო და უკრაინა სჭირდება, როგორც მოედანი ნატოს წინსვლისთვის რუსეთის საზღვრებისკენ**

ნანა კაკაბაძე:



**ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ახლა სისუსტე, კანონის არ ან ვერ აღსრულებაში გამოხატული, დანაშაულის ტოლფასია** 5




**ევროპის გაღატაკება** 16



**ამერიკელმა სენატორმა ქვეყნის მთავარი ინფექციონისტის, ენტონი ფაუჩის, პოსტიდან გათავისუფლება მოითხოვა** 24

**დაუსჯელობის სინდრომი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმის მიხედვით, რა დონეზე შეეცდება ოპოზიცია აქციების გამართვასა და ვითარების დაძაბვას, ახალ-ახალ ჩანაწერებს ვიხილავთ, მაგრამ სასაცილო მდგომარეობაა, როცა ჩანაწერს ავრცელებ, ადამიანს ბრალს სდებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და... არ აპატიმრებ. სწორედ ამიტომ ოპოზიციას ხიბლი გაუჩნდა და ამ ხიბლით ხელისუფლებამ ერთი მუნიციპალიტეტი სრულად წააგო. მერე რა, რომ წალენჯიხა არ არის სხვებივით დიდი, იქ სიტუაციას ოპოზიცია მართავს და, ცენტრალურ ხელისუფლებას თუ არა, შეუძლია, რეგიონს მოუწყოს საბოტაჟი.**

# აბსურდის თეატრი



**რას ნიშნავს, ჩანასახშივე აღკვეთილი დანაშაულის გამო არავის ვიჭერთ ან კიდევ ეს ჩანაწერი მყარი მტკიცებულება არ არის? თუ მტკიცებულება არ არის, მაშინ რატომ მოგვასმენინეთ, ლევიტანივით ხმა აქვს წერედიანს თუ ბავშვებს მოეწონებოდათ მისი ტემბრი? იმას მაინც თუ ხვდებით, რომ ეს მტკიცებულება თუ არ არის, გავრცელებული საუბარი პირად სივრცეში შეჭრა და პირადი ცხოვრების დეტალების გამხელაა...**

**გემახსოვრებათ, რა ამბავი ატეხა ხელისუფლებამ, როცა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში გადაღებული კადრები გაავრცელა. მაშინ ითქვა, რომ ეს ყველაფერი მონტაჟი იყო, რომ მიშა ვერ გაბედავდა ჩამოსვლას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და შსს ყველაფერს აკონტროლებდა, რომ... რომ... რომ... და ამ განცხადებებს აკეთებდნენ მმართველი პარტიის თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, შს სამინისტრო... შემდეგ კი, როცა მთელმა სანზონამ და ნახევარმა ნახალოვკამ გაიგო, რომ მიშა საქართველოში იყო, ჩატარდა სპეცოპერაცია და საქართველოს მესამე პრეზიდენტი დააკავეს. ამის შემდეგ იმავე ადამიანებმა განაცხადეს, რომ ზუსტად იცოდნენ, სად რა ხდებოდა, იცოდნენ, რომ სააკაშვილი საქართველოში იყო, მაგრამ გამოძიებას ხელი არ შეუშალეს.**

ეს არის ტყუილი, რომელიც ხმამაღლა თქვეს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა. სწორედ რომ ტყუილი, რადგან წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ სააკაშვილი მართლა შემოვიდა საქართველოში. შემდეგ გავრცელებული ჩანაწერები მოგვიანებით გადაახვიეს და მოგვიანებით ნახეს. სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ თურმე სუსი უთვალთვალებდა მიშას, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა, რომ ბათუმში ნაძვის უკან მეეზოვის ფორმაში გადაცმული თანამშრომელი იმალებოდა... სისულელეა და აბსურდი. **საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილი შემოეპარა ისევე მარტივად, როგორც შემოდიან და გადიან სხვები. საზოგადოდ, ზღვისპირა სახელმწიფოებს ეს პრობლემა მუდმივად უდგას და ახალი ამბავი არ არის, უბრალოდ, ხმამაღლა ამას არც ერთი ქვეყანა არ აღიარებს, მაგრამ არც ასეთ „მამალ ტყუილს“ ეუბნებიან მოსახლეობას.** კეთილი, დავუშვათ (დავუშვათ-მეთქი), რომ დავიჯერეთ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ყველაფერი იცოდა. რას ელოდა სამი დღის განმავლობაში? ვის შეხვდებოდა მიშა და რა დავალებებს მისცემდა? ესეც მორიგი ტყუილი გამოვა და შევთანხმდეთ, რომ არავინ არაფერი იცოდა. **საზოგადოდ, ამჟამინდელი ხელისუფლების ძალოვანები ძალიან უცნაურად მოქმედებენ. ისინი არასდროს (ვიმეორებთ — არასდროს) სჯიან ოპოზიციის ლიდერებს და, ახლა თუ ვინმე ნიკა მელიას მაგალითს მოიყვანს, სჯობს გაჩუმდეს. ეს არ იყო დასჯა, კრიმინალად ციხეში შეყვანილი მელია გმირად გამოუშვეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. მისი რეალური დაჭერა რომ ნდომებოდათ, მიზეზი არაერთხელ ჰქონდათ და თუნდაც სამაჯურის დაზიანება, რომელიც მან სახალხოდ გააკეთა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. მისცეს სამართალში? არადა მე, თქვენ, სხვას რომ გაეკეთებინა იგივე, რას იზამდნენ?** სწორია — დაგვიჭერდნენ, პასუხისმგებლობასაც დაგვაკისრებდნენ და სამაჯურის ღირებულებას — 1500 ლარსაც „აგვახევდნენ“ მშვიდად. ახლა — გავრცელებულ ჩანაწერებზე:

„სქემა რომ არ გაშიფრულიყო, მაშინ დღეს საქართველოში შეიძლება უფრო დაძაბული პროცესები მიგველო. ეს ეპიზოდიც, სავარაუდოდ, შევა დიდ სქემაში, რასაც ჰქვია ქვეყანაში არეულობისა და დესტაბილიზაციის მოწყობა. ჩვენ წინ გვაქვს საინტერესო ფაქტები, გველოდება საინტერესო პროცესები და ამას გაიგებთ იმის შესაბამისად, რა ინტენსივობითაც გაგრძელდება გამოძიება, რა ინტენსივობითაც მოხერხდება ამ საქმეებში გამავალი პირების გამოკითხვა. საქმე აღძრულია სსკ-ის 315 მუხლის 1 ნაწილით, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას შეთქმულების გზით. მოპოვებული იქნა ინფორმაცია კონკრეტული ჯგუფის განზრახვის შესახებ, რაც ავტომატურად იწვევს გამოძიების დაწყებას. მოქალაქეებს, ვინც შეიძლებოდა, ნებსით თუ უნებლიედ, მომხდარიყო ამ გაუგებრობაში, მივეცით ინფორმაცია განზრახვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ინსტიტუტების ბლოკირებას, დაპატიმრებული ადამიანის ტრანსპორტირებისას ხელის შეშლას და ა.შ. მათ შორის, არ გამოირიცხებოდა სისხლისღვრაც“. ეს განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა **გრიგოლ ლილუაშვილმა** გააკეთა.

**ძალიან მარტივი შეკითხვა გვაქვს — თუ ეს ყველაფერი ასეა, თუ საქმე სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას ეხებოდა, რატომ არ არის დაკავებული ჩანაწერის მთავარი გმირი ბესიკ წერედიანი?! გინდათ, გითხრათ, რატომ? იმიტომ, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეუხებლობის გარანტია აქვს და ძალოვნები კიდევ იმიტომ ვერ აკავებენ, რომ ოპოზიცია ამ ყველაფერს მარტივად შეფუთავს პოლიტიკური ნიშნით, რის შემდეგაც ხმას დასავლეთიც აიმაღლებს და ხელისუფლება სწორედ დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდება. იმას მაინც თუ ხვდებით, ბატონებო, რომ დასავლეთის კაპრიზების შესრულების გამო დანაშაულის თანამონაწილეები ხართ — იცით, დამნაშავე ვინ არის და არ აკავებთ.** ან რა გახდა 9 წლის განმავლობაში ამ დასავლეთთან ან ურთიერთობის მოგვარება, ან იმის ახსნა, რომ მათ რეკომენდაციებს აღარ ვითვალისწინებთ და რამდენიც სურთ, იმდენი აპროტესტონ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასავლეთიდან წამოსასვლელი გრანტები შეფერხდება და სწორედ იმ გრანტების გამოა, დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ომახიანად რომ საუბრობს, **ოპოზიციური პარტიის ლიდერობა პარლამენტარის იმუნიტეტზე მაგრად რომ იცავს და მოსახლეობის უმრავლესობას უსამართლობის განცდა აქვს.** მიმდინარე აბსურდის ახსნას იურისტი, ყოფილი ადვოკატი **მამუკა მდინარაძე** შეეცადა და ძალიან დიდი სისულელე თქვა:

„წინა გამოძიებები რატომ არ მივიდა ბოლომდე? რატომ არ დააკავეს ვიღაც? იმიტომ, რომ ყველა დანაშაული ჩანასახშივე, დაგეგმისთანავე იქნა აღკვეთილი. ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში რომ იყოს, ეს ხალხი უკვე დაჭერილი იქნებოდა. მათთვის ერთი საუბარიც კი საკმარისია, მაგრამ ჩვენი სამართალდამცავი უწყებებისთვის საჭიროა მტკიცებულებების მაღალი სტანდარტი. როდესაც საუბრობენ გეგმაზე, ეს გეგმა სისრულეში თუ არ მოვიდა, შესაძლებელია, მათი დაკავება ვერ მოხერხდეს და არ განხორციელდეს — არშემდგარ დანაშაულზე, რომელზეც ჩანასახშივე შესაბამის უწყებებს შესაბამისი რეაგირება აქვს, შესაძლებელია, დაკავებები არ განხორციელდეს, მაგრამ ძალიან კარგია, რომ უსაფრთხოების სამსახურს დასაწყისშივე ჰქონდა ინფორმაცია და მოხდა შესაბამისი პრევენცია გამჟღავნებით და საზოგადოებისთვის გაცნობით“, — აღნიშნა მდინარაძემ.

ბატონო?! ადამიანთა ჯგუფი ნიღბებითა და იარაღით რომ დააკავოთ, იმას იფიქრებთ, ომობანას სათამაშოდ მიდიან თუ საყაჩაღოდო? და არ დაიჭერთ, რადგან მოსალოდნელი დანაშაული ჩანასახშივე აღკვეთეთ? რამხელა აბსურდში შედიხართ, ხვდებით, ბატონო მამუკა? **რას ნიშნავს, ჩანასახშივე აღკვეთილი დანაშაულის გამო არავის ვიჭერთ ან კიდევ ეს ჩანაწერი მყარი მტკიცებულება არ არის? თუ მტკიცებულება არ არის, მაშინ რატომ მოგვასმენინეთ, ლევიტანივით ხმა აქვს წერედიანს თუ ბავშვებს მოეწონებოდათ მისი ტემბრი? იმას მაინც თუ ხვდებით, რომ ეს მტკიცებულება თუ არ არის, გავრცელებული საუბარი პირად სივრცეში შეჭრა და პირადი ცხოვრების დეტალების გამხელაა...** ჰო, სწორედ რომ პირადი ცხოვრების, რადგან, თუ დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს და დასაკავებლად არ კმარა, ჩემს მეგობრებთან რას განვიხილავ, არავის საქმე არ არის.

**ის თუ იცის უსაფრთხოების სამსახურმა, რომ სწორედ დაუსჯელობის სინდრომის ხიბლით გადადის ბევრი ადამიანი ოპოზიციის მხარეს? მათ ზუსტად იციან, რომ მიეტევებათ ისეთი რამ, რაც არ მიეტევება რიგით კანონმორჩილ ადამიანს, რომელიც აპოლიტიკურია და არ აინტერესებს არც ერთი მხარე. და ამ აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ, უკვე წლებია.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რას აპირებს ხელისუფლება ან რას გულისხმობს ათეულობით ტომებში, რომლებსაც მალე გაგვაცნობენ, მაგრამ სასაცილოა, როცა ათეულობით ტომს აანონსებ და ამ მომენტში საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით ერთი კაცი გყავს დაკავებული და სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბრობ. თუ მიშას მართლაც აკონტროლებდნენ, სად არის, მის მიერ გადაღებული ვიდეოების გარდა, ჩაწერილი თუნდაც ერთი, ფარული მიყურადების ფაილი? რა, ტელეფონზე არ საუბრობდა თუ უთვალთვალებდით და არ იცოდით, მისი ტელეფონი რა ნომერი იყო? სამწუხაროა, რომ ყოველი განცხადების შემდეგ, სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება, ვიდრე პასუხი და საბოლოოდ, პასუხის გამცემთ ან კომპეტენცია არ ჰყოფნით, რეალურად ისაუბრონ ან, უბრალოდ, ინფორმაცია არ აქვთ და ვერც იმას ხვდებიან, რომ ასეთ დროს გაჩუმება გამოსავალია.

უახლოეს დღეებში, **იმის მიხედვით, რა დონეზე შეეცდება ოპოზიცია აქციების გამართვასა და ვითარების დაძაბვას, ახალ-ახალ ჩანაწერებს ვიხილავთ, მაგრამ სასაცილო მდგომარეობაა, როცა ჩანაწერს ავრცელებ, ადამიანს ბრალს სდებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და... არ აპატიმრებ. სწორედ ამიტომ ოპოზიციას ხიბლი გაუჩნდა და ამ ხიბლით ხელისუფლებამ ერთი მუნიციპალიტეტი სრულად წააგო. მერე რა, რომ წალენჯიხა არ არის სხვებივით დიდი, იქ სიტუაციას ოპოზიცია მართავს და, ცენტრალურ ხელისუფლებას თუ არა, შეუძლია, რეგიონს მოუწყოს საბოტაჟი. ახლა, ვისაც იმის იმედი აქვს, რომ ხალხის სიყვარულით ოპოზიციონერი მერი საბოტაჟზე არ წავა, გავატარებთ.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„ირაკლი კობახიძე და სხვები კოლექტიური ბიძინა ივანიშვილები არიან. ჩვენ მათ ყველანაირი შეურაცხყოფა მოვუთმინეთ. ისინი რუსეთის აგენტები არიან და უნდა მოვექცეთ შესაბამისად. პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გამოვათრიო ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ მას სად აქვს თმა?! ირაკლი კობახიძე უნდა გამოვათრიო თმით, იმიტომ, რომ ეს ადამიანი არის მოღალატე“, — განაცხადა პარლამენტის წევრმა ნონა მამულაშვილმა. პრემიერსა და პარტიის თავმჯდომარეს რომ ასე ემუქრებიან, რიგით ადამიანებზე რა გათვლები და დათვლები ექნებათ, ხომ ხვდებით? ჩვეულებრივად, ნადირობის სეზონს გამოაცხადებენ და ინადირებენ კიდეც.**

ხელისუფლება და ოპოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი «ოცნებას» რომ აღარ უჭერს მხარს, ეს «ოცნების» მოქმედებების, უფრო სწორად, უმოქმედობის ბრალია

**„წინ კვირა დღეა. დამარცხებულმა პოლიტიკოსებმა დაისვენეთ, დაიძინეთ და ლოგინში გადატრიალდით. რაც შეეხება „ოცნების“ კანდიდატებს, ყველა გამარჯვებულს ვულოცავ, ვისთვისაც ხმების დათვლა დასრულდა ან ბოლო ეტაპს უახლოვდება. წინ ბევრი საქმეა! იმედების გამართლებას გისურვებთ!“ — 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ეს პოსტი ბევრ რამეზე მეტყველებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაზე კარგად სწორედ ქალბატონმა თეამ იცის ის, რომ ხელისუფლებამ უკვე მერამდენედ გაიარა დანის პირზე (და არა ბეწვის ხიდზე) და ისევ გადარჩა. ოღონდ გადარჩა იმ ხალხის დახმარებით, რომელიც რეალურად არ არის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, მაგრამ ზუსტად იცის, რა უბედურება შეიძლება დატრიალდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ. ის, რომ ნაციონალები სულ უფრო ახლოს არიან გამარჯვებასთან, იქიდანაც ჩანს, რომ მეორე ტურში 20 ქალაქიდან ერთში, წალენჯიხაში, სწორედ მათმა კანდიდატმა გაიმარჯვა და არ გამორიცხოთ, რომ ეს იყოს პირველი რეალური აგური, რომელიც „ოცნებას“ გამოაცალეს და ხელისუფლება შეურყიეს.**



2012 წლით დავიწყოთ, როცა „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა და გამოაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დასრულდა. რეალურად მაშინ ისეთი სიტუაცია იყო, ლამის ყველა ნაცმაღალჩინოსანი საზღვარგარეთ გარბოდა, რადგან ზუსტად იცოდნენ, რა ჰქონდათ ჩადენილი და ისიც იცოდნენ, რომ თვითონ ამას არავის აპატიებდნენ. დასავლელმა პარტნიორებმა კიდევ ერთხელ „განგვანათლეს“, გვასწავლეს სიტყვა „კოაბიტაცია“ და სასიკვდილო აგონიაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ რეანიმაციაში გადაიყვანეს, შემდეგ — პალატაში, ახლა კი... ახლა „ნაცმოძრაობა“ მთავარი ექიმის როლის მორგებასაც ცდილობს. რაღა ცდილობს, აკი წალენჯიხაში გამოუვიდა კიდეც. შემდეგ იყო **ირაკლი ღარიბაშვილის** მუქარა, ნაცებს დავასრულებო, შემდეგ **გიორგი გახარიასი** და მოვედით აქამდე. **დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ იმაზე ძლიერია, ვიდრე მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყო, უბრალოდ, ახლა ძალაუფლება არ აქვს და, როცა ხელში ჩაიგდებს, ეს იქნება კარგად ორგანიზებული, შეცდომებგამოვლილი, ჭკუანასწავლი მონსტრი, რომელსაც ივანიშვილის მილიარდებიც ველარ წააქცევს.** მით უმეტეს, რომ, ახლავე შეიძლება თქმა — ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება ევროპა-ამერიკის მხარდაჭერა, აუცილებლად გამოცხადდება ნადირობა კუდიანებზე და ნახევარი საქართველო შეირაცხება რუსეთის აგენტად. არც მორიგი ომი იქნება უცხო ხილი და, საზოგადოდ, ნაციონალები ისე მყარად დაგვასხდებიან თავზე, როგორც არსად არასდროს მომხდარა.

**„ჩვენ ვნახეთ გვარამიას სიზმრები, ეს ოქმის მონაცემებია, დაელოდონ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს. მგონი, არც მოუწევთ ლოდინი, „ნაცმოძრაობა“ მანამდე დამთავრდება. დღეს დასრულდა საუბარი „ნაცმოძრაობაზე“, სააკაშვილზე, გვარამიაზე და ასე შემდეგ. ხვალიდან თავიდან ბოლომდე იწყება საუბარი იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება თქვენს პარტიას და ტელევიზიებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს გამარჯვება არის მათ შორის, თქვენი გამარჯვებაც. არეულობა და ქაოსი არავის წაადგებოდა ამ ქვეყანაში, თქვენც გჭირდებათ ამ ქვეყანაში წინსვლა და განვითარება, აქედან გამომდინარე, თქვენც გილოცავთ ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას“**, — ეს განცხადება კი **ირაკლი კობახიძემ** გააკეთა და ისიც აცდენილია რეალობას.

განცხადება, რომ 2024 წლამდე დასრულდება „ნაციონალური მოძრაობა“, უკვე სასაცილოდ ისმის. რას აკეთებს ხელისუფლება საამისოდ? დაასახელონ ერთი რამ, რაც ამის საფუძველს იძლევა, მაგრამ ვერაფერს დაასახელებენ იმიტომ, რომ მხოლოდ განცხადებით არაფერი სრულდება. ყველაფერთან ერთად ხელისუფლებას უდიდეს პრობლემად ექცა **მიხეილ სააკაშვილის** ჩასმა ციხეში. ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ წლების წინათ იმჟამინდელმა შს მინისტრმა **გიორგი მღებრიშვილმა** გავრცელებულ ჩანაწერში მართლაც უარი თქვა მიშას ექსტრადირებაზე და უარი თქვა იმიტომ, რომ ხელისუფლებას ერჩივნა, სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით გასამართლებული სააკაშვილი საზღვარგარეთ თავისუფალი ყოფილიყო, ვიდრე საქართველოს ციხეში მჯდარიყო. სოციალურ ქსელში გაკეთებული ჩართვებითა და განცხადებებით შეარყია ერთმა კაცმა სახელმწიფო, რომელსაც სიძლიერეზე აქვს პრეტენზია, მაგრამ...

**თუ ასე გაგრძელდება (და სხვანაირად რატომ უნდა გაგრძელდეს?), საუკეთესო შემთხვევაში, 2024 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“ იძულებული იქნება, კოალიცია შექმნას, ანუ მთავრობა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებით დააკომპლექტოს, ეს მომაკვდინებელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. მომაკვდინებელი იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გამოიწვევს პოლიტიკურ კრიზისს, საბოლოოდ მივალთ ან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე, ან რევოლუციამდე და წავალთ ზუსტად იმ წრეზე, რომელზეც სიარული 1990-იანებში დავიწყეთ და ეს ჯადოსნური წრე ვერაფრით გავარღვიეთ.** არ გეგონოთ, „ქართულ ოცნებას“ ადვოკატად ვუდგებოდეთ. არა, ამ პარტიამ ხელისუფლებაში ყოფნის მესამე ეტაპზეც კი ვერ მოახერხა, რიგითი ადამიანებისთვის შვება მიეცა, ვერ მოახერხა პოლიტიკური პოლარიზაციიდან გასვლა, ვერ მოახერხა, მთავარი თემა პოლიტიკა არ ყოფილიყო და არ ჰყოლოდა ათასობით მშიერი ბავშვი და ასიათასობით მშიერი მოქალაქე. და ეს ხალხმა იცის, იციან იმ მშიერმა ბავშვებმა, მათმა მშობლებმა, ბებია-ბაბუებმა, მაგრამ ჯერჯერობით შიმშილის შიშს სძალავს „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნების შიში, შიში იმისა, რომ ამ ძალის დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლოა, საკვები იყოს, მაგრამ შემჭმელი — არავინ, რადგან ისევ გაივსება ციხეები ან ქუჩაში ჩაცხრილავენ ახალგაზრდებს.

**ნაციონალების დამსახურება არ არის ის, რომ ხალხი «ოცნებას» აღარ უჭერს მხარს, ეს «ოცნების» მოქმედებების, უფრო სწორად, უმოქმედობის შედეგია. 9 წლის განმავლობაში მართლა ვერ გაიგო ვერც ერთმა ლიდერმა, რომ რიგით ადამიანებს ელემენტარულად პურის ფულის პრობლემა აქვთ და ამ ადამიანთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ეს მონაცემები სახელმწიფო შესაბამისი უწყებების ანგარიშში ასახულია. წაიკითხეთ მაინც, ბატონებო, წაიკითხეთ!**

თუ ხელისუფლება იმის იმედად არის, რომ სააკაშვილი 2024 წლამდე ისევე მიავიწყდება ხალხს, როგორც ეს, მაგალითად, **ბაჩანა ახალაიას** ან **ვანო მერაბიშვილის** შემთხვევაში მოხდა, ძალიან ცდება. **ნაციონალები იმდენ ფულს მაინც გამოძებნიან, ასი კაცი დაასაქმონ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და ეს ასი კაცი ყოველდღე მივიდეს რუსთავის ციხესთან, ერთი საათი ხმის ჩახლეჩვამდე იყვიროს და ეს ყველაფერი ტელევიზიებმა გააშუქონ. ჰო, იმ ტელევიზიებმა, რომელთა ჟურნალისტები უკვე ჩამოყალიბდნენ პარტიულ აქტივისტებად და, პარტიული „კოლეგებისგან“ განსხვავებით, მიკროფონითა და ვიდეოკამერით არიან შეიარაღებულნი.**

ოპოზიცია დანებებას რომ არ აპირებს და არეულობა და რევოლუციის მცდელობა, პრაქტიკულად, შეთანხმებული აქვს დასავლეთთან, **ნიკანორ მელიას** ბაგეთაგან უკვე გაისმა. იმავე აზრზე არიან პარლამენტში შესული ნაციონალები, რეგიონებში — პარტიული ლიდერები. არავინ მალავს აგრესიას, არავინ ამბობს, რომ ყველაფერს მშვიდობიანად მოაგვარებს.

**„ირაკლი კობახიძე და სხვები კოლექტიური ბიძინა ივანიშვილები არიან. ჩვენ მათ ყველანაირი შეურაცხყოფა მოვუთმინეთ. ისინი რუსეთის აგენტები არიან და უნდა მოვექცეთ შესაბამისად. პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გამოვათრიო ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ მას სად აქვს თმა?! ირაკლი კობახიძე უნდა გამოვათრიო თმით, იმიტომ, რომ ეს ადამიანი არის მოღალატე“, — განაცხადა პარლამენტის წევრმა ნონა მამულაშვილმა. პრემიერსა და პარტიის თავმჯდომარეს რომ ასე ემუქრებიან, რიგით ადამიანებზე რა გათვლები და დათვლები ექნებათ, ხომ ხვდებით? ჩვეულებრივად, ნადირობის სეზონს გამოაცხადებენ და ინადირებენ კიდეც.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რას აპირებენ ხელისუფლების წარმომადგენლები სამომავლოდ. ახლა კი მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ — **მშვიდად შეირგონ ის, რაც რეალურად მათი კი არა, რიგითი ადამიანების მონაპოვარია და შემდეგ, მომდევნო 3 წლის განმავლობაში, იფიქრონ იმაზე, როგორ დაასრულონ ნაცები. თუ ვერაფერს მოიფიქრებენ, არა უშავს, გამოფენენ პლაკატებს სისხლიანი ხელებით, შეახსენებენ ხალხს, ვინ შეიძლება დაბრუნდეს და, თუ დაბრუნდებიან, ხელსაც ისევ ხალხს შეაწმენდენ, — ჩვენ გითხარით და თქვენ არ დაიჯერეთო. ასეთია მწარე რეალობა და ამ რეალობის შემცვლელი ჯერ არ ჩანს.** საუბარი იმაზე, რომ **ირაკლი ღარიბაშვილი,** შესაძლოა, **ირაკლი ქარსელაძემ** შეცვალოს, არაფრისმომცემია, რადგან რეალურად ვერც ღარიბაშვილი იღებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას და რატომღაც გვგონია, რომ ქარსელაძეც დაახლოებით იმ კალიბრის პრემიერი იქნება, როგორიც **მამუკა ბახტაძე** იყო. გადაწყვეტილების მიღება **ბიძინა ივანიშვილს** შეუძლია, რომელიც ამბობს, პოლიტიკას გავემიჯნეო, მაგრამ ზუსტად იცის, რომ ხელისუფლების ცვლილების პირობებში პირველს სწორედ მას ამოიღებენ სამიზნეში, ამიტომ მან უნდა უთხრას გუნდის ლიდერებს, როგორ მოიქცნენ, რომ მართლა დაასრულონ ნაციონალები, თუმცა ამასთანავე, აუცილებლად უნდა უთხრას ისიც, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ რიგითმა ადამიანებმა შვება იგრძნონ. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: **ნაციონალების დამსახურება არ არის ის, რომ ხალხი „ოცნებას“ აღარ უჭერს მხარს, ეს „ოცნების“ მოქმედებების, უფრო სწორად, უმოქმედობის შედეგია. 9 წლის განმავლობაში მართლა ვერ გაიგო ვერც ერთმა ლიდერმა, რომ რიგით ადამიანებს ელემენტარულად პურის ფულის პრობლემა აქვთ და ამ ადამიანთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ეს მონაცემები სახელმწიფო შესაბამისი უწყებების ანგარიშში ასახულია. წაიკითხეთ მაინც, ბატონებო, წაიკითხეთ!**

**ბესო ბარბაქაძე**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე აღარ ლაპარაკობენ რეფერენდუმად გამოცხადებულ არჩევნებზე, რადგან მწარედ დამარცხდნენ, მაგრამ ჟიუტად ითხოვენ ხელისუფლების გადაბარებას და მერე რა, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამის წინააღმდეგია. ეს არ აინტერესებს არც ევროპას, არც ამერიკას და აგერ, რასმუსენმა გასაგებად თქვა: ნატოზე კარგა ხანს არ იოცნებოთ, ამ ორგანიზაციის წევრი არაერთი ქვეყანა ნატოში თქვენი მიღების წინააღმდეგიაო.**

# საქართველოს ნატოში, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნე არ მიიღებენ — დასავლელი ლიდერები სიმართლეს თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ამბობენ

**გახსოვთ, ალბათ, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ საქართველოსა და უკრაინაზე პირდაპირ რომ თქვა: ამ ორ ქვეყანას ნატოში ყველაზე ცოტა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ მიიღებენ, სავარაუდოდ, არც ნახევარი საუკუნის შემდეგ და დროა, მათ შავი ზღვის კავშირზე იფიქრონო. არადა, მანამდე იგივე სარკოზი ამტკიცებდა, ცოტაც და საქართველოსა და უკრაინისთვის, როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის კარი ფართოდ გაიღებაო. ანუ, როცა ევროპელი ლიდერები ქვეყნის სათავეში არიან, ლაპარაკობენ იმას, რა ვალდებულებაც აქვთ, ხოლო თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ამ ვალდებულებას იხსნიან და ამბობენ სიმართლეს.**



ანდერს ფოგ რასმუსენი და ნიკოლა სარკოზი

**რეალური მიზანი და მიზეზი იმისა, რის გამოც საქართველოს ნატოს გარშემო ატრიალებენ, რუსეთია, ქვეყანა, რომელსაც ნერვები სწორედ საქართველოთი უნდა მოუშალონ და, თუ რომელიმე ხელისუფალი ამაზე უარს იტყვის, ის უნდა წავიდეს; უნდა წავიდეს ნებისმიერ ფასად და მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობს ქართველი ხალხი, მთავარია დიდი ქვეყნების დიდი პოლიტიკური მიზნები. ჩვენ კი ზუსტად ისეთი სტატისტიკა ვართ მათთვის, როგორც კოვიდით გარდაცვლილი საქართველოს 10 ათასზე მეტი მოქალაქე გახდა ოფიციალური უწყებებისთვის, თორემ ეს ათასობით ოჯახისთვის ტრაგედია და მოუშუშებელი ტკივილია**

„მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი შეიძლება ნატოს იმ წევრებმა გამოიყენონ საქართველოს ალიანსში გაწევრების საწინააღმდეგოდ, რომლებიც უკვე სკეპტიკურად არიან განწყობილი. მათ შეუძლიათ, შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები კიდევ ერთ დამატებით არგუმენტად გამოიყენონ იმისთვის, თუ რატომ არ უნდა მიიწვიონ საქართველო ნატოში. ჩემი რჩევა, ცხადია, არის ის, რომ მთავრობამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურება შეძლოს“, — განაცხადა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფოგ რასმუსენმა.**

შეგახსენებთ, რომ რასმუსენი თანამდებობაზე ყოფნისას სხვაგვარად ლაპარაკობდა და იმასაც ამბობდა, ნატოს შემადგენლობაში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც საქართველოს მიღების წინააღმდეგია, მაგრამ ჯერ კონკრეტული ვალდებულებები და რეფორმები გაქვთ შესასრულებელიო. ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ რასმუსენი ნატოს გენერალური მდივანი 2009 წელს გახდა, მაშინ, როცა საქართველო-რუსეთის ომი ერთი წლის დასრულებული იყო. შესაბამისად, ის ხმამაღლა ალაპარაკდა საქართველოს ნატოში მიღებაზე და ისე ჩანდა, რომ საამისოდ ყველაფერს აკეთებდა, თუმცა, საბოლოოდ ამ ყველაფრიდან ზუსტად ის გამოვიდა, რაც ადრე გამოდიოდა — არაფერი. ამ მწარე სიმართლის გარდა, რასმუსენს ისიც წამოსცდა, რას ფიქრობს, საზოგადოდ, ქართველ ხალხსა და ხელისუფლებაზე.

**„მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება საქართველოსთვის ნეგატიურ ელემენტად მიმაჩნია, მაგრამ თავს შევიკავებ ამ საკითხზე დეტალურად საუბრისგან, რადგან არ ვიცი, რა არის მის წინააღმდეგ ბრალდებები და, ამასთანავე, არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა მან ასე მოულოდნელად საქართველოში დაბრუნება. შესაბამისად, ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებ. მაგრამ, როდესაც სიტუაციას გარედან უყურებ, იმედი მაქვს, რომ მას სამართლიანი პროცესი ჩაუტარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მიმართ არა მხოლოდ კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, არამედ საზოგადოდ, ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ახალი კითხვები გაჩნდება“,** — განაცხადა რასმუსენმა.

რასმუსენი არ აღიარებს იმ სასამართლოს, რომელმაც სააკაშვილს განაჩენი უკვე გამოუტანა და ახლა, ახალ ბრალდებას თუ არ გავითვალისწინებთ, რომელიც საზღვრის უკანონო კვეთას ეხება, მიშა მისჯილ სასჯელს იხდის. რასმუსენი გვმოძღვრავს: სამართლიანი სასამართლო უზრუნველყავით, რა მიუსაჯეთ, არ ვიციო. იმავე განცხადებაში ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი იმასაც მოგვიწოდებს, ძალთა გადანაწილება უზრუნველყავით როგორც პოლიტიკაში, ისე სხვა მიმართულებითო. ანუ, კოალიციური მთავრობაზე მიგვანიშნებს.

შევთანხმდეთ, რომ საქართველოში კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება როგორც ქუჩის აქციები, ისე მასობრივი უკმაყოფილება თუნდაც სოციალური მდგომარეობის გამო. ის, რომ ჩვენს ქვეყანას, მაგალითად, ეკონომიკური კუთხით უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერი ეშველება, ყველაზე კარგად სწორედ ევროპელმა პარტნიორებმა იციან და არ აქვს მნიშვნელობა, ეკონომიკის რამდენპროცენტიან ზრდაზე ვილაპარაკებთ — რეალობა არის ის, რომ ეკონომიკური ზრდა მოსახლეობაზე არ აისახება და ხალხს ფული, უბრალოდ, არ აქვს. ჰოდა, რასმუსენმა გასაგებად თქვა, სანამ პოლიტიკურად არ დალაგდებით, არაფერი გეშველებათო და იქვე რეცეპტი შემოგვთავაზა — კოალიციური ხელისუფლება და მთელ პოლიტიკურ სპექტრზე გადანაწილებული ძალები. სავარაუდოდ, მან არ იცის, რომ საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული პარტიის ყველა ლიდერს პარლამენტარის სტატუსი რომ მივანიჭოთ, 150-ადგილიან პარლამენტში ადგილი არ გვეყოფა, რადგან პარტია 150-ზე მეტია. ამას პარტიების ლიდერები რომ დავამატოთ და ამ ადამიანებით დავაკომპლექტოთ მინისტრთა კაბინეტი, მაინც არ იქნება საკმარისი... 250-ზე მეტი პარტიაა საქართველოში რეგისტრირებული და, სულ ცოტა, 250 ადამიანს აქვს ამბიცია, რომ შეუძლია, ქვეყანა მართოს. საქართველოში ყველა მეფედ რომ იბადება და ტახტი კიდევ ერთი რომ არის, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა საკმარისზე მეტი ტახტიც რომ გვქონდეს, მაინც არ გვეყოფა. რამდენიმე დღის წინათ დასრულებული არჩევნები ავიღოთ. **დასავლეთი მიზეზს ვერ პოულობს, რომ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დააყენოს, მაგრამ იმასაც არ ამბობს, ყველაფერი რიგზე იყოო, რადგან ასეთ შემთხვევაში, ოპოზიციის აქციები აზრს კარგავს. არადა, ოპოზიციური ლიდერების განცხადებებში დასავლეთიდან დაიმედება აშკარად გამოსჭვივის.**

„აღინიშნებოდა შეურაცხმყოფელი და უარყოფითი რიტორიკის გამწვავება, რომელიც პირველი ტურისთვისაც დამახასიათებელი იყო. მეორე ტურის დროს ეს გამოიხატა დიდი ზომის პარტიების მოწოდებით ერთმანეთის დამთავრებასთან დაკავშირებით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანია ორიენტირებული იყო საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებზე და კოალიციური პოლიტიკის შექმნაზე, ხოლო „ქართული ოცნების“ კამპანია, პირველ ტურთან შედარებით, ძირითადად, უფრო მეტ ეროვნულობაზე“, — განაცხადა ეუთო-ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა **ალბერტ იონსონმა. ჰო, რასმუსენის არ იყოს, იონსონს მოსწონს კოალიციური მთავრობის იდეა და არ მოსწონს „მეტი ეროვნულობა“. ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რის გამოც დასავლეთი ნებისმიერი ხერხით მზად არის, შეცვალოს დღევანდელი ხელისუფლება და არ აქვს მნიშვნელობა, ამას რა გზით მოახერხებს. 9 წლის განმავლობაში დასავლეთმა ვერ შეძლო და მორიგი შეიარაღებული კონფლიქტი ვერ დააწყებინა საქართველოს ხელისუფლებას და იმასაც მიხვდა, რომ, თუ დროზე არ მოიფიქრებს რამეს, შესაძლოა ყური, საერთოდ, აღარ ათხოვონ.**

ხვალ და ზეგ, ოპოზიცია აუცილებლად გამოვა ქუჩაში და მათ აუცილებლად ექნებათ დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა, ამერიკელი კონგრესმენები ლამის ერთ ხმაში ამბობენ, რომ **სააკაშვილი** ციხის საავადმყოფოს ნაცვლად ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანონ და, ვითომ არ იციან და ვერ ხვდებიან, რომ ეს პროვოკაციის სერიოზული საფუძველი იქნება. **ახლაც, დაანონსებული თუ გამოცხადებული რევოლუციის პირობებში, სააკაშვილის გადაყვანა ისეთ დაწესებულებაში, რომელსაც არ ექნება მავთულხლართი და რამდენიმე დამცავი ბარიერი, წააქეზებს ოპოზიციას და ისინი პარლამენტამდე შტურმს სწორედ სამედიცინო დაწესებულებაზე მიიტანენ; მიიტანენ აგრესიულად, ისე, რომ ხელისუფლება ვალდებული იქნება, ძალა გამოიყენოს; შემდეგ კი დასავლეთი ღიად ალაპარაკდება იმაზე, რომ ძალა იყო არაპროპორციული, რომ ხელისუფლებამ გადაამეტა, რომ გადასახედია ყველაფერი და გაზაფხულზე დასანიშნია რიგგარეშე არჩევნები.** ეს ხელისუფლების გადაბარების ოფიციალური გაფორმება იქნება, რადგან საამისოდ ორი მიზეზია: ერთი — ამომრჩევლის განწყობა და მეორე — მმართველი პარტიის გადაღლილი მხარდამჭერები, რომლებიც ბოლო რამდენიმე წელია, არჩევნებზე ერთადერთი მიზნით დადიან — ხელისუფლებაში არ დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა“. ჰოდა, ამ **ხალხსაც ყელში ამოუვიდა უკვე ამდენი მიტევება, ამდენი გათვალისწინება ვიღაცეების თუ რაღაცეების. გვერწმუნეთ, რიგითი ქართველისთვის ვიღაცაა შარლ მიშელი, რომელმაც კონსტიტუცია თავზე გადაგვახია და ზღვარიც კი დაგვიწესა, რომლის ვერგადალახვის შემთხვევაში, ისევ კონსტიტუციის გვერდის ავლით, რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავდა. ჰო, კონსტიტუციის გვერდის ავლით, რადგან არ შეიძლება ვიღაც ევროპელის მიერ ფურცელზე ჩამოწერილი პირობის შეუსრულებლობა რიგგარეშე არჩევნების საბაბი გახდეს.** რადგან ამ თემაზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ ოპოზიციამ აღნიშნული თემა მთლიანად მიაჩუმათა. **უკვე აღარ ლაპარაკობენ რეფერენდუმად გამოცხადებულ არჩევნებზე, რადგან მწარედ დამარცხდნენ, მაგრამ ჟიუტად ითხოვენ ხელისუფლების გადაბარებას და მერე რა, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამის წინააღმდეგია. ეს არ აინტერესებს არც ევროპას, არც ამერიკას და აგერ, რასმუსენმა გასაგებად თქვა: ნატოზე კარგა ხანს არ იოცნებოთ, ამ ორგანიზაციის წევრი არაერთი ქვეყანა ნატოში თქვენი მიღების წინააღმდეგიაო.** ჰო, ისიც ვთქვათ, რომ ნატოს წევრი ისლანდია ერთადერთი სახელმწიფოა ამ ორგანიზაციაში, რომელსაც არ ჰყავს რეგულალური არმია, ანუ ამ პრეცედენტის დაშვებაც შეიძლება სურვილის შემთხვევაში და, საერთოდ, არაა საჭირო, 75 მილიონი „ჯაველინებში“ გადავიხადოთ და სხვადასხვა მისიაში ქართველი ახალგაზრდები ტყვიებს მივუშვიროთ. **რეალური მიზანი და მიზეზი იმისა, რომლის გამოც საქართველოს ნატოს გარშემო ატრიალებენ, რუსეთი გახლავთ, ქვეყანა, რომელსაც ნერვები სწორედ საქართველოთი უნდა მოუშალონ და, თუ რომელიმე ხელისუფალი ამაზე უარს იტყვის, ის უნდა წავიდეს; უნდა წავიდეს ნებისმიერ ფასად და მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობს ქართველი ხალხი, მთავარია დიდი ქვეყნების დიდი პოლიტიკური მიზნები. ჩვენ კი ზუსტად ისეთი სტატისტიკა ვართ მათთვის, როგორც კოვიდით გარდაცვლილი საქართველოს 10 ათასზე მეტი მოქალაქე გახდა ოფიციალური უწყებებისთვის, თორემ ეს ათასობით ოჯახისთვის ტრაგედია და მოუშუშებელი ტკივილია.**

**ბესო ბარბაქაძე**

„ნაცმოძრაობა“ არის ძალა, რომელსაც თავისი პოლიტიკური მომავალი მშვიდ, სამართლიან, დემოკრატიულ პოლიტიკურ ვითარებაში, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, წარმოუდგენია მხოლოდ არეულობის, დაპირისპირების, შუღლისა და სისხლისღვრის პირობებში. აი, ამის პროვოცირებას ცდილობენ და ამიტომ ამბობენ, ხელისუფლებამ სხვა გზა არ დაგვიტოვა რევოლუციის გარდაო. სხვა გზა თვითონ არ დაუტოვეს საზოგადოებას, როცა 2012 წელს გაკეთდა პრინციპული არჩევანი და გამოუტანეს განაჩენი, რომ დანაშაულებრივი პარტია ერთხელ და სამუდამოდ უნდა წასულიყო პოლიტიკურ მოუსავლეთში“.

მოვლენების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ახლა სისუსტე, კანონის არ ან ვერ აღსრულებაში გამოხატული, დანაშაულის ტოლფასია

**რევოლუცია, შფოთი და გადატრიალება „ნაცმოძრაობის“ გენერალური გეგმა რომ არის, სულ უფრო აშკარაა. ნაცპარტიის ლიდერები პროცესების ქუჩაში გადატანას გეგმავენ. ტყუილებით, დეზინფორმაციითა და აპოკალიფსური სურათის დახატვით ისინი მოსახლეობაში საპროტესტო მუხტის კიდევ უფრო გაღვივებას ცდილობენ. „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, საზოგადოებას შეუქმნას ილუზია, რომ თურმე ხელისუფლებამ სხვა გზა, გარდა რევოლუციისა, არ დაუტოვა. სხვათა შორის, წალენჯიხის ოპოზიციონერმა კანდიდატმა, რომელმაც არჩევნები მოიგო, ამ დღეებში მედიასთან პირდაპირ განაცხადა, რომ წალენჯიხა ერთხელ უკვე იყო გამარჯვებისა და ცვლილებების მომტანი ქვეყანაში. ცხადია, მან 2003 წელი იგულისხმა, როცა სააკაშვილი სწორედ წალენჯიხიდან დაძრული კოლონით ჩავიდა თბილისში და ხელისუფლების დამხობის სპექტაკლი წარმატებით გაითამაშა... მართალია, დღეს სააკაშვილი ციხეშია და ვერანაირ კოლონას სათავეში ვერ ჩაუდგება, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაცების ბელადს ელექტორატის დარაზმვაში საპყრობილის სქელი კედლებიც ვერ უშლის ხელს. „ნაცმოძრაობის“ ეგზალტირებული მხარდამჭერები მზად არიან, პატიმრის წერილობით მოწოდებაზეც გამოვიდნენ აქციაზე, თავისუფლების მოედანი გაავსონ და ხელისუფლებას ძალა აჩვენონ. ძალის დემონსტრაციას, ანუ დედაქალაქის ცენტრალური მოედნის შევსებას უკვე მეორედ სააკაშვილის პოლიტიკური სექტა 6 ნოემბერს შეეცდება. ნიკანორ მელია აცხადებს, რომ ამჯერად, სულ ცოტა, ორჯერ მეტნი უნდა გამოვიდნენ, კარვები გაშალონ და სახლებში აღარ წავიდნენ, რათა ქვეყანაში „მშვიდობიანი რევოლუცია“ მოხდეს... გამოუვათ თუ არა ნაციონალებს 18 წლის შემდეგ კიდევ ერთი რევოლუცია და იქნება თუ არა მზად ხელისუფლება, აღკვეთოს მოსალოდნელი დესტრუქცია — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი, უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**«ნაციონალების გეგმების განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა აირევა, ყველაფერი თავდაყირა დადგება და დაიწყება ტოტალური ტერორი. ეს შეეხება როგორც პოლიტიკურ სპექტრს, ისე საზოგადოებასაც, იმიტომ, რომ თუ მათ რაღაც ძალა იგრძნეს, რეპრესიებს დაიწყებენ არა მხოლოდ ოპონენტების მიმართ, არამედ მათდამი უარყოფითად განწყობილი რიგითი მოქალაქეების მიმართაც. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, ესენი უკვე პირდაპირ სიტყვიერ და ფიზიკურ აგრესიაზე გადადიან იმ ადამიანებზე, რომლებიც სადმე რამე ფორმით ახსენებენ რეჟიმის დანაშაულებს»**

**— ქალბატონო ნანა, არჩევნებში დამარცხებულმა „ნაცმოძრაობამ“ „მშვიდობიანი“ რევოლუცია დააანონსა. ისინი უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ 6 ოქტომბერს გამოვლენ და აღარ დაიშლებიან. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— უწინარესად, ხაზს გავუსვამ იმას, რომ არჩევნები ჩატარდა მაღალ დონეზე. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ასეთი გამჭვირვალე არჩევნები არათუ საქართველოში, ჩვენზე გაცილებით მაღალი დემოკრატიული სტანდარტების მქონე ქვეყნებშიც კი შეიძლება არ ტარდება. რაც შეეხება ნაციონალებსა და მათ განცხადებებს, რომ 30 ოქტომბერს თურმე არჩევნები კი არა, ქართული დემოკრატიის ჩამოქცევა და დასამარება იყო, ეს მათი ჩვეული სტილია. რა თქმა უნდა, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ასე ილაპარაკებდნენ და იტყოდნენ, რომ, აბა, ახლა ყველანი ქუჩაში გამოვიდეთ, ხელისუფლებამ ხმები გაგვიყალბაო. **„ნაცმოძრაობა“ არის ძალა, რომელსაც თავისი პოლიტიკური მომავალი მშვიდ, სამართლიან, დემოკრატიულ პოლიტიკურ ვითარებაში, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, წარმოუდგენია მხოლოდ არეულობის, დაპირისპირების, შუღლისა და სისხლისღვრის პირობებში. აი, ამის პროვოცირებას ცდილობენ და ამიტომ ამბობენ, ხელისუფლებამ სხვა გზა არ დაგვიტოვა რევოლუციის გარდაო. სხვა გზა თვითონ არ დაუტოვეს საზოგადოებას, როცა 2012 წელს გაკეთდა პრინციპული არჩევანი და გამოუტანეს განაჩენი, რომ დანაშაულებრივი პარტია ერთხელ და სამუდამოდ უნდა წასულიყო პოლიტიკურ მოუსავლეთში.**

**— რევოლუციის საფრთხე არსებობს? მოახერხებენ ისინი თუნდაც მხარდამჭერების მობილიზებას დიდი მასშტაბით?**

— ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური თვითშეგნება საკმარისად მაღალია იმისთვის, რომ ერთსა და იმავე სატყუარაზე ორჯერ არ წამოეგოს. რევოლუციის სპექტაკლი ჩვენ უკვე ვნახეთ 2003-ში, როცა კეთდებოდა განცხადებები ქვეყნის აღმშენებლობაზე და მერე აღმოჩნდა, რომ დემოკრატიის სახელით ძალაუფლება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კრიმინალებმა ჩაიგდეს ხელში...

**— თუმცა საზოგადოების პოლიტიკური მეხსიერებაც საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა. ამის დასტურია ის, რომ რეჟიმის შეცვლიდან 9 წლის თავზე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, უბრალოდ, არ ახსოვს, რა ხდებოდა სააკაშვილის პერიოდში. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბევრი ხმა მიიღო.**

— ვერ ვიტყოდი, რომ საზოგადოების მეხსიერება მოკლეა, უბრალოდ, აქ ერთი მომენტია: **როდესაც წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებ იმისთვის, რომ სისტემური დანაშაული არათუ ამხილო და გაასამართლო, არამედ გააცოცხლო და პოლიტიკური პროცესების ავანგარდს დაუბრუნო, ეს საზოგადოებაში დიდ უნდობლობას იწვევს. მერე ეს უნდობლობა გადაიზრდება ხოლმე უიმედობაში, ნიჰილიზმში და უკვე ვიღებთ კონკრეტული ფორმებით გამოხატულ მზარდ უკმაყოფილებას. აი, ეს არის ზუსტად ის, რაც იდეალურ გარემოს ქმნის დესტრუქციული ძალებისთვის და, ბუნებრივია, ისინი აცნობიერებენ ამ შესაძლებლობას.** რაც შეეხება ისევ რევოლუციის საფრთხეს, საზოგადოების უდიდეს ნაწილს, მათ შორის „ნაცმოძრაობის“ გულმხურვალე მხარდამჭერებსაც, რა თქმა უნდა, არ სურთ ქვეყნის არევა. მე ვგულისხმობ რიგით მოქალაქეებს. არ შეიძლება, ეს ნორმალურ ადამიანს უნდოდეს, იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, რა მოსდევს დაპირისპირებას, შუღლს, ძმათამკვლელ ომს და ა.შ., ამიტომ მჯერა, რომ ესენი ვერ შეძლებენ ადამიანების აყოლიებას მათთვის სასურველ სცენარში. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება მოახერხონ, იქნება ის, რომ გამოიყვანენ რამდენიმე ათას ადამიანს, დადგებიან და იყვირებენ.

**— ვთქვათ, მოახერხეს დიდი რაოდენობით ხალხის გამოყვანა და დაიწყეს კონკრეტული დესტრუქციული მოქმედებები... როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— **ნაციონალების გეგმების განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა აირევა, ყველაფერი თავდაყირა დადგება და დაიწყება ტოტალური ტერორი. ეს შეეხება როგორც პოლიტიკურ სპექტრს, ისე საზოგადოებასაც, იმიტომ, რომ თუ მათ რაღაც ძალა იგრძნეს, რეპრესიულ ქმედებებს დაიწყებენ არა მხოლოდ ოპონენტების მიმართ, არამედ მათდამი უარყოფითად განწყობილი რიგითი მოქალაქეების მიმართაც. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, ესენი უკვე პირდაპირ სიტყვიერ და ფიზიკურ აგრესიაზე გადადიან იმ ადამიანებზე, რომლებიც სადმე რამე ფორმით ახსენებენ რეჟიმის დანაშაულებს.** მათი მიდგომა არის ის, რომ თვით ნაწამებმა ადამიანებმაც კი არ უნდა ილაპარაკონ. ილაპარაკებ და უკვე „დემოკრატიის მტერი“ ხარ, „რუსეთის აგენტი“ და ჩასაქოლი. ახლა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხები: **რევოლუციურ საფრთხეებზე საუბრისას ჩემთვის მნიშვნელოვანია არა ის, რას აპირებს სააკაშვილის პოლიტიკური სექტა, არამედ ხელისუფლება რას გააკეთებს...**

**— და, თქვენი აზრით, რას გააკეთებს, არის კი ხელისუფლება მზად ნაცების დანაშაულებრივი გეგმის აღსაკვეთად?**

— ვფიქრობ, ხელისუფლებამ მთელი ამ წლების განმავლობაში გააცნობიერა ერთი რამ: ქართველი ხალხის ნებაა ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის სათავეში ვერ მოდის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მეორე მხრივ, **აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხი ყოველთვის ვერ იქნება ბარიერი, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს ამ დესტრუქციული ძალის ბოროტი ზრახვებისგან. ამის ბარიერი უნდა იყოს კანონი, სამართალი და სახელმწიფო. აი, ახლა უკვე ყველაფერი დამოკიდებულია სახელმწიფოზე და იმაზე, როგორ იმოქმედებს ის მოცემულ შემთხვევაში. ვნახოთ, მელიასა და მისნაირ დამნაშავეებს ისევ ხვეწნას დაუწყებენ, შემოდით პარლამენტშიო, თუ იმოქმედებენ კანონით და ნებისმიერ დესტრუქციულ ქმედებაზე მოახდენენ მყისიერ სამართლებრივ რეაგირებას.** რაც შეეხება სააკაშვილსა და მის პატიმრობას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვიხატავს, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **სააკაშვილი, უკვე დიდი ხანია, არანაირ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს, მან მაშინ დაკარგა ყველანაირი დატვირთვა და მნიშვნელობა, როცა ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა და შემდეგ ქვეყნიდან გაქცეულმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე.** აი, ეს არის რეალობა და იმ ადამიანებს, რომლებსაც სჯერათ, რომ მიშა მხსნელია, ვუსურვებდი, მალე აეხილოთ თვალი, ვუსურვებდი, ბრმა იარაღად არ გამოსდგომოდნენ **მელიას, უგულავას, ბოკერიას** და სხვა არანაკლებ მძიმე დამნაშავეებს, რომლებიც წლების განმავლობაში ადამიანების გამაუბედურებელ, სასტიკ დანაშაულებრივ სისტემას ქმნიდნენ...

**— გარე ძალების ფაქტორზეც შეგეკითხებით: მართალია, დასავლეთი მთლიანობაში დადებითად აფასებს არჩევნებს, მაგრამ არის ცალკეული მომენტებიც, რომლებიც, შესაძლოა, კითხვებს აჩენდეს... იგივე ეუთო-ოდირის შეფასებებში, ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებშიც ნათქვამია, რომ თურმე ხელისუფლების მხრიდან იყო დარღვევები, იყო ზემოქმედება მათ შორის ჟურნალისტებზე, ოპოზიციის წარმომადგენლებზე და ა.შ. ხომ არ ფიქრობთ, რომ გარკვეული გავლენიანი დასავლური ძალები დესტრუქციული ოპოზიციის ღია მხარდამჭერი შეიძლება აღმოჩნდნენ მომავალში?**

— ცხადია, ის დასავლური ჯგუფები, რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ გარკვეული ანგარიშები აქვთ, პირდაპირ ვიტყვი, ფინანსური დაინტერესება და არა მხოლოდ, ბოლომდე იქნებიან მათი მხარდამჭერები. ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ვერანაირი გარე ძალების მხარდაჭერა სააკაშვილის დანაშაულებრივი გუნდისადმი ვერ იქნება იმის გამართლება, რომ ხელისუფლებამ ამ შემთხვევაშიც სისუსტე გამოიჩინოს. **ხალხი ამას არა დაუშვებს და არც უნდა დაუშვას, იმიტომ, რომ სისუსტე, კანონის არ ან ვერ აღსრულებაში გამოხატული, ახლა დანაშაულის ტოლფასია. ზუსტად ასეთი დანაშაულის ტოლფასი სისუსტის შედეგია ის, რაც დღეს ხდება, ამიტომ ხელისუფლება ამას კარგად უნდა ხვდებოდეს.** რაც შეეხება ისევ დაანონსებულ „მშვიდობიან რევოლუციას“ და მისგან გამომდინარე არსებულ საფრთხეებს, საფრთხე იარსებებს ყოველთვის, სანამ არსებობს „ნაცმოძრაობა“, ამიტომ **მოცემულობა მარტივია — ან გაგვყავს ამ სისხლიანი კრიმინალების ხროვა პოლიტიკური სპექტრიდან და ყველას ვუშვებთ იქ, სადაც მათი ადგილია, ცხადია, დანაშაულების შესაბამისი სასჯელის ხანგრძლივობით, ან ვეგუებით შექმნილ რეალობას. შფოთთან და მუდმივი რევოლუციის საფრთხესთან შეგუება არავის უნდა, ამიტომ გამოსავალი ერთადერთია. დარწმუნებული ვარ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებას ეყოფა ძალაც, გამძლეობაც და მოქალაქეობრივი თვითშეგნებაც, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას ამ ყველაფერს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქა ისტორიული სოფელი იყო. აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე იმპერიები მას გურჯოს უწოდებდნენ, ჩრდილოეთით მოსაზღვრე იმპერია გრუზოთი მოიხსენიებდა, ხოლო სადღაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მდებარე იმპერიაში ჯორჯო შეარქვეს. მოკლედ, ცხოვრობდა ხალხი ამ ოთხსახელიან სოფელში თავიანთი სოფლური ყოფითა და წვრილმანი პრობლემებით. განსაკუთრებით და გამორჩევით არაფერი აწუხებდათ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ერთი უცხო და უცნაური არსება გამოჩნდებოდა, რომელიც ადამიანისა და მაიმუნის ნაჯვარს ჰგავდა.**



# შა

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ოცდამეთვრამეტე გამოშვება



**საქა ისტორიული სოფელი იყო. აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე იმპერიები მას გურჯოს უწოდებდნენ, ჩრდილოეთით მოსაზღვრე იმპერია გრუზოთი მოიხსენიებდა, ხოლო სადღაც, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მდებარე იმპერიაში ჯორჯო შეარქვეს. მოკლედ, ცხოვრობდა ხალხი ამ ოთხსახელიან სოფელში თავიანთი სოფლური ყოფითა და წვრილმანი პრობლემებით. განსაკუთრებით და გამორჩევით არაფერი აწუხებდათ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ერთი უცხო და უცნაური არსება გამოჩნდებოდა, რომელიც ადამიანისა და მაიმუნის ნაჯვარს ჰგავდა. ზორბა და ახმახი იყო, უსაშველოდ გრძელ მკლავებსა და ფეხებს სიარულისას ისე აქნევდა, თითქოს კიდურების ნაცვლად სხეულზე მსუბუქი მუთაქები აქვს მიბმული, რომლებსაც ქარი უფრიალებსო. ბრაზობდა თუ უხაროდა, ზედა ოთხი კბილი მუდმივად უჩანდა, ემოციებს კი, ორივე შემთხვევაში, ბავშვური, მაგრამ მეტისმეტად უსიამოვნო ჭყლოპინით გამოხატავდა. როგორც გაირკვა, სახელიც უცნაური ჰქონდა — შა.**

— მე აქ დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ მერე სწავლა-განათლების მისაღებად დიდ ქვეყნებში ვიყავი წასული, ახლა ისევ დავბრუნდი და თქვენთან ერთად უნდა ვიცხოვრო, — გამოუცხადა შამ სოფლის ბოლოს წყაროსთან შეკრებილ ხალხს.

— კი ბატონო, იცხოვრე, ვინ გიშლის, — მშვიდად შეხვდა ხალხი ამ უცნაურ არსებას, თუმცა ვერავინ გაიხსენა, ვინ იყო ან ვის ოჯახშია დაბადებული და გაზრდილი.

**თავდაპირველად განსაკუთრებული ეფექტი არავისზე მოუხდენია, ამიტომ იგი მხოლოდ იმ გაუგებრობად ჩათვალეს, რომელზეც ყურადღების გამახვილება არ ღირდა და მალე მიივიწყეს კიდეც. ერთ მშვენიერ დღეს კი მასთან ერთად ზომით მასზე პატარა, მაგრამ მისი მსგავსი ათიოდე არსება რომ იხილეს, შეცბნენ.**

— ჩვენ აქაური, დამყაყებული წესები უნდა შევცვალოთ, დემოკრატია უნდა დავამყაროთ და ახლებურად ცხოვრება უნდა გასწავლოთ, — ამცნეს მათ სოფელს, — ხომ გინდათ?

— ჩვენ ჩვენი წესებით ცხოვრება გვსურს, თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართ?! — მიუგო მათ უმრავლესობამ, მაგრამ მაშინვე გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ერთხმად იყვირეს:

— გვინდა დემოკრატია, გვინდა ახალი ცხოვრება!

სოფლის უმრავლესობამ იმ რამდენიმეს მაშინ კი ჩააკმენდინა ხმა, მაგრამ, უცნაურმა არსებებმა ადამიანების მოსყიდვა და გადმობირება დაიწყეს.

**ისინი თანდათან მრავლდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. სოფლის მცხოვრებთა იმ ნაწილიდან, რომლებიც სოფლის თავკაცების შიშით ღია მხარდაჭერას ვერ ბედავდნენ, ბევრი მათთან ჩუმად მიდიოდა და თანამშრომლობას იწყებდა. უტიფარი და აგრესიულები იყვნენ, თანასოფლელებისგან წინააღმდეგობას როდესაც აწყდებოდნენ, დემოკრატიის სახელით ძალადობაზე გადადიოდნენ. სოფლის უმრავლესობა მათი წინააღმდეგი იყო, მაგრამ თავხედობისა და ორგანიზებული ძალის წინაშე იძულებული ხდებოდნენ, უკან დაეხიათ.** შას მიმდევრები სოფლის საერთო ცხოვრებით არ ცხოვრობდნენ, არ მუშაობდნენ, ეკლესიაში არ დადიოდნენ და მღვდლებს ბნელეთის მოციქულებად აცხადებდნენ. მხოლოდ რევოლუციის მზადებით იყვნენ დაკავებულნი, რასაც არც მალავდნენ. ხალხს უკვირდა, თუ საიდან ჰქონდათ ფული, რომლის ხარჯვაშიც ხელგაშლილები იყვნენ. ჭორი დაირხა, ვიღაც ზემდიდარი კაცი აფინანსებს, რომელიც ჩვენი სოფლიდან ყოფილა წასული, ახლა კი მეზობელ იმპერიაში ცხოვრობსო.

მერე, როდესაც უფრო მოღონიერდნენ და შეიარაღდნენ კიდეც, სოფლის მამასახლისის კანცელარია შტურმით აიღეს, შა მამასახლისად დააყენეს და მართვის სადავეები მთლიანად მას გადასცეს. შეშფოდნენ სოფლელები, მაგრამ გვიანღა იყო. შა, იმის მიუხედავად, რომ ზედა ოთხი კბილი ყოველთვის უჩანდა, ძველებურად აღარ იცინოდა. მან მოსვლის დღიდანვე დაიწყო სოფლის იმ მოსახლეობის დაპატიმრება, რომელიც ახალი წესებით ცხოვრების მოწინააღმდეგე იყო. **შეშინდა ბევრი და თავის გადარჩენა შას განდიდებითა და მის მიმართ უზომო ლიქვნის გამოვლენით სცადა. ასეთ შემთხვევებში მოლბებოდა ცოტათი და მუდამ გადმოყრილი ზედა ოთხი კბილით ხალხზე დადებითი გავლენის მოხდენას ცდილობდა. უცნაურ და უგუნურ ადამიანებს რა დალევს ქვეყანაზე, ზოგიერთმა შეიყვარა კიდეც ეს უფორმო ახმახი, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, ხალხზე ზრუნვაში ათენ-აღამებდა. მხარდამჭერები როცა მოიმრავლა, რომლებსაც წინამძღოლებად ტანით მასზე პატარა, მაგრამ ფორმით მისი მსგავსი არსებები დაუნიშნა, მის მიერ მოფიქრებული მმართველობის წესები აამოქმედა. სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ხომ დაპატიმრებული ჰყავდა, რომლებსაც სულში აფურთხებდა, აუპატიურებდა, აწამებდა და მისი მსგავსი არსებების პირით მუდმივად ემუქრებოდა, — სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო! — მეორე ნახევარს ღალა დააკისრა. ახალგაზრდა ქალები მძევლებად აიყვანა და, მისგან მოწონებულები, მორიგეობით მიჰყავდათ კანცელარიაში, სადაც გაუთავებელ ორგიებს მართავდა. სოფელში ვინმე მდიდარი თუ იყო, ქონება ჩამოართვა; ღარიბები უფრო გაალატაკა და, საბოლოოდ, მთელი სოფელი ისე გაამწარა, როგორც ისტორიულ მაოხართ გაუმწარებიათ საუკუნეთა განმავლობაში.**

ჩადენილი ახალი დანაშაულის შესახებ როდესაც მოახსენებდნენ, ტუჩებს აწკლაპუნებდა და ბნედიანივით იმეორებდა.

**— ციხეში, ყველანი ციხეში!**

სადმე ბუნტისა და ჯანყის სუნს თუ იკრავდა, ყვირილს მორთავდა:

**— ადგილზე მოკალით, მოსპეთ, გაანადგურეთ, მე მაგ ხალხისთვის ტყვიები არ მენანება!**

ადამიანის მოკვლა არად მიაჩნდათ, უმთავრეს ამოცანად რეჟიმის გაძლიერება იყო გამოცხადებული.

მერე იმ იმპერიის სიახლოვეს, სოფელ საქას გრუზოს რომ უწოდებდა, საკუთარი სოფლის ერთ-ერთ უბანს, ურჩობის გამო ომი გამოუცხადა. ჩრდილოეთის იმპერიამ ომში გახვეული უბნის მოსახლეობა დაიცვა და, საბოლოო ჯამში, ეს ვითარება მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენა. შა ორ დღეში სასტიკად დაამარცხა და მის მიერ დარბეული უბანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

**საქას გამწარებულმა მოსახლეობამ ამბოხი მოაწყო და შას თავიდან მოცილება გადაწყვიტა. მან მომხრეებისგან შედგენილი სპეციალური დანიშნულების რაზმი გამოიყვანა, რომელსაც სათავეში ტანით მასზე პატარა, მაგრამ ფორმით მისი მსგავსი არსებები ჩაუყენა და აჯანყებულები სისხლში აბანავა.**

**შამ საბოლოოდ დააშინა და დაიმონა ხალხი.**

ეს ამბავი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, სოფელში ჩია ტანის მეორე უცხო კაცი რომ არ გამოჩენილიყო. ის კაციც საქას მკვიდრი აღმოჩნდა, რომელიც შასავით ადრე წასულიყო დიდ იმპერიაში, იქ უზარმაზარი ფული ეშოვა და ახლა მშობლიურ სოფელში საცხოვრებლად დაბრუნებულიყო. ეს სწორედ ის კაცი იყო, საქაში ეჭვი რომ დადიოდა, შას დამფინანსებელი და წამქეზებელიაო.

**— მე გაგათავისუფლებთ შასგან, — ჰპირდებოდა ეს კაცი სოფელს, მაგრამ შორს დაიჭირა ხალხმა. — მენდეთ, — ეუბნებოდა იგი ხალხს, — მე თუ ამირჩევთ, ისეთ დემოკრატიას ავაშენებ, ევროპაც კი გაოცდება. იაფი ფული, იაფი ცხოვრება, სხვა რაღა გინდათ, ოცნებებს აგიხდენთ, ოცნებებს...**

— შას ვერავინ მოერევა, — უმწეოდ ასავსავებდა ხალხი ხელებს, მაგრამ გატყდნენ ბოლოს, ან როგორ არ უნდა გამტყდარიყვნენ ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც აქაური სახელი — ივანე ერქვა და ისეთი გულღია ღიმილი ჰქონდა, თითქოს ირგვლივ სიყვარულსა და სიკეთეს აფრქვევსო.

აირჩია ხალხმა წინამძღოლად ივანე.

გამოაგდო ივანემ სოფლის კანცელარიიდან შა, მაგრამ არ დააპატიმრა. გადაიხვეწა შა საზღვარგარეთ და გაუთავებლად დაძრწოდა უცხო ქვეყნებში. ძალაუფლება და სისხლი სწყუროდა უსაზღვროდ, მაგრამ სხვაგან ვინ მისცემდა ძალაუფლებას, საქაზე ფიქრობდა დღედაღამ. რას არ ფიქრობდა და რას არ იგონებდა ივანეს გასანადგურებლად, მაგრამ ვერ უხერხებდა ვერაფერს, დიდი ფულის პატრონი იყო ივანე და ძალიან დიდი გავლენაც ჰქონდა უდიდეს და უძლიერეს იმპერიებში. ძლიერი და მრავარიცხოვანი დაცვაც ჰყავდა. მოიფიქრა ბოლოს ასეთი ხერხი შამ: საკუთარ ხალხს ბრძოლისთვის თავი დაანებებინა და ივანესთვის ერთგულების ფიცი მიაცემინა. არ იყო ადვილად მოსატყუებელი კაცი ივანე, მაგრამ მომხრე-მოწინააღმდეგეებად გახლეჩილი სოფლის გამთლიანება ეწადა გულით, რადგან ორ კატეგორიას ვერ იტანდა ბავშვობიდანვე — მოწინააღმდეგეებსა და მოწილეებს. მხურვალედ სურდა, მისი ერთგული ყოფილიყო მთელი სოფელი. იფიქრა, მივცემ ამ ხალხს ბოროტებისგან თავის დაღწევისა და დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალებას და არ მიღალატებენო. დაიყენა ისინი გვერდით, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სიკეთეზე სიკეთით ეპასუხა, ისარგებლა შას ხალხმა ივანეს რბილი ხასიათითა და მიმტევებლობით. დაიწყეს ▶

**ადიდებულ მდინარესავით მოედინება ხალხი, შა მოუძღვის, შა მართავს, შა ასულდგმულებს ამ მღვრიე ტალღას. სხეულზე მიბმული მუთაქებივით უთავბოლოდ მოაქნევს უაზროდ გრძელსა და მსუქან კიდურებს, ოთხი კბილი გადმოუგდია, ქშინავს და ახლო-ახლოს ჩამჯდარ თვალებს ავად აელვებს. გამარჯვებაში ეჭვიც აღარ ეპარება. იმათზე ეცინება, დიდ იმპერიებში დარჩენას ვინც ურჩევდა**

**ადამიანისა და მაიმუნის ნაჯვარს ჰგავდა. ზორბა და ახმახი იყო, უსაშველოდ გრძელ მკლავებსა და ფეხებს სიარულისას ისე აქნევდა, თითქოს კიდურების ნაცვლად სხეულზე მსუბუქი მუთაქები აქვს მიბმული, რომლებსაც ქარი უფრიალებსო. ბრაზობდა თუ უხაროდა, ზედა ოთხი კბილი მუდმივად უჩანდა, ემოციებს კი, ორივე შემთხვევაში, ბავშვური, მაგრამ მეტისმეტად უსიამოვნო ჭყლოპინით გამოხატავდა. როგორც გაირკვა, სახელიც უცნაური ჰქონდა — შა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ივანესთვის ძირის გამოთხრა, პარალელურად კი — ფულის კეთება და კერძო სასახლეების მშენებლობა. დარჩნენ საქაში მცხოვრებნი მშივრები და მოტყუებულნი.

მოახლოვდა ახალი არჩევნები.

ხალხმა იფიქრა, ივანე უნდა გადავირჩიოთო.

— მაგას დიდი ფული აქვს, ვერ მოვერევით, — ეჭვი გამოთქვა უმრავლესობამ.

— მაგას მარტო შა მოერევა, — შემოაგდეს შას ემისრებმა ხალხში იდეა.

— მართალია, — აიტაცა ხალხმა იდეა.

— შა გვიშველის!

— შა გადაგვარჩენს! — ისმოდა ყველა მხრიდან.

— რას შვებით, ხალხო, თავს იღუპავთ? — გაოცდა ივანე, — მწამებლისა და სისხლის მსმელის მობრუნება გინდათ?!

— არ გვინდა, არ გვინდა! — გამოიდო თავი ერთმა ნაწილმა.

— გვინდა, გვინდა! — იყვირა მეორე ნაწილმა, — ოღონდ შენ მოგვცილდი შენი ტყუილი დაპირებებით და ხელისუფლებაში თუნდაც შა მოვიდეს, — ჯიუტობდნენ ისინი.

— სად არის სამუშაო ადგილები?!

— სად არის გაიაფებული ცხოვრება?!

— სად არის ოცნებების ასრულება?! — აყრიდნენ შეკითხვებს ყველა მხრიდან.

მოვიდა არჩევნების დღეც.

**დაიძრა ივანეს ხალხი ორგანიზებულად საარჩევნო ოლქისკენ. ისე ჩანდა, თითქოს მთელი სოფელი ერთად მოდიოდა. გაუნელებელი სიხარულით აღევსო ივანეს გული, როგორც იქნა, გაერთიანდა ხალხი მის ირგვლივ. ამიერიდან უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა, შეურაცხყოფის მიყენებას ვერავინ აკადრებდა. ერთიან, დიდ ბიზნესად აქცევდა საქას, სადაც ყველაფერს თვითონ გააკონტროლებდა. მარიხუანას პლანტაციები რა სახსენებელია, აკრძალული, მაგრამ ყველაზე მომგებიანი ბიზნესები აყვავდება საქაში. იმდენი კაპიტალი დაგროვდება, რომ ცოტა ხანში მსოფლიოს წამყვანი ოლიგარქები და მილიარდერები მოწიწებით დახრიან თავს მის წინაშე. გაახსენდა ვიღაცათა ნათქვამი, — საქა პატარაა, იქ სუპერბიზნესს ვერ აამუშავებო. დიდ იმპერიებში საქმიანობას ურჩევდნენ, მაგრამ...**

— გენიალური გადაწყვეტილება მივიღე, გენიალური, — ფიქრობდა და ხარობდა გამარჯვებაში უკვე დარწმუნებული ივანე. სიტყვას „გენიალური“ ისე წარმოთქვამდა, რომ მახვილს „ე“ ხმოვანზე სვამდა და რაღაცნაირად, არაქართულად გამოსდიოდა, — გეეენიალური, გეეენიალური... თუმცა, ეს რა ხდება, ეს რა უბედურებაა?! ივანეს რომ ეგონა, მთელი სოფელი ჩემთვის ხმის მოსაცემად დაიძრაო, თურმე ცდებოდა. ეს მხოლოდ ნახევარი სოფელი ყოფილა. აგერ, მეორე ნახევარი დაიძრა სხვა მხრიდან, შას მომხრენი არიან, შას დროშებს მოაფრიალებენ და „შა მაგარიაო“, გაჰყვირიან. — ბიჭოს, ეს რაა? — გულმა რეჩხი უყო ივანეს, — თვითონ შა მოუძღვის ხალხს, შა ჩამოსულა, ბიჭოს! როგორ გაბედა, როგორ გაბედა? — უკვირს, — ვანანებ, ციხეში ჩავალპობ!

**ივანე მძიმედ წამოდგა. ჩამქრალი მზერა ირგვლივ მიმოატარა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ერთბაშად იგრძნო, რომ ძალა ეცლებოდა. ხალხს გაკვირვებული მზერა შეავლო. ახლა, როდესაც სასტიკ ორთაბრძოლაში მოსისხლე მტერი გაანადგურა, ახლა, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოგებულია, იმის ნაცვლად, რომ ენერგიის მოზღვავება ეგრძნო, ძალაგამოცლილი იდგა შას უსიცოცხლო სხეულთან. უცებ ისიც იგრძნო, რომ ძალასთან ერთად ბრძოლის, ლიდერობის, ბიზნესპროექტების განხორციელების სურვილიც გაუქრა. უცნაური შეკითხვა აეკვიატა: ნუთუ შა მმატებდა ენერგიას და მის გარეშე აღარაფერს წარმოვადგენ?! სასოწარკვეთილი მიაჩერდა ხალხს, რომელიც ემოციებს აფრქვევდა, ყვიროდა და გუგუნებდა**



**ადიდებულ მდინარესავით მოედინება ხალხი, შა მოუძღვის, შა მართავს, შა ასულდგმულებს ამ მღვრიე ტალღას. სხეულზე მიბმული მუთაქებივით უთავბოლოდ მოაქნევს უაზროდ გრძელსა და მსუქან კიდურებს, ოთხი კბილი გადმოუგდია, ქშინავს და ახლოახლოს ჩამჯდარ თვალებს ავად აელვებს. გამარჯვებაში ეჭვიც აღარ ეპარება. იმათზე ეცინება, დიდ იმპერიებში დარჩენას ვინც ურჩევდა.**

— გენიალური გადაწყვეტილება მივიღე, გენიალური, — ხმამაღლა ფიქრობს. დარწმუნებულია, რომ მთლად დასავლეთის ან ჩრდილოეთის იმპერიად თუ ვერა, შედარებით პატარა იმპერიად მაინც აქცევს მშობლიურ საქას: „ერთი ბალისტიკური რაკეტა რომ ჩამაგდებინა ხელში, ნამდვილ იმპერატორად გადავიქცევი, დასავლეთისა და ჩრდილოეთის იმპერიებს რომ ჰყავთ, ისეთ იმპერატორად. მერე რა, თუ პატარაა საქა, ერთი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტაც კი მას მოწინავე იმპერიათა რიგში ჩააყენებს. იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვის ხელშია ბირთვული იარაღის მართვის პულტი. ის წითელი ღილაკი რომ მომცა თუნდაც ერთი დღით, თუნდაც ერთი საათით, ვნახავდი, ვინ გახდებოდა მსოფლიოს მბრძანებელი...“

**ორი მხრიდან მიადგა ერთმანეთს ორად გაყოფილი სოფელი. საარჩევნო ოლქთან მისული ორივე მხარე გრძნობს, რომ ეს აღარ არის არჩევნები. ეს უკვე ომია, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ერთმანეთის მეზობლები, მეგობრები და მოყვრები ავი თვალებით ზომავენ ერთმანეთს და ერთმანეთის სისხლის საღვრელად ემზადებიან.**

ივანემ თავის მომხრეებს მიმართა:

— სმენა იყოს!

ხალხი ორივე მხარეს გაისუსა.

— შა, — მიმართა მან მთავარ მოწინააღმდეგეს, — შენ მოარული ბოროტება ხარ და ხალხისთვის დიდი უბედურება მოგაქვს!

— შენ მოღალატე და ჩრდილოეთის იმპერიის ემისარი ხარ! — ოთხი კბილიდან ტყვიასავით ესროლა პასუხი შამ.

— მადროვე, მადროვე, — შეაჩერა ივანემ. — რაღაც თუ არ ვიღონეთ, დღეს აქ დიდი სისხლი დაიღვრება, საქა დაიღუპება. მე ორთაბრძოლას გთავაზობ. მე და შენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებათ ერთმანეთს და, რომელიც ცოცხალი დარჩება, გამარჯვებულიც ის იქნება. თანახმა ხარ?

შას მომხრეებმა სიცილ-ხარხარი დაიწყეს.

— შენ მიწვევ ორთაბრძოლაში? — შა ისეთი გაკვირვებული იყო, რომ ოთხის ნაცვლად ექვსი კბილი გამოუჩნდა.

— დიახ, დიახ, მე გიწვევ. რა გაგიკვირდა?

— რომ გადაგყლაპო, ლიპზეც არ შემეტყობი, — თქვა და ცხენივით აჭიხვინდა. იცინოდა, მისი ჭკუით.

— იარაღის არჩევაც შენთვის დამითმია, — დაამცირა ივანემ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა თვალწინ.

— ხალხმა გადაწყვიტოს! — მიუგდო შამ.

ორივე მხარეს თათბირი გაიმართა და ორივე მხარემ გადაწყვიტა, რომ მასობრივ სისხლისღვრას ლიდერთა ორთაბრძოლა სჯობს. მართალია, ერთ-ერთი დაიღუპება, მაგრამ დამარცხებული მხარე გამარჯვებულ ლიდერს თავის ლიდერადაც აღიარებს და სოფელი დაწყნარდება.

ბრძოლის იარაღზეც შეთანხმდნენ — ქართული ორლესული.

მედიატორი, მსაჯი, არბიტრი, ასეთი რამე საჭირო არ იყო, ვინაიდან აქ არ არსებობდა რამე წესი, რომლის დაცვაც მებრძოლებს მოეთხოვებოდათ. აქ მხოლოდ ერთი წესი არსებობდა — ვინ ვის? ხოლო როგორ და რანაირად, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მნიშვნელობა მხოლოდ შედეგს ჰქონდა, რომელიც სადღაც, ბრძოლის რომელიღაც ეტაპზე, აუცილებლად დადგებოდა.

მებრძოლებს ხელში ქართული ორლესული ხანჯლები მიაჩეჩეს და სხვადასხვა მხრიდან წრეში შეაგდეს...

აქ დასრულდა ყოველგვარი წესის მოქმედება, დარჩა მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის წესი.

**შამ წვეტიანი იარაღი ხელში ჩაბღუჯა და ტანკივით დაიძრა მოწინააღმდეგისკენ. მას თმენის უნარი არ ჰქონდა, სულწასული იყო და იმავე წამს უნდოდა, გამარჯვება ეზეიმა. ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ახმახი ტანისთვის შეუფერებელი ისეთი გრძელი კამარა შეჰკრა, რომ ივანეს ლამის თავზე დაახტა. ერთი მოქნევა და მოწინააღმდეგეს გულს გაუპობდა, მაგრამ სწორედ იმ წამს, როდესაც ივანე ბასრი სატევარით უნდა განგმირულიყო, მან კატასავით ისკუპა, თვალის დახამხამებაში ახმახს ფეხებშუა გაუძვრა და ზურგიდან მოექცა. შას მიერ მოქნეულმა ფოლადმა ჰაერში გაიელვა. ამაოდ მოქნეული იარაღი ხელიდან რომ არ გავარდნოდა, ზედმეტად წაიხარა წინ, თავი ველარ შეიკავა და მიწაზე გაიშხლართა**, მაგრამ ორლესული შეინარჩუნა. ივანემ ერთხელ კიდევ ისკუპა მიწაზე გაშხლართული გოლიათისთვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად, მაგრამ იგი სწრაფად ამოტრიალდა და კამარაშეკრულ ივანეს გრძელი ორლესული ჰაერში დაახვედრა. ცოტაც და ივანე მუცლით დაეშვებოდა მის წინაშე საბედისწეროდ აღმართულ წვერწამახულ ფოლადზე. ჩახედა ივანემ სიკვდილს თვალებში, მაგრამ სულ ბოლო წამს, როცა ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, შეფართხალდა ჰაერშივე, იცვალა მიმართულება ოდნავ, აირიდა სატევარი, მაგრამ მარცხენა მკლავი, იდაყვს ზემოთ, ისე ჩამოახია ორივე პირით ბასრ რკინაზე, რომ შადრევანივით იფეთქა სისხლმა. არც გაუგია ივანეს, რომ დაიჭრა. მკერდზე დაახტა გოლიათს და წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი მაჯაზე ამოჰკრა. გააგდებინა იარაღი და გულზე გადააჯდა. ზედ მარცხენა მკერდზე დაადო ორლესულის წვერი. ქშინავდა და დორბლი სდიოდა ახმახს, არაქათი აღარ ჰქონდა, სიკვდილი ეჯდა მკერდზე ივანეს სახით.

— მაპატიე, — ამოიხრიალა, — მაპატიე, ნუ მომკლავ...

**— მე მოგიყვანე ხელისუფლებაში, მამასახლისად გაქციე, გაფინანსებდი, გარანტად გედექი. რატომ მიღალატე?**

**— მაპატიე, — სახეზე სიმწრის ოფლი ასკდებოდა და უზარმაზარი სხეული ციებიანივით უცახცახებდა, — მე რომ მომკლა, ამით შენს თავსაც გამოუტან განაჩენს, ამიტომაც უნდა მაპატიო, — უმატა ცახცახს.**

— მე და შენ კიდევ დიდხანს შეგვეძლო ერთად გვემართა ჩვენი სოფელი, მაგრამ შენ ყველაფერი მოინდომე და ამით ყველაფერი გააფუჭე. იმდენად გააფუჭე, რომ პატიების შესაძლებლობაც აღარ დამიტოვე. ამ ვითარებაში პატიებაც საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი გამოვა. ასე, რომ...

ივანემ წამით მაღლა შემართა ბასრი ორლესული და მთელი ძალით დაუშვა შას მკერდზე.

— ააააააჰ! — ერთხმად ამოიგმინა ხალხმა.

შამ უკანასკნელად ამოიქშინა და თვალები გაუშტერდა.

**ივანე მძიმედ წამოდგა. ჩამქრალი მზერა ირგვლივ მიმოატარა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ერთბაშად იგრძნო, რომ ძალა ეცლებოდა. ხალხს გაკვირვებული მზერა შეავლო. ახლა, როდესაც სასტიკ ორთაბრძოლაში მოსისხლე მტერი გაანადგურა; ახლა, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოგებულია, იმის ნაცვლად, რომ ენერგიის მოზღვავება ეგრძნო, ძალაგამოცლილი იდგა შას უსიცოცხლო სხეულთან. უცებ ისიც იგრძნო, რომ ძალასთან ერთად ბრძოლის, ლიდერობის, ბიზნესპროექტების განხორციელების სურვილიც გაუქრა. უცნაური შეკითხვა აეკვიატა: ნუთუ შა მმატებდა ენერგიას და მის გარეშე აღარაფერს წარმოვადგენ?!**

**სასოწარკვეთილი მიაჩერდა ხალხს, რომელიც ემოციებს აფრქვევდა, ყვიროდა და გუგუნებდა.**

— მხსნელს გაუმარჯოს!

— ივანეს გაუმარჯოს!

წამიერად თითქოს გაიხარა კიდეც, სული გაუნათა იმის შეგრძნებამ, რომ ხალხი მთლიანად მის გვერდით იდგა და მას მიჰყვებოდა, მაგრამ სისხლისგან დაწრეტილს, სიტყვის ამოსათქმელად ძალა აღარ ეყო, დაბარბაცდა, წელში მოიხარა და ჯერ კიდევ თბილ ცხედარზე ისე რბილად დაეშვა, თითქოს სპილოს ლეშს ბუზი დააფრინდაო.

ამ დროს სოფლის ეკლესიის ზარმა ჩამოჰკრა.

— წავიდეთ, ვილოცოთ! — ხმამაღლა დაიძახა ვიღაცამ.

შეტრიალდა გაერთიანებული ხალხი ეკლესიისკენ. წუთის წინ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულნი, პირჯვრის წერით, უხმოდ მიაბიჯებდნენ ერთმანეთის მხარდამხარ.

ეკლესიის ზარის გუგუნი თანდათან ძლიერდებოდა და ახლოვდებოდა...

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაცების ლოგიკა გასაგებია: ბოროტების ლოგიკაა იგი: თქვენ იმიტომ გაწიოკებთ, გაშინებთ, სამსახურიდან მიგერეკებით, ციხეში გაწამებთ, რომ გვინდა, უკეთესი გახდეთ, ჩამორჩენილი, ბნელი ქართველობა დაივიწყოთ და ევრო-ამერიკელებად გაქციოთო. აი, ამათი ლოგიკის არსი და ფასი, მარტივი და გასაგები, ქოცების ულოგიკობას კი ახსნა არ აქვს.**

# ნაცების «ლოგიკა» და ქოცების ულოგიკობა

**არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, რა თქმა უნდა, და ახლაც უნდა გავიმეორო: საქართველოში არსებულ ე.წ. პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის არც ერთი პოლიტიკური პარტია არ არის. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ამ გაერთიანებებსა თუ ჯგუფებს მხოლოდ მათი ორგანიზატორები უწოდებენ პოლიტიკურ პარტიებს და მათი მოკლე ჭკუით საამისოდ შესაბამის, თანაც „მომხიბვლელ“ სიმბოლურ სახელებსაც არქმევენ: „გირჩი“, „რკო“, „ლელო“, „მდელო“, „ევროპული საქართველო“, „ძალიან ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ა.შ.**



**როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, საჯაროდ განაცხადა, — ქართველებს მენტალიტეტი უნდა შევუცვალოო. ქვეყანამ დუმილით რომ უპასუხა, ამან საშინლად აღმაშფოთა, ნუთუ ქართველობა ისე დაჩმორდა, რომ ამ მუქარას (დაპირებას კი არა, მუქარას!) ასე მშვიდად ხვდება-მეთქი. კიდევ კარგი, მალე მივხვდი, რომ უმრავლესობამ არ იცოდა, რა იყო მენტალიტეტი, სახლის სახურავი ან გზაზე დაგებული ასფალტი ეგონა, ალბათ. ამიტომ იყო, რომ ისე დაიწყეს ნაცებმა ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების ნგრევა, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ვინც წინ აღუდგა, ცნობილი პატრიოტი მეცნიერის — გურამ შარაძესავით, ხალხის დასანახად ქუჩაში მოკლეს**

რამდენი ასეთი პარტიაა საქართველოში, აღრიცხვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. არც მიკვირს, რადგან მახსოვს ცხონებული **მიხაკო წერეთლის** დაკვირვება: სამი ქართველი უსათუოდ ოთხ პარტიას ქმნისო: სამს თავიანთთვის, მეოთხეს კი იმიტომ, რომ სამივე იქ შევიდესო. 1924 წელს საფრანგეთში გამოცემულ წიგნში უწერია ეს. 1918-1921 წლებში იმდენი პოლიტიკური პარტია შეიქმნა ჩვენში, რომ ამას იტყოდა მიხაკო წერეთელი, აბა, რას იზამდა?!

პოლიტიკურ პარტიას, როგორც ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პრაქტიკაც გვასწავლის, აუცილებლად უნდა ჰქონდეს **ოთხი ნიშანი: საკუთარი იდეოლოგია, მიზანი, საღღეისო და პერსპექტიული ამოცანები და საზოგადოებრივ-სოციალური ბაზა.** აბა, ერთი მითხრას ვინმემ, ამ ნიშანთაგან რომელი აქვს დღევანდელ თუ გუშინდელ ე.წ. პოლიტიკურ პარტიას? ისინი ერთი რომელიმე, ასე თუ ისე, ავტორიტეტული ლიდერის გარშემო ერთიანდებიან და მანამ არსებობენ, სანამ ის ლიდერი ფიზიკურად არსებობს ან არ გაფარჩაკდება. ასე არ მოუვიდა აგერ გუშინდელ მმართველ „პარტიას“ — „მოქალაქეთა კავშირს“? დაკარგა ხელისუფლება, დაკარგა ლიდერი და ისე გაქრა, როგორც წყალში ჩაყრილი მარილი. დღესაც ჩვენ თვალწინ არ გაიხსნა პოლიტიკურ ნიაღვარში რამდენიმე „რიხიანი“ ე.წ. პარტია, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში ერთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს? ასეთი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიების კი არა, ბანდის პრინციპით არიან გაერთიანებულები და როგორც კი ბანდის მეთაური ფიზიკურად ან მორალურად ამოყირავდება, ბანდაც იშლება.

ვერავინ დაასახელებს ისეთ იდეოლოგიას, რომელსაც რომელიმე „პოლიტპარტიის“ საქმიანობა, მიზნები და ამოცანები ეფუძნება. ის თუ იდეოლოგია ჰგონია ვინმეს, რომ დაგვიჩემებია, ჩვენ ვართ ევროპელები და ევროპულ ოჯახში უნდა ვიცხოვროთ და „მამაო ჩვენოსავით“ იმეორებენ „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“-ო, ეს, იდეოლოგია კი არა, წმინდა წყლის სისულელეა. ქართველი ვარო, რომ იტყვი, ამას ისე სჭირდება „მაშასადამე“, როგორც ინდაურს — კურტანი.

სხვა რა „იდეოლოგია“ შეიძლება დაასახელოს ვინმემ? **დღენიადაგ იმის ჩიჩინი, რომ „ის“ ქვეყანა ოკუპანტი და მტერია, „ეს“ კი — ისტორიული და სტრატეგიული მეგობარი, იდეოლოგია რომ არ არის, მგონი, რომან გოცირიძემ და ვიღაც სამნიძემაც კი იციან, რომ აღარაფერი ვთქვა თაკო ჩარკვიანსა და მამუკა მდინარაძეზე.** იქნებ რაიმე ორიგინალური, ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები აქვთ? აპა! ჩვენი მიზანი ევროატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრებაა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებითო, შეშინებული თუ თვალნაცემი ბავშვივით რომ იმეორებენ გაუთავებლად, ეს არის მიზანი? ასეც რომ იყოს, თუ ყველას ერთი სტრატეგიული სასიცოცხლო ეროვნული მიზანი აქვს, რას იქაჩებიან აქეთ-იქით კრილოვის გედის, ქარიყლაპიასა და კიბორჩხალასავით? **თქვე დედ-მამაგანათლებულებო (პოლიტპარტიებს მივმართავ), რომელიმე ორგანიზაციაში, თუნდაც საერთაშორისოში, შესვლა შეიძლება ქვეყნის მართვაზე პრეტენზიის მქონე პარტიების სტრატეგიული მიზანი იყოს? იმ ორგანიზაციის წევრობა, რომელშიც შედიან და გამოდიან, როდემდე იარსებებს, არც არავინ იცის და არც არავის აინტერესებს, და ვინც იქ შესვლა ეროვნულ მიზნად უნდა გადააქციოს, იმ „პოლიტიკურ პარტიას“ ან მის მხარდამჭერებს ჭკუა თუ მოეკითხებათ, ნეტავი?**

ასე თუ ისე, დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური რეალობა არის ის, რომ ორი პარტია იბრალებს პოლიტიკურ ჰეგემონობას და საზოგადოებრივ არენაზე მათი შოუებისა და მოჩვენებითი ორთაბრძოლების გამო ტყუვდება ხალხის დიდი ნაწილი. „დათა თუთაშხიაში“ ჟანდარმი შვანგირაძე მუშნი ზარანდიას კითხვაზე — თუ ლაპარაკობს ხალხი თოდუების ამოწყვეტაზეო, ასე უპასუხებს: „კი, ლაპარაკობენ, მუშნი ბატონო, ლაპარაკობენ და სჯერათ“. აი, ასე სჯერათ ნაცებსა და ქოცებს ის, რაც მათ დააბრალეს, რომ თურმე ისინი პოლიტიკური პარტიები არიან. რატომ არ დაიჯერებენ?! ერთი ხელისუფლებაშია, მეორე კი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი, ანუ ოპოზიციაა. დანარჩენი ორკაციანი პარტიებიდან ზოგი ნაცებმა შეათრიეს პარლამენტში, ზოგი — ქოცებმა, ამიტომ სათვალავში ჩასათვლელები არ არიან. ხალხის მეხსიერებას რა ვუთხარი, თორემ ან ერთს რატომ უნდა ჰყავდეს მომხრეები, ან მეორეს?!

**როდესაც ხელისუფლებას ფლობდნენ ნაცები, მათ სიტყვასა და მოქმედებებს, თუმცა ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ რაღაც ლოგიკა ჰქონდა. როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, საჯაროდ განაცხადა, — ქართველებს მენტალიტეტი უნდა შევუცვალოო. ქვეყანამ დუმილით რომ უპასუხა, ამან საშინლად აღმაშფოთა — ნუთუ ქართველობა ისე დაჩმორდა, რომ ამ მუქარას (დაპირებას კი არა, მუქარას!) ასე მშვიდად ხვდება-მეთქი. კიდევ კარგი, მალე მივხვდი, რომ უმრავლესობამ არ იცოდა, რა იყო მენტალიტეტი, სახლის სახურავი ან გზაზე დაგებული ასფალტი ეგონა, ალბათ. ამიტომ იყო, რომ ისე დაიწყეს ნაცებმა ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების ნგრევა, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ვინც წინ აღუდგა, ცნობილი პატრიოტი მეცნიერის — გურამ შარაძესავით, ხალხის დასანახად ქუჩაში მოკლეს.**

რატომ იქცეოდნენ ნაცები ასე? რაიმე ლოგიკა თუ ედო საფუძვლად მათ ამგვარ ქმედებას? დიახ, საზოგადოებისათვის მიუღებელი, ერთობ მავნე და ბოროტი ლოგიკა განსაზღვრავდა მათ მოქმედებას... ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოგვიცხადა ნაცების ბელადმა სააკაშვილმა: ჩემი (თუ ჩვენი) მიზანია, მენტალიტეტი შევუცვალო ქართველებსო. ამ დაპირებამ, უფრო კი მუქარამ არანაირი პროტესტი არ გამოიწვია ხალხში. თითო-ოროლა ადამიანის აღშფოთება კი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სააკაშვილისა და მისი „რევოლუციონერების“ გუნდს მიაჩნდა, რომ ქართველებს ქურდული მენტალიტეტი ჰქონდათ და სახელმწიფოს (თანაც, ევროპულს) ისე ვერ ააშენებდნენ, თუ ამ მენტალიტეტს არ შეუცვლიდნენ ერს. ასე ბევრი ფიქრობდა მაშინ, რადგან იმ პერიოდში საქართველოს ქურდული ავტორიტეტის მქონენი მართავდნენ. რატომ, იცით? ხელისუფლების მაღალჩინოსნების ნდობა აღარ ჰქონდათ. ვერ გაიგებდი, პროკურორი, მოსამართლე, რაიკომის მდივანი თუ სხვანი როდის იქცეოდნენ სახელმწიფოებრივად და როდის საკუთარი ანგარებითი მიზნების შესაბამისად, ამიტომ იქცნენ იმ პერიოდში ქურდული ავტორიტეტები სხვებზე სამართლიან და საიმედო ადამიანებად, ამიტომ მიმართავდნენ ადამიანები დახმარებისათვის მათ და არა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

**ნაცები თავიანთ ბოროტ ლოგიკას სიკეთის მანტიაში ხვევდნენ და ისე აჩეჩებდნენ ხალხს იმ სამსალასთან ერთად, რომლითაც მათი ანტიეროვნული რიტორიკა იყო გაჟღენთილი.** ქურდულ სამყაროსა და მაფიებს ფაშისტებიც ებრძოდნენ და გაანადგურეს კიდეც იქ, სადაც გაბატონდნენ. **იტალიელმა და გერმანელმა ფაშისტებმა მაფიოზური კლანები სრულიად ამოძირკვეს, მაგრამ თვითონ გახდნენ უკონტროლო მაფიოზები, კიდევ უფრო სასტიკნი და დაუნდობელნი. ასეთია ბოროტი ლოგიკის შედეგები ყველგან და ყოველთვის...** იყო ასეთი ბოროტი ლოგიკა ნაცების ერთ-ერთ შტურმანფიურერის იმ მუქარაში, რომლითაც მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს მოგვმართა ტელეეკრანიდან: **„სულს ამოგხდით, თქვე ნაძირალებო“**-ო. ამ „ჩე გევარამ“ იფიქრა, ალბათ, ხალხს უნდა ეშინოდეს ჩვენი, წესიერად რომ მოიქცესო. ისე, რა ჩე გევარაც ბრძანდებოდა, მინსკის აეროპორტში გამოჩნდა, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ ექსპორტიორი უაპელაციოდ გამოაბუნძულეს იქიდან.

„რკინის“ ლოგიკა ჰქონდაო ნაცებს, რაც მათი ბელადის „უკვდავ“ ლოზუნგურ მოწოდებებში გამოიხატა: **„ესროლეთ, ხელი არ აგიკანკალდეთ!“** ეს მოწოდება ესმოდათ მის მიმდევრებს და სჯეროდათ და ასრულებდნენ კიდეც. ასე აუბედურებდნენ რობაქიძეების, ვაზაგაშვილების, გირგვლიანების, გამცემლიძეების, შავაძეებისა და ბევრ სხვა უდანაშაულო ოჯახებს.

**ბოროტი ლოგიკის მაგალითი იყო ნაცების ბელადის დაპირება: საქართველო ინგლისურენოვან ქვეყნად უნდა ვაქციოო. ინგლისური და ნებისმიერი სხვა ენის** ▶

**პოლიტიკურ პარტიას, როგორც ამას ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პრაქტიკაც გვასწავლის, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ოთხი ნიშანი: საკუთარი იდეოლოგია, მიზანი, სადღეისო და პერსპექტიული ამოცანები და საზოგადოებრივ-სოციალური ბაზა. აბა, ერთი მითხრას ვინმემ: ამ ნიშანთაგან რომელი აქვს დღევანდელ თუ გუშინდელ ე.წ. პოლიტიკურ პარტიებს? ისინი ერთი რომელიმე, ასე თუ ისე, ავტორიტეტული ლიდერის გარშემო ერთიანდებიან და მანამ არსებობენ, სანამ ის ლიდერი ფიზიკურად არსებობს ან არ გაფარჩაკდება.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**ვერ შევუნდობ მას, ვინც უღალატა ადამიანობას, სამშობლოს, წინაპართა მემკვიდრეობას და არც ნანობს ამას. ასეთები უნდა დაისაჯონ! ისინი კი, ვინც სამშობლოს მოღალატის დასაცავად მიტინგზე გამოდის და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის, ზოგი დავით აღმაშენებელს ადარებს და ზოგი რეგიონულ ჯორჯ ვაშინგტონს, ზოგი ოხშივარავარდნილ ხინკალს ჰპირდება ციხიდან გამოხსნის შემდეგ, ზოგი კი კედლებზე მისი პორტრეტების მოხატვას კისრულობს, კი არ უნდა დავსაჯოთ, კლინიკაში უნდა ვუმკურნალოთ, თუმცა მათი გამოჯანმრთელების შანსი ნაკლებია**

◀**სწავლა დიდი სიკეთეა. რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, — ნათქვამია, მაგრამ ქართულენოვანი ქვეყანის სხვაენოვან ქვეყნად გადაქცევა მხოლოდ სატანის ნაშიერს მოუვიდოდა აზრად. არადა, ლოგიკა ჰქონდა ამ ბოროტების შემოქმედს: ქართველებს უკიდეგანო სამოქმედო ასპარეზი მიეცემათო. მტერს მიეცეს ასეთი საზღაურის გალების შედეგად მოპოვებული ასპარეზი!** „ლოგიკა" შეიძლება ბოროტი იყოსო? — იკითხავს მავანი. კი, შეიძლება. ბოროტი ლოგიკით მოქმედების შედეგი მუდამ უარყოფითია, მცდარია და უნაყოფო. ბოროტი ლოგიკის მაგალითია სოფისტური ფილოსოფია, რომელმაც ასობით მეცნიერი ატარა უგზოუკვლოდ მათემატიკისა თუ ფიზიკის ლაბირინთებში. **ნაცების ფიურერმა, ანუ ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოში ბურების ჩამოსახლება განიზრახა: საქართველოში სოფლის მეურნეობას განავითარებენო. მისი „ლოგიკა" ასეთი იყო: „ქართველები სოფლიდან გარბიან, მშობლიურ მიწა-წყალს ტოვებენ და ქვეყნის მარჩენალ მიწას უპატრონოდ ხომ არ დავაგდებთ და ამიტომ მუყაითი ბურები (ჰოლანდიელები) უნდა ჩამოვასახლოო. როგორი ლოგიკაა? წუნს ვერ დასდებ! აი, საქართველოსათვის სიკეთის მომტანია თუ ბოროტებისა — ეს საკითხავიც არ არის!** იმ ნაცფიურერს საქართველოს მიწა-წყალზე შესტკიოდა გული თუ ცოლოურის ნათესავების მომრავლება უნდოდა ჩვენში, არ ვიცი, მაგრამ მისი ეს გეგმა ისეთივე ლოგიკური მტრობა იყო ქვეყნისა, როგორც ბითუმად ათასობით ვითომ ქართული წარმომავლობის თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

**ნაცების ახლანდელ მიმდევრებსაც ისეთივე ავი ლოგიკა აქვთ, როგორც მათ ბელადსა და მისი ზეობისდროინდელ მინირაიხსფიურერებს ჰქონდათ. მაგალითად, განათლების გაუნათლებელ მინისტრ ლომაიას, რომელმაც პროფესიონალი პედაგოგები გამორეკა სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან: ეგენი ძველი მენტალიტეტის ხალხია და ჩემს რეფორმებს ხელს შეუშლიანო.** იყო ბოროტი ლოგიკა ლომაიას მოქმედებაში: საგანმანათლებლო საქმის პროფესიონალები არ განახორციელებდნენ იმგვარ რეფორმას, რომელმაც განათლება საფუძვლიანად დაანგრია და თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი გამოიწვია. **არც თავდაცვის მინისტ ოქრუაშვილს ჰქონდა ლომაიაზე ნაკლები ლოგიკა: ნეტა, რად გვინდა ქართული სამხედრო აკადემია, ოფიცრები თუ დაგვჭირდება, ამერიკელები მოგვიმზადებენო და ერთი ხელისმოსმით გააუქმა სიმწრით ნაშენები ქართული სამხედრო აკადემია. როგორ ქართველ ოფიცრებს გვიმზადებს ამერიკა, ჩანს. ტერიტორიებწართმეული ქვეყნის ოფიცრები რიგში დგანან, იქნებ ავღანეთში, ერაყში, სომალიში ან სადმე ჯანდაბაში წაგვიყვანოს ვინმემ საომრადო.** „მაღალპროფესიონალურ" ცოდნასთან ერთად საოცარ ლოგიკას ავლენენ ახლა საპატიო პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის ახალგაზრდა ადვოკატები: **სააკაშვილი ბრალს არ აღიარებს და ამიტომ მისი წინასწარპატიმრობაში ყოფნა უკანონოაო, — ორ ხმაში გაჰკიოდნენ ეს „ადვოკატი" ბიჭები რუსთავის ციხესთან შეკრებილი სააკაშვილის მომხრე ადამიანების ჯგუფის წინ. ბოროტ ლოგიკას ჩაბღაუჭებულმა ამ საცოდავმა ახალგაზრდა იურისტებმა არ იციან, რომ სააკაშვილი წინასწარ პატიმრობაში კი არ არის, არამედ ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ მისჯილ სასჯელს იხდის.** ვავა, ჩქიმ ცოდვა, ამგვარი „პროფესიონალი" იურისტების ხელში. ნაცების ბოროტი „ლოგიკის" აბსურდულობა დემონსტრაციულად გამოვლინდა 14 ოქტომბრის აქციაზე. მიტინგზე გამომსვლელებს ვინც მოუსმინა, არ შეიძლება გული არ სტკენოდა (პატრიოტი თუ იყო, რა თქმა უნდა) იმის გამო, რომ ამდენი ფსიქიკურად აშლილი ადამიანი რომ გვყოლია, რომლებიც გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებენ. ბევრს, ალბათ, ეცინებოდა, მაგრამ **არ შეიძლება გეცინებოდეს იმ კაცის სიგიჟეზე, რომელიც გუშინ ქალაქის მერად გვყავდა დასმული, მეორე კაცი კი სამხატვრო აკადემიის რექტორის სავარძელში იჯდა. არც ერთისა და არც მეორის ჭკუა-გონებაზე დიდი წარმოდგენა არავის გვქონია, მაგრამ ასეთი შიშველი გიჟები თუ იყვნენ, ვერ ვიფიქრებდით.** ნაცების ლოგიკა გასაგებია: ბოროტების ლოგიკაა იგი: თქვენ იმიტომ გაწიოკებთ, გაშინებთ, სამსახურიდან მიგერეკებით, ციხეში გაწამებთ, რომ გვინდა, უკეთესი გახდეთ, ჩამორჩენილი ბნელი ქართველობა დაივიწყოთ და ევროამერიკელებად გაქციოთო. აი, ამათი ლოგიკის არსი და ფასი. მარტივი და გასაგები!

ქოცების ულოგიკობას კი ახსნა არ აქვს.

პირველი გამაოგნებელი ულოგიკო განცხადება 2012 წლის არჩევნებში ნაცების დამმარცხებელმა ქოცების ლიდერმა გააკეთა: **„ჩვენ ისე არ მოვექცევით ნაცებს, რასაც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრება"**-ო. მე ან სხვამ რა ვიცით, თქვენ რა გეკადრებათ. სამართლიანობა არის ის, რომ ყველას მოექცე ისე, როგორც იმსახურებს თითოეული მათგანი. **ამ ლიდერის ნათქვამში არავითარი ლოგიკა არ არის, მაგრამ აშკარაა დაფარული მიზანი, რომელიც მალე გამჟღავნდა ქოცური პარლამენტის სპიკერის ბაგეთაგან: ჩვენი ამოცანაა ნაცების, როგორც პოლიტიკური პარტიის, გადარჩენაო. რომელი ლოგიკით მოგვაჩეჩა ქოცების ერთ-ერთმა ლიდერმა ეს ახალი ამოცანა** — დამნაშავე ორგანიზაცია პოლიტიკურად უნდა გადავარჩინოთო. ფიზიკური გადარჩენის ვერდიქტი პირველ განცხადებაში გამოიკვეთა. ახლა მკვდარი „ნაცმოძრაობის" რეანიმაციის საკითხი დადგა დღის წესრიგში და ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე მათი გამოთრევის დირექტივა მისცა ქოცებს მისმა ლიდერმა — „კოაბიტაცია"! 1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე გამარჯვებულ სახელმწიფოებს ჰიტლერულ ფაშიზმთან კოაბიტაცია რომ გამოეცხადებინათ, აღარც ნიურნბერგის პროცესი შედგებოდა და 3-4 მსოფლიო ომიც გვექნებოდა გადატანილი ევროპასა და სხვებსაც.

აი, ამ ლოგიკით მოდიან ქოცები დღემდე და ამიტომაც ვერ დაალაგეს საქმე ვერც ეკონომიკაში, ვერც საშინაო პოლიტიკაში და, მით უფრო, საერთაშორისო ასპარეზზე. **განა არ იციან ქოცების ლიდერებმა, რომ ვერც ნატოსა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებისა და აშშ-ის უმაღლესი სამხედრო თუ პოლიტიკური პერსონების ვიზიტი საქართველოში, ვერც მათი შეშფოთება-აღშფოთება დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და ვერც „ოკუპანტი ქვეყნის" პურსა და ენერგორესურსებს შეგვიცვლის ვინმე, მაგრამ სხვის მიერ თავსმოხვეული „ულოგიკო ლოგიკიდან", როგორც ჯადოსნური წრიდან, ვერ გამოდიან.** ბევრი ნიჭიერი და წესიერი ადამიანია ქოცების ხელისუფლებაში, მაგრამ ეს კარგებიც იმ ულოგიკო რიტორიკისა და პრაქტიკის ტყვეობაში არიან, რომელიც ასე მყარად დაამკვიდრა კოაბიტაციის მავნებლურმა დირექტივამ. „სხვის ჭკუაზე სიარულით, ყველამ იცის, რაც დაშავდა..." აღარ გავაგრძელებ რუსლან მიქაბერიძის ამ ფუნაგორიას, ისედაც ყველამ იცის, ალბათ. ერთ-ორ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ ქოცების ულოგიკო რიტორიკიდან:

**განა არ იციან ქოცების ლიდერებმა, რომ ვერც ნატოსა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებისა და აშშ-ის უმაღლესი სამხედრო თუ პოლიტიკური პერსონების ვიზიტი საქართველოში, ვერც მათი შეშფოთება-აღშფოთება დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და ვერც «ოკუპანტი ქვეყნის» პურსა და ენერგორესურსებს შეგვიცვლის ვინმე, მაგრამ სხვის მიერ თავსმოხვეული «ულოგიკო ლოგიკიდან», როგორც ჯადოსნური წრიდან, ვერ გამოდიან**

ძალიან სიმპათიურად ვარ განწყობილი **თეა წულუკიანის** მიმართ, მის გონიერებასაც დიდად ვაფასებ, მაგრამ... **ფქფქთველო?**

მე გულმოწყალეც ვარ და შემნდობიც, მაგრამ **ვერ შევუნდობ მას, ვინც უღალატა ადამიანობას, სამშობლოს, წინაპართა მემკვიდრეობას და არც ნანობს ამას. ასეთები უნდა დაისაჯონ! ისინი კი, ვინც სამშობლოს მოღალატის დასაცავად მიტინგზე გამოდის და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის, ზოგი დავით აღმაშენებელს ადარებს და ზოგი რეგიონალურ ჯორჯ ვაშინგტონს, ზოგი ოხშივარავარდნილ ხინკალს ჰპირდება ციხიდან გამოხსნის შემდეგ, ზოგი კი კედლებზე მისი პორტრეტების მოხატვას კისრულობს, კი არ უნდა დავსაჯოთ, კლინიკაში უნდა ვუმკურნალოთ, თუმცა მათი გამოჯანმრთელების შანსი ნაკლებია.** მათ, კი ვინც ამ მიტინგებს ესწრება და აზრზეც არ არის, რას და ვის უკრავს ტაშს, უნდა ვურჩიოთ: წადით, ბიძიკოებო, ბებიებო და ბაბუებო სახლში, მიხედეთ საქმეს, თორემ შეიძლება რაიმე შარს გადაეყაროთ ქუჩაში!

**ღმერთი იყოს საქართველოს (და სხვისიც) შემწე და მფარველი, რადგან ხორციელი არავინ ჩანს, ვინც ჩვენს გაძღოლასა და გადარჩენას შეძლებს.**

**ზურაბ ცუცქირიძე**

**P. S. ჩემს წერილში ერთხელაც არ დამიწერია „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება". რატომ, იცით? იმიტომ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" არანაირი კავშირი არ აქვს ნაციონალურ, ანუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, „ქართული ოცნების" საქმიანობა კი არასოდეს ყოფილა ქართველების ნაოცნებარი.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფარისევლურად ძახილს, „ნაციონალები დავასრულოთო“, სჯობს, ხელისუფლებამ თავი გადადოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად; და მეორე — იზრუნოს მართლაც ეროვნული, კონსერვატიული ძალების პოლიტიკაში მოსასვლელად, ძალებისა, რომლებიც დაეხმარებიან ხელისუფლებას, „ნაციონალების“ რეალურ და არა ბუტაფორიულად „დასამარებაში“.**

# ამომრჩევლის ნახევარზე მეტმა «ქართულ ოცნებასაც» უარი უთხრა და «ნაცმოძრაობასაც»

**დასრულდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები. მიუხედავად არჩევნებში მონაწილე ორი პარტიის დიდი ძალისხმევისა, მეორე ტურში ამომრჩევლის, სულ რაღაც 49 პროცენტი მივიდა — ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა ქოცებსაც უარი უთხრა და ნაცებსაც.**

**მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც საარჩევნო ყუთებთან არ მივიდა, თვლის, რომ არსებობს ორი საქართველო — ნაც-ქოცური და სიახლის მოლოდინში მყოფი... არჩევნები დასრულდა.**

**ყველა გახარებულია — მერებიც, მაჟორიტარებიც, კოორდინატორებიც, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, ასე ვთქვათ, ენაგადმოგდებული დარბოდნენ, მაგრამ ღირს კი ეს ყველაფერი სიხარულად? არის ეს გამარჯვება, როდესაც ამომრჩევლის მხოლოდ 49 პროცენტი მონაწილეობს არჩევნებში?**

**რატომ გაწირა ამომრჩეველმა „დიდებით მოსული“ „ქართული ოცნება“, რომელიც უამრავ სიკეთეს ჰპირდებოდა მოსახლეობას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრებიან სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ხათუნა საგინაშვილი, პოლიტოლოგები — სოსო ცინცაძე და რევაზ კილასონია.**



**„გააანალიზეთ წარსული შეცდომები და გამოასწორეთ ისინი, თორემ „ბუა მოდის“ საფრთხობელა აღარ ჭრის. ხელი შეუწყვეთ პროცესს, რომ შემდეგ არჩევნებზე მთავრი ოპოზიციური ძალა, ნაცები კი არა, ახალი, გაუსვრელი ეროვნული, კონსერვატიული ძალები იყვნენ“**

**ხათუნა საგინაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი:**

— ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ ტენდენციას, — „ქართული ოცნება“ თანდათან კარგავს ამომრჩეველს.

**„ოცნების“ ელექტორატის ნაწილი ხელისუფლებაზე განაწყენებისა და იმედგაცრუების გამო „ნაცმოძრაობის“ ბანაკში გადავიდა, რაც ყოვლად წარმოუდგენელია: „ქართული ოცნება“ თუ არ მოგწონს, ეს სულაც არ გამართლებს, თუკი ამ მიზეზით პირსისხლიანი ჯალათების, ნაციონალების, ამომრჩეველი ხდები და ხელისუფლებაში მათი დაბრუნება გინდა. მეორე ნაწილი კი ფრუსტრაციისა და ნიჰილიზმის მიზეზით ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს და ამ გზით გამოხატავს პროტესტს მთელი პოლიტიკური შაპიტოს მიმართ.** იმედგაცრუება (იმედგაცრუება იმიტომ, რომ ხალხმა დაუჯერა და ენდო ივანიშვილს და მის „ოცნებას“) კი გამოიწვია 2012-სა და შემდგომ წლებში გაცემული გაბუქებული დაპირებების შეუსრულებლობამ, ეკონომიკურმა კოლაფსმა, სოციალური ფონის უკიდურესად დამძიმებამ, გეომეტრიული პროგრესიით მზარდმა ფასებმა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე.

ყველას გვახსოვს „ქართული ოცნების“ 2012 წლის დაპირებები — კომუნალური გადასახადების შემცირება, ბენზინის გაიაფება, უფასო ფული და მრავალი სხვა, მაგრამ პროდუქტები კი არ გაიაფდა, პირიქით — რამდენიმეჯერ გაძვირდა. მართალია, სოციალურ სიდუხჭირეს მაღალჩინოსნები ხშირად პანდემიას აბრალებენ, მაგრამ პანდემიამდე ლარი უკვე განიცდიდა დევალვაციას, ფასების დინამიკა უკვე მზარდი იყო, კომუნალური გადასახადებიც – გაძვირებული და არც საწვავს ვასხამდით მანქანებში 1 ლარად.

**ბოლო წლების განმავლობაში ცხოვრება ძალიან გაგვიძვირდა და ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები არ არის სწორად განსაზღვრული. ადრეც არაერთხელ მითქვამს ინტერვიუებში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი პირველი დივერსია იყო ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად ისეთი არასტაბილური და მგრძნობიარე სფეროს გამოცხადება, როგორიც არის ტურიზმი. პანდემიისას ცხადად გამოჩნდა, რომ ტურიზმზე ქვეყნის ჩამოკიდება და პრიორიტეტად ისეთი დარგების იგნორირება, რომლებიც ქმნის დოვლათს, დამანგრეველია ქვეყნის ეკონომიკისთვის.**

**— სააკაშვილის ხელისუფლებაც ორიენტირებული იყო ტურიზმის განვითარებაზე, ასე გრძელდება ახლაც...**

— დიახ. საქმე ის არის, რომ ეს სააკაშვილის ტვინში არ მოხარშულა – ის, როგორც უცხო ძალების რენეგატი, პირნათლად ასრულებდა იმას, რა დაკვეთაც მისცეს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ **მაშინ, როცა ესოდენ დიდია ქვეყნებს შორის კონკურენცია გასაღების ბაზრების მოპოვებისთვის, არავის არ აძლევს ხელს ამ ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენა განვითარებული ინდუსტრიითა თუ სოფლის მეურნეობით, ამიტომ შესაბამისი დავალება მისცეს სააკაშვილსაც — მხოლოდ შეეღება ფასადები, აეგო შადრევნები და ქვეყანაში განევითარებინა მარტოოდენ ტურიზმი, რაც, პრაქტიკულად, სხვა ქვეყნებს ხელს არაფერში არ უშლის.**

სწორედ ამიტომ გვჭირდება ჭეშმარიტად ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება, რათა გადააფასოს წარსულში დაშვებული შეცდომები, კორექტივები შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებში და, ამასთანავე, გაუძლოს ნებისმიერი უცხოური ძალის საპირისპირო ზემოქმედებას. ასე რომ, თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ საფუძვლიანად არ გააანალიზა შექმნილი ვითარებაცა და წარსულში დაშვებული შეცდომებიც, „ბუა მოვა“ საფრთხობელა არჩევნებზე დიდხანს აღარ იმუშავებს – მას სულ უფრო მეტად უჭირს არჩევნების „გადაგორება“.

**— გააანალიზებს კი „ქართული ოცნება“ შეცდომებს, რომელთა გამოც კარგავს ხალხის მხარდაჭერას, თუ მოსახლეობას გადაუხდის სამაგიეროს? ამ შეკითხვას იმიტომ ვსვამ, რომ „ქართულ ოცნებას“ რაც უფრო გაუჭირდა ბოლო რამდენიმე არჩევნების მოგება, მით უფრო გაგვიძვირდა ცხოვრება არჩევნების შემდგომ, კატასტროფულად იზრდება ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რაოდენობაც.**

— რით უპასუხა ნაციონალების აქციას ხელისუფლებამ? — კონტრაქციით. მიტინგებზე ოპოზიციის დამარცხების მცდელობა უსუსური მცდელობაა.

**თუ ნაციონალების დამარცხება სურს ხელისუფლებას, ხელის გადაგრეხვის მეთოდები კი არა, ქვეყნის განვითარება, სიღარიბის დაძლევა, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური სამართლიანობაა საჭირო. და, თუ ამას მიაღწევს, გარწმუნებთ, ნაციონალების ელექტორატში მხოლოდ ერთი მუჭა ფანატიკოსი სექტანტები დარჩებიან, რომელთათვის სააკაშვილი ქარიზმატული მხეჭაბუკია და არა პირსისხლიანი ჯალათი.** „ნაციონალების დასრულების უმთავრესი ფაქტორი ხალხზე ზრუნვა და სოციალური პრობლემების მოგვარება, ეკონომიკის რეალური განვითარებაა და არა ბუტაფორიული სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირება.

და მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: **ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ არ ყოფილიყო მთავარი ოპოზიციური ძალა, ამ პროვოკატორების ნაცვლად ჩამოყალიბებულიყო ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა, რომელიც არ იქნებოდა დესტრუქციული და საბოტაჟზე ორიენტირებული. საზოგადოების დაკვეთაა, რომ კონსერვატიული, ეროვნული ძალები გამოჩნდნენ და მომძლავრდნენ პოლიტიკაში და ამ ძალებმა რეალურად ჩარეცხონ ნაციონალები, ამისთვის კი ხელისუფლებას თითი თითზე არ დაუდვია. ეროვნულ, კონსერვატიულ ძალებს მათ არხებზე, ელემენტარულად, ეთერს არ უთმობენ, არ აქვთ დაფინანსება და არავითარი ხელშეწყობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია პოლიტიკურ სარბიელზე შედეგის მისაღწევად — ეს საკუთარ თავზე გამოვცადე...**

ასე რომ, ფარისევლურად ძახილს, „ნაციონალები დავასრულოთო“, სჯობს, ხელისუფლებამ თავი გადადოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად; და მეორე — იზრუნოს მართლაც ეროვნული, კონსერვატიული ძალების პოლიტიკაში მოსასვლელად, ძალებისა, რომლებიც დაეხმარებიან ხელისუფლებას, ნაციონალების რეალურ და არა ბუტაფორიულად დასამარებაში.

კიდევ ერთხელ მსურს, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართო ხელისუფლებას: **გააანალიზეთ წარსული შეცდომები და გამოასწორეთ ისინი, თორემ „ბუა მოდის“ საფრთხობელა აღარ მუშაობს. მაქსიმალურად იზრუნეთ ხალხზე და არა საკუთარ აუზიან სახლებზე, ხელი შეუწყვეთ პროცესს, რომ შემდეგ არჩევნებზე მთავრი ოპოზიცური ძალა ნაცები კი არა, ახალი, გაუსვრელი ეროვნული, კონსერვატიული ძალები იყვნენ, თორემ ნაცების ხელისუფლებაში რეინკარნაციით, რისგანაც სააკაშვილის პარტია ამ არჩევნებზე ძალიან ახლოს იყო – პირველ რიგში, „ოცნების“ ლიდერები დაზარალდებიან.** ნაცების მობრუნების შემთხვევაში, არ მგონია, მათ ქვეყანაში დაედგომებოდეთ.



**„საქართველოს მმართველ ძალას სურს, ხელისუფლებაში დარჩეს, მაგრამ არა თავისი ძალისხმევის ხარჯზე, მას სურს, ეს ამომრჩევლის**

**«საზოგადოების დაკვეთაა, რომ კონსერვატიული, ეროვნული ძალები გამოჩნდნენ და მომძლავრდნენ პოლიტიკაში და ამ ძალებმა რეალურად ჩარეცხონ ნაციონალები, ამისთვის კი ხელისუფლებას თითი თითზე არ დაუდვია. ეროვნულ, კონსერვატიულ ძალებს მათ არხებზე, ელემენტარულად, ეთერს არ უთმობენ, არ აქვთ დაფინანსება და არავითარი ხელშეწყობა, რომელიც ესოდენ აუცილებელია პოლიტიკურ სარბიელზე შედეგის მისაღწევად»**

## „არჩევნებზე არ დავდივარ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ შანსი ხელიდან გაუშვა, რომ გამოესწორებინა ეკონომიკური მდგომარეობა, ვერც დაპირებების შესრულება მოახერხა, არც უცდია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იმედი გაუცრუვდა ხალხს მათ მიმართ და, სამწუხაროდ, ცუდ ტრადიციად იქცა ის, რომ არჩევნები ხალხს, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### „ხარჯზე გააკეთოს, როგორც აქამდე აკეთებდნენ, თვითონ თითის თითზე დაკარება არ უნდათ“

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

**— „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში არ მოსულა ეროვნული ლოზუნგებით, ის მოვიდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბუნდოვანი ლოზუნგით — სამართლიანობის აღდგენა.** ამ ლოზუნგზე უფრო ბუნდოვანი ადამიანს არაფერი მოუგონია და, სამწუხაროდ, არა და არ გაცვდა ეს ლოზუნგი. რამდენი ადამიანიც არის ქვეყანაში, იმდენი სამართალი არსებობს, ამიტომაცაა ეს ლოზუნგი ზოგადი და ბუნდოვანი, თანაც არაფრისმთქმელი.

არჩევნებში არ ვმონაწილეობ, არ დავდივარ, არ მაინტერესებს, რადგან ეროვნული იდეა აღარ გვაქვს. საქართველოში არსებობს ანგაჟირებული პატარა ჯგუფები, რომლებსაც საზოგადოებას ვერ დავარქმევთ.

ძალიან ცუდი მომენტია ის, რომ ადამიანებს ქვეყანაში ცვლილებების ეშინიათ. მოგიყვებით პირადად ჩემს მაგალითზე ერთ ფაქტს;

ბავშვობიდან სამი მეგობარი მოვდივართ... ერთი მათგანი ე.წ. ძველი ბიჭი გახდა, მეორე რუსეთში ბიზნესმენობდა, მე მეცნიერების გზით წავედი... ერთი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა, ხოლო მეორე, **რომელიც „ცეხავიკობდა“, ახლა პენსიონერია, ის პენსიაც წინასწარ სამი წლის აქვს აღებული და ახლა მშიერი ზის და მეუბნება — „ხმას ვაძლევ მთავრობას, რადგან შეჩვეული ჭირი ჯობია“. „შეჩვეული ჭირი“ ძალიან ცუდია. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას ცვლილებების შიში აქვს. ასე თუ გასტანს, ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს.**

ყველანაირი გათვლით, „ოცნებას“ ბოლო რამდენიმე არჩევნები უნდა წაეგო, რადგან ქვეყანაში შიმშილია, კრიმინალი მომატებულია, კორუფციაა, ვალუტა დევალვირებულია, მკვლელობები ხდება ყოფითი პობლემების ნიადაგზე... ასეთი საქართველოს შემხედვარე ადამიანს, სურვილი უნდა უჩნდებოდეს ცვლილებების, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩემს მეგობარს, ისე, საზოგადოების დიდ ნაწილს, ცვლილებების სურვილი არ აქვს.

**— მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტს აქვს ეს სურვილი...**

— გეთანხმებით და გითხარით უკვე, რომ არჩევნებზე მეც არ დავდივარ და ვფიქრობ, რომ ეს არ არის ჩემი საქართველო, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის, რადგან არც არავინ გვთვლის საზოგადოების ნაწილად. მათ, პოლიტიკოსებს, თავინთი მიზნები და გეგმები აქვთ და ჩვენ მათ გეგმებში არ შევდივართ, მაგრამ ამაზე პრეტენზიასაც არ გამოვთქვამთ.

პოლიტიკურ ასპარეზზე **ბიძინა ივანიშვილის** გამოჩენის დღეებს, 2012 წლის შემოდგომას, რომ ვიხსენებ, ახლაც მზარავს. ტელეეთერებში გამოდიოდნენ სერიოზული ადამიანები და ამბობდნენ, ახლა მილიარდერი მოდის და ის შეგვინახავსო... ეს დღემდე გრძელდება. სხვის კმაყოფაზე ცხოვრება და სხვის იმედად ყოფნა საშინელებაა. ადამიანებს ურჩევნიათ, ჰქონდეთ მათხოვრული პენსია და მშვიდად ისხდნენ, სურვილი არ აქვთ პროტესტის გამოხატვის...

**— მართალია, ძალიან ნეგატიური და თითქმის უიმედო განწყობა გაქვთ, მაგრამ უნდა გკითხოთ: ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ 2024 წელს ისევ იქნება არჩევნები და საბოლოოდ დაასრულებენ „ნაცმოძრაობას“, მაგრამ თვითონ ეს ხელისუფლება თუ მივა 2024 წლამდე?**

— მართალს ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები, 2024 წლამდე არანაირი არჩევნები არ იქნება, სოციალური მდგომარეობაც გაუარესდება...

**საქართველოს მმართველ ძალას სურს, ხელისუფლებაში დარჩეს, მაგრამ არა თავისი ძალისხმევის ხარჯზე, მას სურს, ეს ამომრჩევლის ხარჯზე გააკეთოს, როგორც აქამდე აკეთებდნენ, თვითონ თითის თითზე დაკარება არ უნდათ, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ხალხი მათ უჭერს მხარს...**

ჩვენი ქვეყნის მთავრობის წევრებმა კარგად იციან, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა შესაძლებელია. 50 ლარი არავის ამდიდრებს, მაგრამ ერთ დღეს მაინც ხომ შეჭამს?! აი, ასეთი ამორჩევლის იმედად არის ხელისუფლება.

**— მაპატიეთ, მაგრამ არ მიყვარს, როდესაც ხალხზე ცუდს ამბობენ... მაინტერესებს თქვენი აზრი, 2024 წლისთვის ხელისუფლება შეძლებს საზოგადოების იმ დიდი ნაწილის თავისკენ მიბრუნებას, რომელმაც ახლა უარი უთხრა?**

— ხელისუფლებას არც აინტერესებს ხალხის „მობრუნება“. რისთვის სჭირდებათ, როდესაც ისედაც იგებენ არჩევნებს? **როდესაც ქვეყანაში მძიმე, უფრო ზუსტად, უმძიმესი ვითარებაა სოციალური-ეკონომიკური თვალსაზრისით და ხელისუფლებას პასუხიც კი არ აქვს, საშინელებაა. საშინელებაა, რომ ამ თემაზე პროგრამაც კი არ აქვთ წარმოდგენილი, სისულელეებს გვასმენინებენ.**

ხომ ვხედავთ, რომ ეს არჩევნები ძლივს მოიგეს, თუ მოგება ჰქვია ამას. კალაძე ისევ შევა კაბინეტში, საიდანაც არც გამოსულა. ალბათ, ახლა გაინტერესებთ, შერცხვება თუ არა კალაძეს კაბინეტში ჯდომის?! — გეტყვით, რომ პოლიტიკოსს სირცხვილის განცდა არ აქვს. თუ პოლიტიკოსს სირცხვილის განცდა გაუჩნდება, ის პოლიტიკას უნდა ჩამოშორდეს.

**— ეს მხოლოდ საქართველოში ხდება თუ სხვაგანაც?**

— არც ევროპელი პოლიტიკოსები იწვიან სირცხვილით. არჩვენების შემდეგ ვუსმენდი ვინმე **ჯონსონს,** რომელიც ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ სათქმელი ეთქვა და ბოლოს განაცხადა: ეს თქვენი ნებაა, როგორ არჩევნებს ჩაატარებთ, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ეს სამართლიანი არჩევნები იყო თუ არა, ჩვენ მარტო წესების დადგენა გვევალებაო... აბა, ეს პატიოსანია და ნამუსი აქვს?!

არჩევნების გაყალბება „მოსულა“ ჩვენს ქვეყანაში, შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული ასეა... ნამუსზე პოლიტიკოსს ვერ შევაგდებთ. ნათქვამია: „როგორიც არის ხალხი, ისეთია ხელისუფლებაც“...

## «კოაბიტაციამ, დაპირებების შეუსრულებლობამ, ტყუილმა, მუქარამ და, საზოგადოდ, ხალხის ფეხებზე დაკიდების პოლიტიკამ მიიყვანა ხელისუფლება იმ მდგომარეობამდე, რომ ბოლო რამდენიმე არჩევნებზე სახვეწარ-სამუდარებელი აქვს ხმის მიცემა. «ქართულ ოცნებას» ამომრჩეველი აღარ ჰყავს. მისი რესურსია ნაცები, პორტირებული ნაცები, და საჯარო სამსახურები. სამწუხაროდ, მათი ამომრჩევლების რიგებში მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი «ქართული ოცნების» იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც 2012 წლამდე იყვნენ»

### „საქართველოში მოსალოდნელია დიდი ცვლილებები და ეს აქ არ დაიწყება, ცვლილებებს საგარეო ვითარება გამოიწვევს“



**რევაზ კილასონია, პოლიტოლოგი:**

— კოაბიტაციამ, დაპირებების შეუსრულებლობამ, ტყუილმა, მუქარამ და ხალხის ფეხებზე დაკიდების პოლიტიკამ მიიყვანა ხელისუფლება იმ მდგომარეობამდე, რომ ბოლო რამდენიმე არჩევნებზე სახვეწარ-სამუდარებელი აქვთ ხმის მიცემა. „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველი აღარ ჰყავს. მათი რესურსია ნაცები, პორტირებული ნაცები, და საჯარო სამსახურები. სამწუხაროდ, მათი ამომრჩევლების რიგებში მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი „ქართული ოცნების“ იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც 2012 წლამდე იყვნენ.

არჩევნებზე არ დავდივარ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ შანსი ხელიდან გაუშვა, რომ გამოესწორებინა ეკონომიკური მდგომარეობა, ვერც დაპირებების შესრულება მოახერხა, არც უცდია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იმედი გაუცრუვდა ხალხს მათ მიმართ და, სამწუხაროდ, ცუდ ტრადიციად იქცა ის, რომ **არჩევნები ხალხს, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია.**

## «ყველანაირი გათვლით, «ოცნებას» ბოლო რამდენიმე არჩევნები უნდა წაეგო, რადგან ქვეყანაში შიმშილია, კრიმინალი მომატებულია, კორუფციაა, ვალუტა დევალვირებულია, მკვლელობები ხდება ყოფითი პრობლემების ნიადაგზე... ასეთი საქართველოს შემხედვარე ადამიანს, სურვილი უნდა უჩნდებოდეს ცვლილებების, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩემს მეგობარს, ისე, საზოგადოების დიდ ნაწილს, ცვლილებების სურვილი არ აქვს»

**— გაქვთ განცდა, რომ ორი საქართველოა — ნაც-ქოცებისა და იმედგაცრუებულების?**

— პოლიტიკაში არსებობს ტერმინი აპათია... ადამიანებს გაუჩნდათ შიში, ნიჰილიზმი, უნდობლობა... ეს ყველაფერი ქმნის იმ შედეგს, რომელსაც ვუყურებთ დღეს, და ეს არის პოლარიზაცია, გამუდმებული მიტინგები, არეულობა... პოლიტიკური ელიტა, რომელსაც, 30 წელიწადია, ვუყურებთ, ცდილობს, ნეიტრალური ამომრჩეველი საერთოდ გაიყვანოს პოლიტიკური ასპარეზიდან. **თავს გარიყულად ვთვლი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, რადგან არც ერთი პოლიტიკოსი არ მომწონს, მაგრამ ეს არავის ადარდებს. ხელისუფლებას აწყობს, როდესაც ერთჯერადი სარგებლის მიღების მიზნით უჭერენ მხარს და ეს მათთვის საკმარისია.**

საქართველოში მოსალოდნელია დიდი ცვლილებები და ეს აქ არ დაიწყება, ცვლილებებს საგარეო ვითარება გამოიწვევს...

## «ადამიანებს გაუჩნდათ შიში, ნიჰილიზმი, უნდობლობა... ეს ყველაფერი ქმნის იმ შედეგს, რომელსაც ვუყურებთ დღეს და ეს არის პოლარიზაცია, გამუდმებული მიტინგები, არეულობა... პოლიტიკური ელიტა, რომელსაც, 30 წელიწადია, ვუყურებთ, ცდილობს, ნეიტრალური ამომრჩეველი საერთოდ გაიყვანოს პოლიტიკური ასპარეზიდან»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველომ საბჭოთა პერიოდში უმაღლესი და საშუალო განათლების მხრივ შორს ჩამოიტოვა ევროპის მოწინავე ქვეყნები, რომ არაფერი ვთქვათ მეზობელ ქვეყნებზე — ირანსა და თურქეთზე. ყოველ ათას ადამიანზე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რაოდენობა საქართველოში 10-ჯერ მეტი იყო, ვიდრე თურქეთში; 50-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში; 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. იმხანად ჩვენ გვყავდა გაცილებით მეტი ექიმი, ინჟინერი, აგრონომი, ვიდრე ირანსა და თურქეთს ერთად.**

(დასასრული. დასაწყისი იხ. №39, 2021 წ.)

# სტალინის შემდგომი საქართველო

**„სჯობს, ათმა დამნაშავემ აირიდოს თავიდან სასჯელი, ვიდრე დაისაჯოს ერთი უდანაშაულო“**

*ბლექსტონ უილიამსი*

ბევრი დამძრახავს, რომ სტალინური ეპოქის მეხოტბე ამ სიტყვებს ვწერ და ვიმეორებ, მაგრამ ყველაფერს ცხოვრება დაგვანახვებს და შემოქმედი გადაწყვეტს. მე თუ საქართველოს ბოლო ოცდაათი წლის ქართულ ყოფას განვიხილავ, არ უნდა შემრცხვეს არც ჩემი წარსულისა და არც მომავლის. მე, უპირველეს ყოვლისა, მრცხვენია დღევანდელი დღის, რომლის მომსწრე და მონაწილეც ვარ...

სულით ხორცამდე შემძრა დედაქალაქში, თავისუფლების მოედანზე ასი ათასზე მეტი ქართველის საპირისპიროდ ზუგდიდში გარკვეული ჯგუფის შეკრებამ, რომელსაც აშკარად ცუდი სუნი ასდიოდა. ეს არ არის ის ქართველი საზოგადოება, რომელსაც ქვეყნის აღმშენებლობა სურს. „დემოკრატიის მექა“ აშშ-ში მხოლოდ ერთხელ გადადგა პრეზიდენტი, ისიც გარკვეული დანაშაულის — ოპონენტების მიყურადების — გამო. ეს იყო **რიჩარდ ნიქსონი.** ამერიკას არ ჰყოლია ისეთი პრეზიდენტი, როგორიც **ჯორჯ ბუში-უმცროსი** გახლდათ. არჩევნებში მისი გამარჯვება დიდ გაუგებრობებსა და მაქინაციებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ საბოლოო ვერდიქტის შემდეგ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მისთვის ხელი არავის შეუშლია მოვალეობების შესრულებაში. საქართველოში კი... **თბილისსა და ზუგდიდში საზოგადოების თავშეყრა საპირისპირო მოწოდებებით „კახელების აღმა ხნულის ქართლელების დაღმა ფარცხვას“ ჰგავდა.**

**სტალინი** თავის სტატიაში დემოკრატიის შესახებ წერდა: „კარგი რამ არის დემოკრატია, მაგრამ მას სამი რამ უნდა ახასიათებდეს: **პირველი** — ეს არის საზოგადოების კულტურულობა; **მეორე** — სოციალური უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, თუ ქვეყნის საზღვრებზე ბომბები ცვივა და ხალხი მილიტარიზებულია, ასეთ შემთხვევაში დემოკრატიაზე საუბარი სასაცილოა“.

ჩვენ ვერც ერთ ზემოაღნიშნულ საკითხში გამართული არ ვართ. საზოგადოების კულტურულობა სტუმართმოყვარეობასა და კოპწიაობაში არ გამოიხატება. აქ საუბარია პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც დასავლეთში მაღალია. საქართველო მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების სიაშია და ვერ ვაკმაყოფილებთ მეორე პირობას. რაც შეეხება საზღვრებს, ჩვენ ყოველი მხრიდან საომარ მდგომარეობაში ვართ, ხოლო მცოცავმა ოკუპაციამ, შეიძლება, მალე ქვეყნის დედაქალაქიც მოიცვას. მაშ, **რა არის ჩვენი დემოკრატია? — ღია ეთერში ერთმანეთის გინება და ადამიანების ერთმანეთის წინააღმდეგ განწყობა.** „ქართული ოცნების“ მანკიერი მხარეები, რომლებიც, ძირითადად, კოაბიტაციაში გამოვლინდა, ვფიქრობ, მთლიად ხელისუფლების ბრალი არ უნდა იყოს. ეს ის ფარული უცხო ხელია, რომელსაც არ სურდა, საქართველოს შეეცვალა გზა და ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაეწყო. **„ქართული ოცნების“ დიდი შეცდომა იყო დაპირისპირებულ ნაცებთან აღრევა, რომლებიც არანაირ თამაშის წესებს არ იცავენ, რაც ჩვენი „სტრატეგიული“ პარტნიორის გეგმებში შედიოდა. ბიძინა ივანიშვილის** მიერ თავისი მილიარდების მოფრთხილებამ ქვეყნის 9-წლიანი მორალური და ეკონომიკური განაგება გამოიწვია. და, თუ დღეს „ნაცმოძრაობის“ მესვეურები რუსთაველზე მოსულ ხალხს ითვლიან და 60 ათასამდე დაჰყავთ, სად არის ის 280 ათასი კაცი, რომლებსაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უმძიმესი დანაშაულის მუხლი შეუფარდა და გაასამართლა? არადა, **„ოცნებამ“ ერთი ბოროტი დამნაშავე ციხეში ჩასვა და ნაციონალებმა ლამისაა თავები დაიხოცონ.**

დღეს შეიძლება ზოგს არ მოსწონს **ღარიბაშვილის, კობახიძისა** და მათი თანამებრძოლების პრინციპული და გაბედული გამოსვლები, მაგრამ მათ გამოსვლებში სახელმწიფოებრიობის ნიშნები ჩანს. ვნახოთ, როდემდე გასტანს მათი პრინციპულობა და დაუბრუნდება თუ არა საქართველოს თავისი სიამაყე და ავტორიტეტი (ეკონომიკაზე აღარ არის საუბარი), როგორიც მას 30 წლის წინათ ჰქონდა.

**ხელისუფლებას ვთხოვ: ნუ ხართ ჩაკეტილები კაბინეტებში, იმუშავეთ ხალხთან, ხალხს უპასუხეთ საჩივრებზე და დაიწყეთ სამართლიანობის აღდგენა. შეზღუდეთ ტელეეკრანებიდან ხალხისა და ქვეყნის მართვა. შექმენით საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც წინადადებებს დაგიყენებთ ხალხის სახელით და იხელმძღვანელეთ ხალხის მოთხოვნის საფუძველზე. ხალხმა ყველაფერი იცის, მას არაფერი დაემალება. მზეზე გამოდით — „მართალი კაცი მზეს არ დაემალება“. ქვეყანას მოექეცით ისე, როგორც საკუთარ თავსა და ოჯახს, თუ გინდათ, იყოთ ხალხის წარმმართველი ძალა!**

საზოგადოების გაღიზიანებასა და ხელისუფლებისადმი ნდობის დაკარგვას იწვევს ცილისწამება და სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებები, რომლებიც ისმის წარსულ ცხოვრებაზე. თითქოს სტალინურ ეპოქაში საზოგადოება ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობდა, ხოლო დღეს ბედნიერ დღეებს მოესწრო. ეს სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. არ ვამბობ, რომ საზოგადოების 5-10% დღეს ასჯერ უკეთ არ ცხოვრობს, ვიდრე საბჭოთა პერიოდში, მაგრამ 85-90% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის და დღეში 2 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. **შორს დარჩა ის დრო, როდესაც 1 კგ შავი პური 8 კაპიკი ღირდა, რუხი პური — 20 კაპიკი, უმაღლესი ხარისხის („ტრიდცატკის“ ფქვილის) — 30 კაპიკი, 1 კგ კარაქი — 2 მან და 40 კაპ., მარგარინი — 90 კაპ., ზეთი — 1 ლ (ნატურალური) – 30 კაპ., 1 კგ ლობიო — 15 კაპ., კვერცხი — 3 კაპ., 1კგ კარტოფილი — 15 კაპ., 1კგ მარილი — 3 კაპ., 1კგ შაქარი — 56 კაპ., პომიდორი — 10-50 კაპ., 1 კგ საქონლის ხორცი — 1 მანეთი და 80 კაპიკი, 1 კგ ძეხვი (უმაღლესი კატეგორია) — 4 მან., თევზი, ხიზილალა და ზღვის სხვადასხვა პროდუქტი სრულიად ხელმისაწვდომ ფასებში იყიდებოდა. 1 ლ ბენზინი 43 კაპიკი ღირდა; დიზელი — 3 კაპ; ნავთი — 3 კაპ.**

ახლა გაგაცნობთ ვაკის სტუდენტური ქალაქის (სადაც ცხოვრობდა 3 000 სტუდენტი) სასადილოს მენიუს:

I. უკრაინული ბორშჩი არაჟნით — 10 კაპ., 2. ხარჩო საქონლის — 15 კაპ., წვნიანი — 8 კაპ. და სხვ.

II. კატლეტი — 15 კაპ., რაგუ — 17 კაპ., აზუ — 17 კაპ., ბივშტექსი — 15 კაპ., რამშტექსი — 15 კაპ., ჩახოხბილი ბატის — 20 კაპ., სოუზი ღორის — 20 კაპ. და სხვ.

III. კისელი 200 გრ-იანი ჭიქით — 5 კაპ., ვაშლის, მსხლის, ატმის კომპოტი — 5 კაპ., კეფირი 0,5 ლ. – 12 კაპ. და სხვ.

სტუდენტთა ქალაქში ბინა უფასო (ლოგინი თეთრეულის ყოველკვირეული გამოცვლით), უფასო ელექტროენერგია, აბანო — 10 კაპ., კინოს ბილეთი 20 კაპ., ტროლეიბუსის ბილეთი — 4 კაპ., ტრამვაის — 3 კაპ., პაპიროსი „ყაზბეგი“, „პრიმა“ — 14 კაპ. შარვალი ჩინური მოდაზე შეკერილი — 7 მანეთი, პერანგი — 4 მანეთი, ტილოს ფეხსაცმელი ტყავის ძირზე — 12 მანეთი.

* **სწავლა** — უფასო. უმაღლესის დამთავრებისთანავე სახელმწიფო საატესტაციო კომისია გვაძლევდა საგზურს, თუ სად უნდა გვემუშავა. ადგილზე გამოცხადებისთანავე გვინაღდებდნენ გზის ხარჯებს და 1 თვის ხელფასს წინასწარ გვაძლევდნენ სამუშაოს დაწყებამდე. გვიყოფდნენ 1 500 კვ. მ-ის საკარმიდამო ნაკვეთს, გვაძლევდნენ უპროცენტო სესხს 7 წლით — 700 მანეთს. ასეთ პირობებში ვიზრდებოდით და ვსწავლობდით. თქვენ, ვინც არ იცნობთ ჩვენს წარსულ ცხოვრებას, გვეუბნებით, მონობაში ცხოვრობდითო. არადა, მონობაში დღეს ვცხოვრობთ. **აბა, ჰკითხეთ ჩემ შემდგომ თაობებს ჰქონდათ თუ არა ლაღი ცხოვრება და შემდეგ შეგეკითხებით თქვენ, დღევანდელ თაობას — ლაღია თქვენი ცხოვრება? ან თქვენ, დღევანდელი ხელისუფლების ახალგაზრდა წარმომადგენლებო, გქონდათ კი ისეთივე ლაღი ცხოვრება, როგორიც ჩემს თაობას? დაუფიქრდით პასუხს და განსაჯეთ, ვის როგორ ეპოქაში გვიცხოვრია. და რატომ უნდა უკვირდეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ჩემს თაობას და შემდგომ თაობებს მათი არ გვჯერა და ქვეყნის მომავალს უიმედოდ ვუყურებთ.**

ახლა მოკლედ მოგახსენებთ, რა ჰქონდა ქვეყანას საერთო სარგებლობაში და რა სიმდიდრეს ვფლობდით სტალინურ ეპოქაში:

* მეტალურგიული, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, ელმავალმშენებელი ქარხანა თბილისში, საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის მძლავრი კომბინატი და ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა გორში, გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურასა და ტყიბულში, ქვანახშირის, მარგანეცის, ტყვია-თუთიისა და ბარიტის მაღაროები და შახტები ტყიბულში, ტყვარჩელში, გელათში, ახალციხეში, ჭიათურაში, კვაისაში, ირში და სხვ., ქარხნები: „ელექტროავტომატი“, „ელექტროგამშვები“, „მიკროძრავა“, „გაზაპარატი“, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, ლითონის სახეხი დაზგებისა და ტექნიკური ქვის ქარხნები თბილისში, გემთმშენებელი, ჩაის მრეწველობის, მანქანათმშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები ბათუმში, მიწასაწოვი მანქანებისა და ექსკავატორების ქარხანა ფოთში, ქარხანა „ემალსადენი“ და ელექტროვიბრომანქანების ქარხანა სტალინირში (ცხინვალი), კაბელების ქარხანა ზესტაფონში, ხრამის, სოხუმის, ჭითახევის, ტყიბულის, შაორის, ჯუმათის, ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის, საკონსერვო, ეთერზეთოვანი, ზეთების, ტუნგოს ზეთსახდელი, ყველისა და რძის ქარხნები და სხვ.

* **საბჭოთა პერიოდში საქართველო აწარმოებდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, მაგისტრალურ ელმავლებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ექსკავატორებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებს, მინერალურ სასუქებს, მრავალგვარ ხელსაწყოს. თუჯის წარმოების მხრივ გავუსწარით მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე თუჯისა და ფოლადის წარმოების მიხედვით — იტალიას, იაპონიას, ინდოეთსა და თურქეთს. საქართველო აწარმოებდა მეტ ფოლადს, ვიდრე შვეიცარია და თურქეთი ერთად აღებული.**

* საზღვარგარეთ იგზავნებოდა ურთულესი ▶



**სტალინი თავის სტატიაში დემოკრატიის შესახებ წერდა: «კარგი რამ არის დემოკრატია, მაგრამ მას სამი რამ უნდა ახასიათებდეს: პირველი — ეს არის საზოგადოების კულტურულობა; მეორე — სოციალური უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, თუ ქვეყნის საზღვრებზე ბომბები ცვივა და ხალხი მილიტარიზებულია, ასეთ შემთხვევაში დემოკრატიაზე საუბარი სასაცილოა»**

**ალბათ, მალე დაბრუნდება მეცნიერების, ხელოვნების, კლასიკური მწერლობის, მივიწყებული ტრადიციების აღორინებისა და აყვავების ხანა. დღეს პოლიტიკოსები პოლიტიკანებმა ჩაანაცვლეს, მათემატიკოსები და ფიზიკოსები — ბიზნესმენებმა, ენათმეცნიერები — შოუმენებმა, ფიზიოლოგები — მანიკიურის გამკეთებლებმა, ხელოვნებათმცოდნეები — სტილისტებმა და ვიზაჟისტებმა, ექიმები — კოსმეტოლოგებმა და... სანამ ეს „ხელოსნობა“ და ლაქ-საღებავობა არის მოდური და პოპულარული პროფესიები, გარწმუნებთ, ქვეყანა ვერ განვითარდება, მაგრამ მწამს, რომ ქვეყანას კვლავ დაუბრუნდება ფუნდამენტური მეცნიერებები და კლასიკური ხელოვნება — ხიდი ნახიდარზე გაიდება და წყალი ნაგუბარში ჩადგება**

**1954 წლის დასაწყისში რესპუბლიკის მოსახლეობას უფასო და მაღალკვალიფიციურ მომსახურეობას უწევდა 12 803 ექიმი, 29 097 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი, ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 3 ექიმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე ექიმების რაოდენობის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა. გვქონდა 641 საავადმყოფო 26 261 საწოლით, 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## ნუ ხართ ჩაკეტილები კაბინეტებში, იმუშავეთ ხალხთან, ხალხს უპასუხეთ საჩივრებზე და დაიწყეთ სამართლიანობის აღდგენა. შეზღუდეთ ტელეეკრანებიდან ხალხისა და ქვეყნის მართვა. შექმენით საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც წინადადებებს დაგიყენებთ ხალხის სახელით და იხელმძღვანელეთ ხალხის მოთხოვნის საფუძველზე. ხალხმა ყველაფერი იცის, მას არაფერი დაემალება. მზეზე გამოდით — «მართალი კაცი მზეს არ დაემალება». ქვეყანას მოექეცით ისე, როგორც საკუთარ თავსა და ოჯახს, თუ გინდათ, იყოთ ხალხის წარმმართველი ძალა

◀ მანქანები, უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები და ფეროშენადნობი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო, კონიაკი, ჩაი, კონსერვები, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები, მარგანეცი, თამბაქო, ხილი.

* 1950-იან წლებში საქართველს სამრეწველო პროდუქცია წარმოდეგნილი იყო 16 საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაზე. 1953 წელს რესპუბლიკის ვენახები გაფართოვდა 11 ათასი ჰექტარით და მიაღწია 63 200 ჰექტარს, ხეხილის ფართობმა კი შეადგინა 100 ათასი ჰექტარი; საქართველო დაფარა სარწყავი არხების ფართო ქსელმა. გააცოცხლეს 330 ათასი მზით დამწვარი მიწის ფართობი; ამოაშრეს და ბრუნვაში მოექცა 105 ათასი დაჭაობებული მიწა. კოლხეთის ჭაობს გამოსტაცეს 220 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი; გაყვანილი იქნა ნატანებ-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმ-ადლერის, გორი-სტალინირისა და ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზები. დაიგო ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონი-საჩხერე; ზესტაფონი-ხაშურის ხაზის ელექტროფიკაციით მთელ სსრ კავშირში პირველად დაიწყო რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია 1952 წელს.

* რაც შეეხება **განათლებას,** 1953 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 670 ათასამდე მოზარდი, 30 ათასზე მეტი — მუშა და სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენელი — საღამოს სკოლებში. სკოლა-ინტერნატების ქსელში იყო 6 ათასზე მეტი ბავშვი. რესპუბლიკის 19 უმაღლეს და 100-ზე მეტ საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, დაუსწრებელთა ჩათვლით, სწავლობდა 77 ათასზე მეტი კაცი, აქედან 32 ათასი კაცი წარმოებისგან მოუწყვეტლად; უმაღლეს საწავლებლებში სწავლობდა 54 ათასზე მეტი სტუდენტი, მათგან საღამოს განყოფილებაზე — 3 500, დაუსწრებელზე — 22 ათასამდე სტუდენტი. 1954 წელს რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მოდიოდა საშუალო განათლების მქონე 315 კაცი, ხოლო უმაღლესი განათლების — 38 კაცი. ეს იმას ნიშნავს, რომ **საქართველომ საბჭოთა პერიოდში უმაღლესი და საშუალო განათლების მხრივ შორს ჩამოიტოვა ევროპის მოწინავე ქვეყნები, რომ არაფერი ვთქვათ მეზობელ ქვეყნებზე — ირანსა და თურქეთზე. ყოველ ათას ადამიანზე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რაოდენობა საქართველოში 10-ჯერ მეტი იყო, ვიდრე თურქეთში; 50-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში; 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. იმხანად ჩვენ გვყავდა გაცილებით მეტი ექიმი, ინჟინერი, აგრონომი, ვიდრე ირანსა და თურქეთს ერთად.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა სისტემებში გაერთიანებულ 145 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში, ლაბორატორიაში, საცდელ ბაზასა და რესპუბლიკის 19 უმაღლეს საწავლებელში მუშაობდა 8 ათასამდე მეცნიერ-მუშაკი, მათ შორის 400-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, 3 ათასზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და 4 500-ზე მეტი სხვა მეცნიერ-მუშაკი.

ქართველმა მეცნიერებმა — მათემატიკოსებმა, ფიზიკოსებმა, გეოლოგებმა, ბიოლოგებმა, ფიზიოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა და მათ მიერ შექმნილმა მრავალმა შრომამ სპეციალისტების დიდი მოწონება და აღიარება მოიპოვეს არამხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის


სასტუმრო „ივერია“ 1970-იან წლებში

ფარგლებს გარეთაც. ასეთები იყვნენ მსოფლიოში აღიარებული საბჭოთა კავშირის აკადემიის აკადემიკოსები **მუსხელიშვილი (მათემატიკა), ბერიტაშვილი (ფიზიოლოგია), ვეკუა (მათემატიკა), აკადემიკოსები — ჩიქობავა, შანიძე, ჩუბინაშვილი, ჯანელიძე, ჯავახიშვილი, ზურაბაშვილი, დავითაშვილი, ნათიშვილი** და სხვ. სტალინურ ეპოქაში ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს გამომთვლელი მანქანები, უნიკალური ხელსაწყოები რძის ცხიმიანობისა გამოსარკვევად, ხელსაწყო ნიადაგის მჟავიანობის შესამოწმებლად ტენსაზომი, რომელიც ობიექტურად განსაზღვრავდა ჩაისა და თამბაქოს ტენიანობას, ჩაის საკრეფი მანქანები, ახალი კონსტრუქციის ტრაქტორები. ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტმა შექმნა და მრეწველობაში დანერგა 6 გამომთვლელი მანქანა. საქართველოს მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის რესპუბლიკის 67 მეცნიერ-მუშაკს მიენიჭა სტალინური პრემია.

* **კულტურა** ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებდა 20-ზე მეტი სახალხო თეატრი და 2 000-ზე მეტი თვითმოქმედი კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდა 46 ათასამდე კაცს. ქართული ხელოვნების მრავალი დარგის 64 წარმომადგენელს მიენიჭა სტალინური პრემია. 16 მუშაკი ატარებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ხოლო 400-მდე კაცი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებას.

* **ლიტერატურა. გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ ნონეშვილი, გრიგოლ აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია, პარმენ ლორიადა** ა.შ. შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილის დღეებში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიმართვა გამოუგზავნა იუბილის მომწყობ კომიტეტს, რომელშიც ნათქვამი იყო: **„ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, შოთა რუსთაველის, ქმნილებამ სახელი გაითქვა მრავალ ქვეყანაში და ხალხი ყველგან თქვენთან ერთად აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, როგორც მსოფლიო კულტურის დღესასწაულს“.**

* **მედიცინა.**

1954 წლის დასაწყისში რესპუბლიკის მოსახლეობას უფასო და მაღალკვალიფიციურ მომსახურეობას უწევდა 12 803 ექიმი, 29 097 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი, ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 3 ექიმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე ექიმების რაოდენობის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა. გვქონდა 641 საავადმყოფო 26 261 საწოლით, 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი. ხელისუფალნო და საქართველოს ახალგაზრდობავ, ნუ დასცინით წარსულს, ის თქვენი შვილების მომავალია.

ალბათ, მალე დაბრუნდება მეცნიერების, ხელოვნების, კლასიკური მწერლობის, მივიწყებული ტრადიციების აღორძინებისა და აყვავების ხანა. დღეს პოლიტიკოსები პოლიტიკანებმა ჩაანაცვლეს, მათემატიკოსები და ფიზიკოსები — ბიზნესმენებმა, ენათმეცნიერები — შოუმენებმა, ფიზიოლოგები — მანიკიურის გამკეთებლებმა, ხელოვნებათმცოდნეები — სტილისტებმა და ვიზაჟისტებმა, ექიმები — კოსმეტოლოგებმა და... სანამ ეს „ხელოსნობა“ და ლაქ-საღებავობა არის მოდური და პოპულარული პროფესიები, გარწმუნებთ, ქვეყანა ვერ განვითარდება, მაგრამ მწამს, რომ ქვეყანას კვლავ დაუბრუნდება ფუნდამენტური მეცნიერებები და კლასიკური ხელოვნება — ხიდი ნახიდარზე გაიდება და წყალი ნაგუბარში ჩადგება.

**„ნუ გვეუბნებით, ორ მთას შორის ხიდს ვერ გასდებთო —**
**ორი პერანგი თქვენზე მეტი გაგვიცვეთია**
**და ნუ დაგვცინით, ჩვენი ქვეყნის ახლაგაზრდებო“**

**«ქართული ოცნების» მანკიერი მხარეები, რომლებიც, ძირითადად, კოაბიტაციაში გამოვლინდა, ვფიქრობ, მთლიად ხელისუფლების ბრალი არ უნდა იყოს. ეს ის ფარული უცხო ხელია, რომელსაც არ სურდა, საქართველოს შეეცვალა გზა და ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაეწყო. «ქართული ოცნების» დიდი შეცდომა იყო დაპირისპირებულ ნაცებთან აღრევა, რომლებიც არანაირ თამაშის წესებს არ იცავენ, რომლებიც ჩვენი «სტრატეგიული» პარტნიორის გეგმებში შედიოდა**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნატოს ხელმძღვანელებმა არაერთხელ მკაფიოდ განაცხადეს, რომ 2030 წლამდე ალიანსის გაფართოება, უბრალოდ, არ განიხილება. ანუ ისე კი არ დგას საკითხი, რომ ამა და ამ მოთხოვნებს თუ დავაკმაყოფილებთ ან ჩვენ, ან უკრაინა, შესაძლოა, რაღაც ნაბიჯები გადაიდგას და პროცესი დაიძრას, არა, პირდაპირ ითქვა, რომ საკითხი არ განიხილება“.**



გურამ ნიკოლაიშვილი:

# საუბარი იმაზე, რომ თურმე სააკაშვილის გამოშვება-არგამოშვებაზეა დამოკიდებული, შევალთ თუ ვერა ნატოში, სრული აბსურდია

**სააკაშვილი არავინ არ არის, ის დამთავრებულია... სააკაშვილის პატიმრობით შეშფოთებული „დემოკრატიული“ დასავლეთი ქართულ დემოკრატიას ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ქვეყნის ევრო-ატლანტიკური კურსის ურყევობაში ეჭვი შეაქვს. ოკეანის გაღმაც და გამოღმაც „პარტნიორები“ ყველაზე გავლენიანი ინსტიტუციების ყოფილი მაღალჩინოსნების პირით უკვე დაუფარავად გვეუბნებიან, რომ ქვეყანაში პოლიტიკური რეპრესიებია; ხოლო მათ მიერ წლების წინათ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილი „ბელადი“ თურმე ამ რეპრესიების მთავარი სამიზნეა, ეს კი განვითარების შანსს ართმევს სახელმწიფოს...**

ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **ანდერს ფოგ რასმუსენმა** რამდენიმე დღის წინათ ქვეყანაში 2 ოქტომბრის შემდეგ შექმნილი ვითარება შეაფასა. „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში მან პოლიტიკურ პოლარიზაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე კრიზისმა, შესაძლოა, საქართველო კიდევ უფრო დააშოროს ალიანსში გაწევრების პერსპექტივას: „მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი შეიძლება ნატოს იმ წევრებმა გამოიყენონ საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამ საკითხის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი. მათ შეუძლიათ, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები კიდევ ერთ დამატებით არგუმენტად გამოიყენონ იმისთვის, რატომ არ უნდა მიიწვიონ საქართველო ნატოში. ჩემი რჩევა, ცხადია, ის არის, რომ მთავრობამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურება შეძლოს... წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მიმართ არა მხოლოდ კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, არამედ, საზოგადოდ, ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ახალი კითხვები გაჩნდება...“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დასავლეთს კითხვები არ გასჩენია, როცა სააკაშვილი ქვეყანაში არჩევნების წინა საღამოს ტრაილერში დამალული რევოლუციური სცენარით შემოიპარა და ამით არა მხოლოდ ქართული „დემოკრატია“, მთლიანად სახელმწიფო დააყენა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის წინაშე, ზემოაღნიშნული განცხადების პათოსი გასაგებია — დასავლეთი, ამ შემთხვევაში ნატო, საქართველოში შექმნილ ვითარებას იყენებს საბაბად, რათა საქართველოს ალიანსში ვერ მიღება კიდევ უფრო „მყარი“ არგუმენტებით „ახსნას...“

**რა გავლენას ახდენს დღეს საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე სააკაშვილის პატიმრობა და ცვლის თუ არა ეს სინამდვილეში ქვეყნის ისედაც უპერსპექტივო სწრაფვას ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ამას წინათ ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ სააკაშვილის პატიმრობა, შესაძლოა, სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს ქვეყნისთვის ალიანსში გაწევრების გზაზე. მისი თქმით, ეს კიდევ უფრო გააღრმავებს აქ დემოკრატიის განვითარების მიმართ საერთაშორისო სკეპტიციზმს. რა მიზანს ემსახურება მსგავსი შეფასებები და რა მოაქვს ჩვენთვის ამას შედეგად დღევანდელ ვითარებაში?**

— რას ემსახურება და რა მოაქვს შედეგად, ამას, ალბათ, დრო უფრო გვიჩვენებს, მაგრამ მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ნატოში საქართველოს მიღება-არმიღება და, საერთოდ, ქვეყნის, როგორც გარკვეულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში არსებული მოცემულობის, მნიშვნელობის განსაზღვრა, არის ის საკითხი, რომელიც, შესაძლოა, სააკაშვილის მდგომარეობაზე ასე ერთმნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული. **სააკაშვილი არავინ არ არის და საკითხის ასე დაყენება, რომ, თუ ის ციხეში დარჩება, საქართველო, შესაძლოა, საერთაშორისო დღის წესრიგიდან ჩამოიწეროს, აბსოლუტურად არაადეკვატური მიდგომაა, ამიტომ, ერთია, როცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ან სხვა რომელიმე დიდი ორგანიზაციის ყოფილ მაღალჩინოსანს ვიღაც რაღაცას ალაპარაკებს ან თვითონ ლაპარაკობს გარკვეული სუბიექტური კონიუქტურიდან გამომდინარე; და მეორე — ობიექტური მოცემულობა.** სხვათა შორის, ამას წინათ, როცა ამერიკის თავდაცვის მდივანი იმყოფებოდა საქართველოში, მას საერთოდ არ უხსენებია სააკაშვილი. მან აქცენტები გააკეთა სამხედრო თანამშრომლობაზე, უსაფრთხოებაზე და ა.შ. **რაც შეეხება კონკრეტულად ნატოს, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არაერთხელ მკაფიოდ განაცხადეს, რომ 2030 წლამდე ალიანსის გაფართოება, უბრალოდ, არ განიხილება. ანუ, ისე კი არ დგას საკითხი, რომ ამა და ამ მოთხოვნებს თუ დავაკმაყოფილებთ ან ჩვენ, ან უკრაინა, შესაძლოა, რაღაც ნაბიჯები გადაიდგას და პროცესი დაიძრას, არა, პირდაპირ ითქვა, რომ საკითხი არ განიხილება. აი, ეს არის მათი პოზიცია, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ თურმე სააკაშვილის გამოშვება-არგამოშვებაზეა დამოკიდებული, შევალთ თუ ვერა ალიანსში, არის სრული აბსურდი...**

**— სააკაშვილის პატიმრობის გამო დასავლეთის წნეხსაც ნაკლებად უნდა ველოდოთ?**

— სააკაშვილის გამო არც შეფერხდება საქართველოს ნატოში გაწევრება და არც დაჩქარდება, სააკაშვილი არავინ არ არის, ის დამთავრებულია, ამიტომ ის განცხადებები, რომლებიც მის გარშემო კეთდება, არის მხოლოდ სპეკულაციები.

რაც შეეხება წნეხს, ჯერჯერობით რა დონეზეც ვისმენთ მხარდამჭერ შეფასებებს, რომ სააკაშვილი რეპრესიების მსხვერპლია და დევნა უნდა შეწყდეს, ეს არის კონკრეტული ინტერესების მქონე კონკრეტული ჯგუფების შეფასებები. ძირითადად, საუბარია იმ ევროპარლამენტარებზე, რომლებსაც ან წარსულში, ან დღეს რაღაც აკავშირებდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“. არ მგონია, რომ ეს ყველაფერი, ჯამში, იქნება უზარმაზარი რაღაც წნეხის განმაპირობებელი, თუმცა, მეორე მხრივ, ხელისუფლება მზად უნდა იყოს ამისთვის... აქვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხები, რომელიც მიმდინარე მოვლენების ფონზე, ცოტა არ იყოს, უკანა პლანზეა გადაწეული. **ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ დასავლეთი ყურადღებით აკვირდება აქ მიმდინარე პროცესებს, რომ ქართული დემოკრატიის ბედი დასავლელების აღქმებზეა დამოკიდებული და ა.შ. რეალურად დასავლეთს და განსაკუთრებით ევროპას, რომელიც სერიოზული პრობლემების წინაშეა ენერგოუზრუნველყოფის თვალსაზრისით, ბუნებრივი აირით მომარაგების თვალსაზრისით, სცალია საქართველოსთვის?!** სცალია მას იმისთვის, რომ პოლიტიკური ფსონი აქ მიმდინარე მოვლენებზე დადოს და დიდი მასშტაბით ჩაერიოს პროცესში?! საეჭვოა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ **ევროპელები, უკვე დიდი ხანია, ლაპარაკობენ უსაფრთხოების თავიანთი სისტემის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც ნაკარნახევია იმით, რომ ნატო ვეღარ უზრუნველყოფს მათ დაცულობას არსებული გამოწვევების ფონზე. არაფერს ვამბობ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავღანეთის ომთან, პანდემიასთან, უკონტროლო მიგრაციასთან და ა.შ.** სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ცხადი შეიქნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედება საკმარისი ვერ იქნებოდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის შესაჩერებლად, ევროკავშირის რიტორიკა განსაკუთრებით შეიცვალა. დღეს უკვე აღარ არის ის ვითარება, როცა შეიძლება საკითხის ასე დაყენება, რომ ჩაერევა თუ არა დასავლეთი რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში, ჩაერევა თუ არა იმ ფორმით, როგორც, ვთქვათ, 10-15 წლის წინათ ერეოდა...

**— თუმცა უკრაინის მოვლენები ცხადყოფს, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ინსტრუმენტად სხვა ქვეყნების გამოყენების პრაქტიკას დასავლეთი კვლავ განაგრძობს...**

**«მე ვერ ვიტყოდი, რომ ამ ეტაპზე რამე არსებითი პოლიტიკური გარდაქმნების წინაპირობები არსებობს. არ არსებობს და ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, იმიტომ, რომ დღეს ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფ ორივე სუბიექტს — «ოცნებასაც» და «ნაცმოძრაობასაც» — ერთი და იგივე გარე ძალა ასაზრდოებს, ორივე მათგანს პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ლიბერალური დასავლეთი ანიჭებს, რაც, რა თქმა უნდა, მათთვის გარკვეულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას გულისხმობს»**

— გეთანხმებით. არ ვამბობ, რომ, რადგან ჩვენთვის არ სცალიათ და თავიანთი პრობლემებიც საკმარისად აქვთ, საერთოდ არანაირი ჩარევა არ იქნება. ცხადია, როცა საუბარია ამხელა მასშტაბების პოლიტიკურ ვექტორზე, იქ ყოველთვის მოიძებნება ჩვენთვის გარკვეულ დონეზე საკმარისი ძალა, რომელიც აქ სერიოზულ კორექტივებს შეიტანს პროცესებში. რაც შეეხება კონკრეტულად უკრაინას, გეთანხმებით, უკრაინაში ისევ იძაბება მდგომარეობა და არ არის გამორიცხული, უფრო დაიძაბოს. ვფიქრობ, რომ ჩვენთვის ეს ყველაფერი, იმ დროს, როცა მეტ-ნაკლები პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობები ჩნდება, ერთგვარი გაკვეთილის როლს უნდა ასრულებდეს. **უნდა გვესმოდეს, რომ რაღაც მომენტში ჩვენც შეიძლება ისევ აგვაფეთქონ, ისევ გაგვააქტიურონ, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი რუსეთის წინააღმდეგ და გამოგვიყენონ ერთჯერადი დანიშნულებით...**

**«უნდა გვესმოდეს, რომ რაღაც მომენტში ჩვენც შეიძლება, ისევ აგვაფეთქონ, ისევ გაგვააქტიურონ, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი რუსეთის წინააღმდეგ, და გამოგვიყენონ ერთჯერადი დანიშნულებით»**

**— და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?**

— შედეგი იქნება იმის გაგრძელება, რაც იყო 2008 წელს... **თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველომ ნელ-ნელა უნდა დააღწიოს თავი ილუზიებს ნატოს ან ევროკავშირის მიმართ და სახელმწიფო პოლიტიკა ეროვნული ინტერესების დღის წესრიგს დაუქვემდებაროს, თუ ვსაუბრობთ დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური მონობის მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებლობაზე, ეს ყველაფერი უნდა განისაზღვროს კონკრეტული მოქმედებებით.** ჩვენ უნდა ვიფიქროთ აფხაზებსა ოსებთან პირდაპირ დიალოგზე და, რაც მთავარია, საფიქრალია რუსეთზე. მართლა როდემდე უნდა ვიყოთ იმ სასაცილო მდგომარეობაში, როცა ქვეყნის სათავეში მყოფი ძალა დაკომპლექსებულია ქვეყნის გარედან დაფინანსებული ერთი მუჭა მარგინალების მიერ იარლიყების მიკერების „საფრთხით“, რომ არიქა, რუსეთის აგენტი არ დამიძახონ. დამიძახონ და იყვნენ, ვის რაში აინტერესებს, უნდა გავაცნობიეროთ, რომ აი, ამ მდგომარეობამ სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანა...

**— არსებული ხელისუფლების პირობებში ცვლილებების განხორციელების გჯერათ?**

— რა თქმა უნდა, არ მაქვს ილუზია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ცვლილებებს ერთი ხელის მოსმით განახორციელებს. არ მოხდება ეს თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებას კონსტიტუციით აქვს ზოგი ვალდებულება... რაც შეეხება მთლიანობაში ცვლილებებს, ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების ან ნატოსკენ სწრაფვის კუთხით რეალობას მმართველ გუნდში ზოგიერთი ზუსტად აფასებს, თუმცა შეუძლიათ თუ არა მათ გადამწყვეტი როლის შესრულება დიდ პოლიტიკურ ცვლილებებში, რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვიტყოდი, რომ ამ ეტაპზე რამე არსებითი პოლიტიკური გარდაქმნების წინაპირობები არსებობს. არ არსებობს და ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, იმიტომ, რომ დღეს ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფ ორივე სუბიექტს — „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ — ერთი და იგივე გარე ძალა ასაზრდოებს, ორივე მათგანს პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ლიბერალური დასავლეთი ანიჭებს, რაც, რა თქმა უნდა, მათთვის გარკვეულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას გულისხმობს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ამერიკის მისწრაფებაში, ეს ქვეყნები ნატოში შეიყვანოს, ბიუკენენი ხედავს სურვილს, უზრუნველყოს მათთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები, რათა ევროპამ ამერიკასთან ერთად იბრძოლოს, თუკი მოხდება რუსეთთან კიდევ ერთი ისეთი კრიზისი, როგორიც იყო საქართველოში 2008 წლის აგვისტოში. გაკვირვებას იწვევს ის, რომ აშშ-მა შავი ზღვა თავისი უსაფრთხოების სასიცოცხლო ზონად გამოაცხადა.**

«სტრატეგიული პარტნიორი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავღანეთიდან გაქცევამ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ნდობას სერიოზულად დაარტყა. მოკავშირეები დაეჭვდნენ, შეუძლია თუ არა ვაშინგტონს თავისი მოვალეობების შესრულება, ხოლო მოწინააღმდეგეებს, როგორც ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი ვარაუდობს, „გაუჩნდათ ცდუნება, შეამოწმონ აშშ-ის სიმტკიცე და გაბედულება ან კიდევ უფრო შელახონ მისი რეპუტაცია“. ბაიდენს სთავაზობენ, გაბედული რეაქცია ჰქონდეს, ბოროტგანმზრახველთა წინააღმდეგ ერთობლივად გამოიყენოს დიპლომატიური და ეკონომიკური მეთოდები და სამხედრო ძალაც კი.**

# აშშ-ს საქართველო და უკრაინა სჭირდება, როგორც მოედანი ნატოს წინსვლისთვის რუსეთის საზღვრებისკენ

## «რატომ ვებღაუჭებით კიევსა და თბილისს?»

ამერიკული პოპულარული გამოცემა The American Conservative თავის 23 ოქტომბრის სარედაქციო წერილში სვამს კითხვას: **ბაიდენის ადმინისტრაციას ამერიკელები ახალი ომისკენ ხომ არ მიჰყავს?**

ამერიკელების შიში განპირობებულია თეთრი სახლის განზრახვით, მხარი დაუჭიროს თითოეულ ქვეყანას, რომელსაც კონფლიქტი აქვს რუსეთსა და ჩინეთთან. ლაპარაკია, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონზეც, რომელშიც, როგორც წერილშია აღნიშნული, აშშ „გადაკვრით მიუთითებს კონფრონტაციასა და შესაძლო ომზეც კი რუსეთთან“.

წერილის ავტორი **პატრიკ ბიუკენენი,** The American Conservative-ს რედაქტორ-დამფუძნებელი (რესპუბლიკური პარტიის პალეოკონსერვატიული ფრაქციის იდეოლოგი — გ.გ.) გაოცებულია: „რატომ ვებღაუჭებით კიევსა და თბილისს?“ **ამერიკის მისწრაფებაში, ეს ქვეყნები ნატოში შეიყვანოს, ბიუკენენი ხედავს სურვილს, უზრუნველყოს მათთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები, რათა ევროპამ ამერიკასთან ერთად იბრძოლოს, თუკი მოხდება რუსეთთან კიდევ ერთი ისეთი კრიზისი, როგორიც იყო საქართველოში 2008 წლის აგვისტოში. გაკვირვებას იწვევს ის, რომ აშშ-მა შავი ზღვა თავისი უსაფრთხოების სასიცოცხლო ზონად გამოაცხადა.**

პენტაგონში მიაჩნიათ, რომ მას, ვინც აკონტროლებს შავ ზღვას ან ვინც მასზე დომინირებს, შეუძლია გაავრცელოს თავისი ძალაუფლება ბალკანეთზე, ცენტრალურ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაზე, აგრეთვე, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვასა და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთზე. **შავი ზღვისპირეთის 6 ქვეყნიდან სამი (ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი) ნატოს წევრია და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების გარანტიების ქვეშ ხვდება. კიდევ ორ ქვეყანას (საქართველო და უკრაინა) სურს ნატოში შესვლა, მაგრამ ჯერ მხოლოდ „პარტნიორის“ სტატუსი აქვთ. ამერიკის მთავარ მიზნად კვლავ რუსეთი რჩება.**

ვაშინგტონი ცდილობს, უზრუნველყოს აშშ-ისა და ნატოს ყოფნა უკრაინასა და საქართველოში. ფონდმა „მემკვიდრეობამ“ (The Heritage Founfatiin) შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები ჯო ბაიდენის ადმინისტრაციისთვის. მოხსენებაში **„მოქმედების დროა: აშშ-მა და ნატომ არ შეიძლება, თავს შავი ზღვის რეგიონის იგნორირების უფლება მისცენ“; რომელიც პენტაგონის შეფის, ლოიდ ოსტინის საქართველოში, უკრაინასა და რუმინეთში ვიზიტის წინ გამოქვეყნდა, პირდაპირ არის მითითებული, რა უნდა გააკეთოს თავდაცვის მინისტრმა.**

საქართველოში ჩასულმა პენტაგონის შეფმა დაადასტურა, რომ აშშ მომხრეა „უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობისა და დახმარების, სამომავლოდ მისი თავდაცვისუნარიანობის განვითარებისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების წინ წამოწევის. ოსტინს არ დავიწყებია „იმ საფრთხის შეხსენება, რომელსაც რუსეთი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონისთვის წარმოადგენს“, **მაგრამ პენტაგონის შეფმა ვერ გაბედა, შეესრულებინა Heritage-ის რეკომენდაცია, საქართველოც მიეწვია პოლონეთში განლაგებულ მრავალეროვან ბატალიონში აშშ-ის ხელმძღვანელობით.**

**შეგახსენებთ:** აშშ-ის ინიციატივით, მრავალეროვანი საბრძოლო ჯგუფები 2017 წელს განალაგეს ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და პოლონეთში. ეს მოხდა რუსეთის „შესაკავებელი“ პროგრამის (Enhanced Forward Presence) ჩარჩოებში. ამ საბრძოლო ქვედანაყოფებში მონაწილეობა ნიშნავდა იმას, რომ საქართველო მიიღებდა ნატოს არაფორმალურ სრულუფლებიან წევრობას.

Heritage-ის თანამშრომლების ჩანაფიქრით, ამით შეიძლებოდა რუსეთის რეაქციის შემოწმება და, შესაძლოა, მოსკოვის პროვოცირებაც დაძაბულობის გასამწვავებლად.

**კიევს** ოსტინი დაჰპირდა, რომ აშშ უკრაინას მისცემს დამატებით სამხედრო დახმარებას 60 მლნ დოლარის ოდენობით, შედეგად მიმდინარე წელს უკრაინის სამხედრო სიმძლავრე 400 მლნ დოლარს გადააჭარბებს. ეს ტრამპისდროინდელ დახმარებაზე მეტია, ამასთანავე, თუკი ტრამპის პერიოდში იარაღის მიწოდების შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო შეზღუდვები მის გამოყენებაზე საომარი მოქმედებების ზონებში აღმოსავლეთ უკრაიაში, ახლა ლაპარაკია იარაღის დიდი რაოდენობით მიწოდებაზე ნაკლები შეზღუდვებით.

კიევში თავდაცვის მინისტრებმა იმსჯელეს, დაიწყონ იმ შეთანხმებების რეალიზაცია, რომლებიც ჩაწერილია 2021 წლის 31 აგვისტოს ხელმოწერილ დოკუმენტში „აშშ-სა და უკრაინის სტრატეგიული თავდაცვის ჩარჩოები“. ეს არის სხვა სახელმწიფოებთან აშშ-ის ურთიერთობის ტიპური მემორანდუმის ასლი.



**ბევრი პათოსი, არანაირი კონკრეტიკა, მხოლოდ დაპირებები „მჭიდრო თანამშრომლობაზე“. ამერიკელებს უკრაინა სჭირდებათ არა როგორც მოკავშირე სამხედრო სახელმწიფო, არამედ როგორც მოედანი ნატოს წინსვლისთვის აღმოსავლეთში, რუსეთის საზღვრებისკენ.**

**ბევრი პათოსი, არანაირი კონკრეტიკა, მხოლოდ დაპირებები «მჭიდრო თანამშრომლობაზე». ამერიკელებს უკრაინა სჭირდებათ არა როგორც მოკავშირე სამხედრო სახელმწიფო, არამედ როგორც მოედანი ნატოს წინსვლისთვის აღმოსავლეთში, რუსეთის საზღვრებისკენ**

**2021 წლის 23 ივნისს შავი ზღვის ფლოტმა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო დანაყოფებთან ერთად ფიოლენტის კონცხის რაიონში აღკვეთა საზღვრის დარღვევა ბრიტანული ნაღმოსნის — DEFENDER-ის მხრიდან. ეს მოქმედება შეფასდა, როგორც საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის უხეში დარღვევა... „მომხდარზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეაქცია იყო ძალიან მკაცრი. აქედან გამომდინარე, ნათელია: პროვოკაცია არ უნდა განმეორდეს, პასუხი წესდების შესაბამისი იქნება. წესდების მიხედვით კი, საზღვრის დამრღვევი უნდა ჩაიძიროს“.**




რაც შეეხება **რუმინეთს,** რომელსაც, აგრეთვე, ეწვია ლოიდ ოსტინი, ამ ქვეყანაში აშშ იყენებს ბაზებსა და საწვრთნელი პოლიგონების რამდენიმე ადგილს. ამასთანავე, ამ ბაზების შენახვის ხარჯები რუმინეთმა დაიკისრა — თითქმის 3 მლრდ დოლარს ხარჯავს **მიხაელ კოგელნიჩანუს** ავიაბაზის მოდერნიზებისთვის ნატოს სტანდარტების შესაბამისად, ამას გარდა, რუმინეთში (დევესელუ) არის ობიექტი Aegis Ashore, რომელმაც ფუნქციობა 2016 წლის მაისში დაიწყო და ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

**აშშ-ისა და ევროპისგან თურქეთის დისტანცირების გათვალისწინებით რუმინეთი ნელ-ნელა ხდება მთავარი ანტირუსული პლაცდარმი შავი ზღვის აუზში.** ამჟამად ნატო დაკავებულია თავისი შემდეგი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებით. **ბაიდენის ადმინისტრაცია მუშაობს შავი ზღვის რეგიონის ჩასართავად რეგიონული უსაფრთხოების სტრატეგიაში იმ მიზნით, რომ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებისთვის შეიმუშაოს ეფექტიანი მეთოდები რუსეთთან მათ დასაპირისპირებლად. ნატოში უკრაინისა და საქართველოს მიღების შემთხვევაში ეს რუსეთისთვის პირდაპირი მუქარა იქნება.**

ამერიკელები უბიძგებენ ევროპასაც, კერძოდ, აშშ-მა წამოაყენა წინადადება, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ხომალდებმა პატრულირება დაიწყონ შავ ზღვაში. 1936 წლის მონტრეს კონვენციის თანახმად, შავ ზღვაში ერთდროულად მყოფი არაშავიზღვისპირული სახელმწიფოების ყველა ხომალდის წყალწყვა 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობისგან შავ ზღვაზე როტაციული წესრიგის დაწესებას მოითხოვს. წინადადება მუშავდება, მას პირველი გამოეხმაურა დიდი ბრიტანეთი. **2021 წლის 23 ივნისს შავი ზღვის ფლოტმა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო დანაყოფებთან ერთად ფიოლენტის კონცხის რაიონში აღკვეთა საზღვრის დარღვევა ბრიტანული ნაღმოსნის — Defender-ის მხრიდან. ეს მოქმედება შეფასდა, როგორც საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის უხეში დარღვევა.**

კრემლში ეჭვი არ ეპარებათ, რომ პროვოკაცია აშშ-ში დაიგეგმა. აშშ-ს, რომელმაც მოსინჯა შავ ზღვაში თავის მოქმედებაზე მოსკოვის რეაქცია, იმედი აქვს, რომ რუსები გაბედულად ვერ იმოქმედებდნენ, მაგრამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა Defender-ის პროვოკაციის შემდეგ მკაფიოდ განაცხადა: **„მომხდარზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რეაქცია იყო ძალიან მკაცრი, აქედან გამომდინარე, ნათელია: პროვოკაცია არ უნდა განმეორდეს, პასუხი წესდების შესაბამისი იქნება. წესდების მიხედვით კი საზღვრის დამრღვევი უნდა ჩაიძიროს“.**

vpoanalytics.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ევრო-სტაგნაცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ღარიბდებიან, აგრეთვე, ევროპის ის ქვეყნებიც, რომლებიც უწინ მდიდარ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ. მაგალითად, ბრიტანეთში, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის მარტში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა 14,5 მლნ ადამიანი. გაერთიანებულ სამეფოში ამჟამად შექმნილ ვითარებას ნათლად წარმოაჩენს ლონდონსა და სხვა ქალაქებში უფასო სადილის მისაღებად დამდგარი ადამიანების რიგები.**

# ევროპის გაღატაკება

## «ფორბსის» პირქუში პროგნოზი ახდა

**2013 წლის აპრილში დანიელმა ჟურნალისტმა ლარს კრისტენსენმა ამერიკულ ჟურნალ „ფორბსში“ გამოაქვეყნა სტატია მრავლისმეტყველი სათაურით: „ღარიბი ევროპა. როგორი მომავალი ელოდება ევროკავშირს“. მასალაში კრისტენსენმა ევროკავშირის ქვეყნებს პირქუში მომავალი უწინასწარმეტყველა: „გადასახადები მნიშვნელოვნად მოიმატებს ამჟამინდელ დონესთან შედარებით. დაწესდება გადასახადები, რომლებიც პირდაპირ ევროკავშირის ბიუჯეტში გადაირიცხება. მათ წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ევროკავშირიდან გასვლას, შემოიღებენ უზარმაზარ გადასახადებსა და ჯარიმებს... რიგ რეგიონებში: ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და სხვაგან გამეფდება სიღატაკე. უზარმაზარი ძალაუფლება თავს მოიყრის გერმანელთა (და ფრანგების, როგორც მათი მხარდამჭერების) ხელში“.**


პარიზის გარეუბანი

„ევროკავშირში დაიწყება ეკონომიკური სტაგნაცია, — იწინასწარმეტყველა „ფორბსმა“, — საფინანსო სექტორი გადაინაცვლებს აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, ჰონკონგსა და სინგაპურში. მრეწველობა წავა აზიაში. ახალგაზრდა ნიჭიერი და განათლებული ადამიანები წავლენ რაც შეიძლება შორს, ევროკავშირს კი ექნება წამყვანი პოზიციები სიმბოლურ და არარაციონალურ სფეროებში, ისეთებში, როგორიც არის ბრძოლა ნახშირბადის დიოქსიდის მავნე გამონაბოლქვების წინააღმდეგ, ეკოლოგიურად სუფთა კომპანიების მხარდაჭერა და სხვა ძვირად ღირებული და ეკონომიკურად უპერსპექტივო პროექტები.

სულ უფრო ხშირად ჩაიხშობენ სიტყვის თავისუფლებას... პოლიტკორექტულობა მიაღწევს არნახულ ზომებს“.

გავიდა მხოლოდ 8 წელიწადი და „ფორბსის“ პროგნოზი ახდა. Eurostat-მა გამოაქვეყნა მონაცემები ევროპის ქვეყნების მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. „მონაცემები ნაკლებად სანუგეშოა, ხოლო, მაგალითად, საბერძნეთის მონაცემები, უბრალოდ, სულისშემძვრელია“, — წერს ბერძნული გაზეთი „რუსული ათენი“. **საბერძნეთი უფსკრულისკენ მიექანება, მისი მოსახლეობის 27,5%-ს სიღარიბე ემუქრება. საქმე უფრო ცუდად მხოლოდ რუმინეთსა და ბულგარეთშია. სიღარიბის დონის მიხედვით საბერძნეთზე ოდნავ უკეთესი მაჩვენებლები აქვს ესპანეთს — 27%.**

ამასთანავე, ევროკავშირში სიღარიბის საშუალო მაჩვენებელი 21,9%-ს შეადგენს. საბერძნეთში სიღარიბის ან სოციალური იზოლაციის ზღვარზეა ახალგაზრდების (18 წლამდე) 31,5%, 65 წელს ზემოთ ადამიანების 19,3%-ს სიღატაკის საფრთხე ემუქრება.

**რუმინეთში** კი ღარიბი მოსახლეობა ევროპის მდიდარ ქვეყნებში მიუშაობს, ან ბოთლების შეგროვებითა და გაყიდვით ან მათხოვრობით ირჩენს თავს.

**ღარიბდებიან, აგრეთვე, ევროპის ის ქვეყნებიც, რომლებიც უწინ მდიდარ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ. მაგალითად, ბრიტანეთში, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის მარტში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა 14,5 მლნ ადამიანი. გაერთიანებულ სამეფოში ამჟამად შექმნილ ვითარებას ნათლად წარმოაჩენს ლონდონსა და სხვა ქალაქებში უფასო სადილის მისაღებად დამდგარი ადამიანების რიგები.**

იტალიური გაზეთის, Republica-ს, ჟურნალისტმა ასე აღწერა მილანის სურსათით დახმარების პუნქტთან შექმნილი ვითარება: **„საშუალო კლასის გაოცებული და შეშფოთებული წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ, ღირსება შეინარჩუნონ, ქუჩაში გრძელ რიგებში დგანან და ელოდებიან ცხელი წვნიანის თავიანთ ულუფას. ეს არის დღევანდელი მილანი, მაგრამ გამოიყურება, როგორ 1929 წლის უოლ-სტრიტი.** იტალიის სტატისტიკის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, პანდემიის ერთი წლის განმავლობაში ქვეყანას 2 მლნ ღარიბი შეემატა. ისინი არიან არა უსახლკარონი ან ასოციალური პირები, არამედ ბურჟუაზიის კლასის წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომის წყალობით თავი დააღწიეს დაბალ წრეებს და დაძლიეს სოციალური ბარიერები“. სიღარიბე ფეხს იკიდებს ევროკავშირის თვით ყველაზე მდიდარ სახელმწიფო გერმანიაშიც. როგორც Suddeutsle Zeitung-ი წერს, **„2020 წლის აგვისტოს ბოლოს გერმანიაში 15,5 მლნ ოჯახის შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა. მთავრობის მოხსენების თანახმად, პანდემიამ, ძირითადად „დაბალი და საშუალო ანაზღაურების მქონე მუშაკები დააზარალა. „სიღარიბიდან“, „არასტაბილურობიდან“ და „დაბალი საშუალო დონიდან“ გამოსვლის შესაძლებლობა ძალიან შემცირდა 1992-იანი წლების დასაწყისში და მას შემდეგ დაბალ დონეზეა“.**


უფასო სადილის დარიგება მილანში

გასული საუკუნის 90-იან წლებში, აღნიშნავს Spiegel-ი, გერმანიაში გაღრმავდა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. „ჩვენ ვხედავთ, რომ ოჯახები, რომლებიც ერთხელ დაეშვნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, სულ უფრო მეტხანს რჩებიან იქ“, — ამბობს ბერლინის სოციალური კვლევების ცენტრის თანამშრომელი **ფილიპ ვოჩაკი.** 88% იმ ადამიანებისა, რომლებიც 2018 წელს ღარიბად ცხოვრობდნენ შემოსავლის დონესთან შედარებით, სულ ცოტა, ერთხელ მაინც იმყოფებოდნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

გერმანიაში სიღატაკის ყველაზე დიდი რისკი არსებობს მარტოხელა დედებსა და მამებს შორის და 41%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი მაღალია სკოლადამთავრებულ, მაგრამ სპეციალური პროფესიული განათლების არმქონე (35%) ადამიანებისთვის, აგრეთვე, პირველი თაობის მიგრანტებს (29%) შორის. ამას გარდა, მოსახლეობაში მოიმატა შემოსავლების არასამართლიანად, უთანასწოროდ განაწილების განცდამ“, — ხაზს უსვამს Spiegel-ი. **ევროკავშირში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებად მიიჩნევენ მას, ვინც ქვეყანაში დადგენილი საშუალო შემოსავლის 60%-ს იღებს.**

„ევროკავშირში დაიწყება ეკონომიკური სტაგნაცია, — იწინასწარმეტყველა „ფორბსმა“, — საფინანსო სექტორი გადაინაცვლებს აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, ჰონკონგსა და სინგაპურში. მრეწველობა წავა აზიაში. ახალგაზრდა ნიჭიერი და განათლებული ადამიანები წავლენ რაც შეიძლება შორს, ევროკავშირს კი ექნება წამყვანი პოზიციები სიმბოლურ და არარაციონალურ სფეროებში, ისეთებში, როგორიც არის ბრძოლა ნახშირბადის დიოქსიდის მავნე გამონაბოლქვების წინააღმდეგ, ეკოლოგიურად სუფთა კომპანიების მხარდაჭერა და სხვა ძვირად ღირებული და ეკონომიკურად უპერსპექტივო პროექტები. სულ უფრო ხშირად ჩაიხშობენ სიტყვის თავისუფლებას... პოლიტკორექტულობა მიაღწევს არნახულ ზომებს“



უსახლკარო ლონდონში



მაგალითად, გერმანიაში უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა ყოველთვიური ანაზღაურება 942 ევროზე (3400 ლარი) ნაკლებია. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, გათბობა, დასუფთავება) გადასახადები გერმანიაში გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოში.

როგორც ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია აღნიშნავს, „ევროკავშირში რეალური ვითარება ასეთია: მთლიანად ევროკავშირში 24 მლნ მუშა მინიმალურ ხელფასს იღებს და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს“.

**ამ მდგომარეობის გამოსწორებას ადამიანები არ ელოდებიან — განსაკუთრებით ახლა, როცა ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე ფასებმა კატასტროფულად მოიმატა, ხოლო ლოკდაუნებით დაზიანებული ეკონომიკა კრიზისიდან ვერ გამოდის. არა მხოლოდ საბერძნეთი, არამედ სრულიად ევროპა სიღარიბის უფსკრულში მიექანება.**

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა**



დრო რომ დამთავრდა
მიშიზმის,
ციხეში ჩასვეს.
ზის.

25-ე კვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# და ხვალ იყო არჩევნები

**„POSTV“-ის პროგრამა „სამნი და კო“-ს გასული კვირის ერთ-ერთ გამოშვებაში სააკაშვილის კეკლუცი აგიტატორი ნიკა გვარამია, რომელმაც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო 150-ათასიანი შეკრების მონაწილეებს ბიომასა უწოდა, შალვა რამიშვილმა და მისი ჯგუფის წევრებმა: ბაჩო ოდიშარიამ და გური სულთანიშვილმა ავლაბრის რკინიგზის ჩიხში მიგდებული სამგზავრო ვაგონის ტუალეტის ბინძურ მინას მიჭყლეტილი ბუზის ჰერბარიუმს დაამსგავსეს ან რაც ეწოდება პარაზიტი მწერის გამხმარ ცხედარს.**

რა შარვალი აცვიაო, — კვდებოდნენ სიცილით, — პედერასტი კინტოც არ იკადრებდა, ისეთი: მუშთაიდის ნახევრად დაკეცილი პარაშუტივით კლოში გალიფე აზიაცკი ჩექმის ყელივით ვიწროებში ფუმფულა ფეხის გასაყრელით.

თბილისში, ფიქრის გორაზე, სადაც ყოფილი „ვერე პალასის“ შენობის აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის ახალ კორპუსად გადაკეთება დასასრულს უახლოვდება, სადარბაზოს წინ გუშინდლამდე მუქი ნაცრისფერი ცისტერნა იდგა ეგზოტიკური წარწერით: „ბიოტუალეტების გაქირავება“.

აფსუს, ნანახი არ ჰქონდათ, თორემ სამეული ამ შტრიხსაც დაუმატებდა დღის სინათლეზე პროვინციული ტყიდან ნაადრევად გამოფრენილი ბუს იდიოტურ გამომეტყველებას, რომელსაც სათვალის წითელი ჩარჩო განსაკუთრებულ მიმზიდველობას ჰმატებდა, ხოლო შარვლის მასშტაბური უბის სრული ტევადობა პატრონის ბიომასით ისე იყო პირამდე სავსე, რომ მელიქიშვილის ქუჩაზე საცობში გაჩხერილ მანქანებში ბლოკირებული თბილისელებიც კი იწამლებოდნენ ყროლი ამბრით, პეტრიაშვილის აყოლებაზეც, „სემიონოვკის“ ჩათვლით. უნივერსიტეტის მოპირდაპირე სკვერში ტარას შევჩენკოს სკულპტურას ორჯერ გულიც აერია.

ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიურში“ გრუშეს რეპლიკა — „ჩაიფსი, მიშიკო?“ ამჯერად დეფეკაციის შეუკავებლობას ნიშნავდა.

და ყარდა.

მოხდა ესე 29 ოქტომბერს, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე და გაჰყვა მიშისტებს ბოლომდე.

რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება.

შევეცდები, გამოვასწორო ასეთი დაუდევრობა უახლესი ქართულის შეძლებისდაგვარად გამოყენებით.

ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, „შეინიშნა“ ქართული ენის მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები.

არაერთი.

ეუთოდან მოვლინებულ დამკვირვებელთა მოხსენებას, რომლის კრიტიკული დასკვნები კონკრეტული ფაქტებით არ იყო დადასტურებული და საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამაისო მოწოდებების დირექტიული ტონალობით გამოირჩეოდა, ცხელ-ცხელი მაგალითებით გაგიხალისებთ.

იქნებ ცოტათი ჩაგაფიქროთ კიდეც.

მაგალითად: „ოზურგეთში გაიმარჯვა „ოცნებამ“. ეს იყო ძალიან **მაგარი** გამარჯვება“ (იქაური კანდიდატის გამოსვლიდან). ამ ჟარგონულ განსაზღვრებას (**მაგარია**) ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა ხშირად უწევს ექსპლუატაციას, რათა დაუმტკიცოს ხალხს — თქვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვართო. „სვოი ბიჭები“ ვართო. „სარწმუნო ვარაუდით“ ასეა.

„12 სკამის“ ელოჩკა ლუდოედკას (კაციჭამია ელიკოს) ლექსიკური მარაგი 30 სიტყვისგან შედგებოდა, რაც სავსებით საკმარისი იყო „მაღალ საზოგადოებასთან“ ურთიერთობის დასამყარებლად.

მისი „ხო-ხო!“ გამოხატავდა საუკეთესოსაც, არაჩვეულებრივსაც, ირონიასაც, აგრეთვე — აღფრთოვანებას, სიძულვილს, სიხარულს, არად ჩაგდებას, კმაყოფილებას.

სადაც რა სჭირდებოდა!

ჩვენი **მაგარია** უფრო მეტია, რადგან მაშველი რგოლის როლის შესრულებაც შეუძლია, როცა სიტყვა შემოგელევა, ან შეზღუდული აზროვნების დაფარვა გარდაუვალი ხდება. ისევე, როგორც არგუმენტები შემოგელევა და „ასე შემდეგს და ასე შემდეგს“ მოიხმობ საშველად.

ელოჩკები საქართველოს პოლიტსივრცეში დეფიციტია. მყვირალა დედაკაცებით არიან ჩანაცვლებული.

„მადმუაზელ სობაკი კულტურულ ქალიშვილად მიაჩნდათ: მის ლექსიკონში დაახლოებით 180 სიტყვა იყო. ამასთანავე, მან იცოდა ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც ელოჩკას არც დასიზმრებია. ეს სიტყვა იყო: ჰომოსექსუალიზმი. ფიმა სობაკი, მართლაც კულტურული ქალიშვილი გახლდათ“ („12 სკამი“).

მაგრამ სიტყვა „ნაცი“ იმასაც არ გაუგონა, როგორც ირაკლი ღარიბაშვილს არც დასიზმრებია, ნიკანდრო მელიაზე რომ ვთქვა: მელია ვერ გახდება თბილისის მერი, როგორც მე ვერ გავხდები **ჩინეთის მერიო.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურა არ ითვალისწინებს სრულიად ჩინეთის მერის ინსტიტუტს. „ფორმულას“ კორესპონდენტი ტელეეკრანიდან მაინც დაჟინებით გვიმტკიცებდა, რომ არის ასეთი თანამდებობა და გინდ დაიჯერეთ, გინდ არაო.

როგორც „ბასიანში ბასიანს ეძებდნენ ბასიანელნი“ (ვახუშტი კოტეტიშვილი) ამაოდ, ისე მერად ასარჩევ მელიას არ **მოუწია ერთ-ორ თვეში კოალიციური მთავრობის „გადა**



ლიდერები კი ახალი ქართულის ათვისებაში ტრენინგობენ და დედაენისთვის უცხო კონსტრუქციებს, ტერმინებსა და სიტყვებს საკუთარი ფართო განათლების დემონსტრირებით გვასაღებენ. გამონახეთ დრო, მოუსმინეთ ამ გლახა ჭრიაშვილებს (ილია) და თუ ერთხელ მაინც რომელიმე ორატორი — გინდ ხელისუფლების წარმომადგენელი, გინდ ოპოზიციისა, თავის გამოსვლას დაიწყებს სიტყვებით „უწინარეს ყოვლისა“, თითს მოვკაკვავ დამარცხების ნიშნად. სამაგიეროდ „პირველ რიგში“ ჩააგვირისტებენ ქართულს.

**ნიშვნა“ („მოუწევს გადანიშნოს მთავრობა“).** „სარწმუნო ვარაუდმა“ დამაჯერა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ იგავ-არაკის დაკოჭლებულ-დამახინჯებულმა სტრიქონმა ზუსტად განსაზღვრა, ნიკანდრო მელიას ხელით არარსებული **მთავრობის გადანიშვნის** პერსპექტივა ნულის ტოლი იქნებოდა: „მკვახე იყო ის ყურძენი და **მომტეხდა კბილებსაო“** („მოუწევს გადანიშნოს მთავრობა“).

როცა ქვეყანაში ბულბულების დეფიციტია, ვირს ვარდისახარს ეძახიან.

იაპონური ტანკა:

**დრო რომ დამთავრდა**
**მიშიზმის,**
**ციხეში ჩასვეს.**
**ზის.**

შიმშილობს. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი კი **„კლინიკურ დეტალებში ვერ შედის“,** მაშასადამე, ვერ არკვევს, ყოფილი პოლიტფიგურა კლინიკური ავადმყოფია თუ თავს ნაცების მხარდამჭერების გასაბითურებლად იგიჟიანებს.

ნაცობა სირცხვილიაო, „გირჩი“ — შარვალჩახდილი სარცხვენელი მისი.

ჭრელია ჩვენი ქვეყანა. პოლიტიკა — მით უფრო.

ევროპული ნეოლიბერალიზმის საგამოფენო ნიმუშია, რომელიც მავანმა დაჯგუფებამ საერთაშორისო თანამეგობრობას პრეზენტაციად წარუდგინა (**„წარუდგინა პრეზენტაცია“** — წარდგენა წარდგენისა, როგორც ამაოება ამაოებისა).

ლიდერები კი ახალი ქართულის ათვისებაში **ტრენინგობენ** და დედაენისთვის უცხო კონსტრუქციებს, ტერმინებსა და სიტყვებს საკუთარი ფართო განათლების დემონსტრირებით გვასაღებენ. გამონახეთ დრო, მოუსმინეთ ამ გლახა ჭრიაშვილებს (ილია) და თუ ერთხელ მაინც რომელიმე ორატორი — გინდ ხელისუფლების წარმომადგენელი, გინდ ოპოზიციისა, თავის გამოსვლას დაიწყებს სიტყვებით **„უწინარეს ყოვლისა“,** თითს მოვკაკვავ დამარცხების ნიშნად. სამაგიეროდ **„პირველ რიგში“** ჩააგვირისტებენ ქართულს.

და მოჰყვება ამას ბარბარიზმების ნაკადი: **ჩელენჯი** (გადატვირთვა), **თრეში** (ნაგავი), **ჰაბი, ბულერობა, სტენსილები** და ა.შ.

მხრები გაშალა ოპოზიციამ, წინასაარჩევნო პერიოდში გახშირებული ტელეგამოსვლების დროს აბდაუბდა ქართულისა და ფანტასმაგორიული ბრალდებების **„მიქსით“:** „ხელისუფლებამ **აგრესიით სავსე ჯგუფები მოაბილიზა“** და „ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი **შეავსებს არსებულ შავ ლაქას“.**

აქამდე თეთრს ვამბობდით. ლაქაზე.

გვაკლდა და მივიღეთ მალევიჩის შავი კვადრატი, ოღონდ ლინგვისტიკაში. **„პასუხისმგებლიანი თამაში“ თურმე ეს ყოფილა.**

საჯაროდ სიტყვის წარმოთქმისას შეცდომის დაშვება ქართულთან შეჯვარებული ბარბარიზმებით საზოგადოების შეურაცხყოფად ითვლება განათლებულ წრეებში.

ვინ დაგიდევს?! **„მობილიზირებული“, „დამობილიზდა“, „მოაბილიზოს“, „რეკომენდირებული“, „იფუნქციერა“, „დააორგანიზა“, „იტესტება“, „ლაივში ურთიერთობა“.**

**„ხმაურის ხმა გაიგონეს“** კი სხვა ხარისხის სიმახინჯეა, მონტენეგროს პრეზიდენტის თბილისში საზეიმოდ შეხვედრაზე **„ორივე ქვეყნის ჰიმნების გაცნობის შემდეგ“,** ან — **„მოველოდებით“;** უარესი — **„მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანა“.**

მანერულია ვიღაც უვიცის აკვიატებით ცოლის მაინცდამაინც მეუღლედ მოხსენიება — სიტყვა „ცოლი“ თურმე აკნინებს მშვენიერი სქესის სოციალურ სტატუსს. ასევე „ქმარი“ არ შეეფერება მამაკაცის ადგილს ოჯახსა და საზოგადოებაში და მეუღლეების რანგი მასაც უნდა მივანიჭოთო. ამით თითქოს პატივი დაგვდეს, სინამდვილეში კი ლგბტ-თემის პრინციპი გვაღიარებინეს — მეუღლეები, ცოლიც და ქმარიც, უსქესო არსებებად აქციეს.

საიდანღაც გაჩნდა და ტელესიუჟეტებში დამკვიდრდა სიტყვა **„ჩაინიშნა“,** რომელმაც ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში ფეხი ამოუკვეთა ტრადიციულ და უპრეტენზიო **დანიშვნას.** მაგალითად, სასამართლოს სხდომა მაინცდამაინც მომავალ ორშაბათს არის **ჩანიშნული.**

**„ორშაბათ დილა გათენდა,**
**რა კარგი დარი დგებაო,**
**ეს ჩვენი ტურა — მელია**
**საომრად ემზადებაო“.**

ხალხურია. ხალხი ბრძენია, მაგრამ ხელისუფლება მაინცდამაინც ხალხს არ უწევს ანგარიშს. მელია ტურა კი ხან ზუგდიდში, ხან თბილისში აფორიაქებს მოქალაქეებს პროფესიულად მომზადებული პროვოკაციებით, რომლებსაც უმეტესად თან ახლავს ჩხუბი და დავიდარაბა.

მაგრამ **ჩხუბს ვერ იტყვი,** უნდა თქვა **სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება ან შეხლა-შემოხლა,** თორემ საბჭოთა კავშირის გადმონაშთად მოგნათლავენ და ადგილობრივი მნიშვნელობის კონფლიქტის მთვრალი მონაწილის უფლებების შელახვას დაგაბრალებენ. **ნასვამი მდგომარეობის** ჩარჩოებში უნდა ჩაეტიო.

მთვრალი და რაღაცით გაბრუებული შეიძლება იყოს მხოლოდ მიშა, რომელიც მახათას მთაზე ეკლესიის საძირკვლის ჩაყრაზე მიიწვიეს. ისეთი გალეშილი მივიდა, რომ უწმინდესისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდა — ჩაებერტყა, მზერა კი ზეცას მიპყრობილი დარჩა.

უთუოდ გაოცდებით, თუ გეტყვით, რომ სააკაშვილის უდროობის ჟამის დემონსტრაციების კონსტრუქცია საუკუნეების წინანდელია და დემოკრატიის ექსკლუზივად ვერ ჩაითვლება.

შორეული შუა საუკუნეები. მცხეთის შემოგარენი. ივლისი. „და ხედვიდა წმინდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა და ცთომასა; და ტიროდა წმინდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა...

და აჰა ესერა, ხვალისა დღე იყო ხმა ოხრისა და საყვირისა; გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა, და ჯერეთ მეფე არღა გამოსრულ იყო. და ვითარ მოიწია ჟამი, იწყო სივტოლა და მიდამომალვა ყოვლისა კაცისა, შიშით საფარველსა თვისსა შეივლტოდა... ნელად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმა ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალ შეუდრგამითა ხილვითა“.

...„ღმერთი ღმერთთა არმაზ მიუწესს, რომელ არა არს მისსა გარეშე სხუა კერპი...“ და აღივსნეს მთანი იგი დროშებითა და ერითა, ვითარცა ველნი ყვავილთა“ ...რომლისგან ეშინის ყველასა. და შიშით თაყუანის-ცემენ მას“ (**ლეონტი მროველი**).

და თქვენ წინაშეა სააკაშვილის **„დაორგანიზებული“** ზეიმი აგვისტოს ომში „გამარჯვების“ აღსანიშნავად. კერპი მთავარი, რა თქმა უნდა, მიშაა.

არ გეცნოთ სიტუაცია?!

საით მივყავდით ახალგაზრდა დემოკრატებს?! ბათუმში ძირგამოთხრილი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის ადგილიდან მოწოდებულ რეპორტაჟში ასეთი წინადადება გამობრწყინდება: „ეზოდან **„გამოდის მანქანები, რომელსაც გამოაქვს შენობის ნაშალები“.**

რიცხვში შეუთანხმებლობა — **მანქანები, რომელსაც, „პრობლემები“, რომელიც** და უამრავი იდენტური მაგალითი, ახალ პანდემიად გავრცელდა. ხოლო მაინცდამაინც **ეფექტურის** ხმარებას, როცა ლაპარაკია **ეფექტიანობაზე, შედეგიანობაზე,** მგონი, აღარაფერი ეშველება, რადგან ქვეყნის პირველი პირების მიერ არის ბეჭედდასმული.

უხერხულია, უვიცობააო, რომ არ ვთქვათ.

ვერ ეუბნებიან მრავალრიცხოვანი თანაშემწეები, რომ შეცდომაა. ვერ უბედავენ. ან ეს პატივცემული გვამები წვრილფეხობას სრულად უგულებელყოფენ, იმათ რჩევასა და შენიშვნებს.

ან ელოდებიან, როდის დანიშნავს აშშ პრეზიდენტი ჯო ბაიდენი თავის ცხენს მთავარ მრჩევლად ენების სიწმინდის დაცვის საკითხებში. და მაშინ თუ გამოიბერტყავენ ყურებს, ხოლო ჯენიფერ ფსაკიმ თუ რამე იცის, პრესკონფერენციებზე სქელი საქაღალდის შემოტანა და ტრიბუნაზე დადებაა.

ერთხელაც არ გადაუშლია.

ბაიდენს ცხენი არ ჰყავს. ცხენს ითხოვდა ბრძოლის ველზე მარტოდ შთენილი რიჩარდ III და იმ ცხენში სამეფო გვირგვინს იძლეოდა. იხვეწებოდა.

ამაოდ.

**არმაზ სანებლიძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა ვქნათ ჩვენ, იმ ხალხმა, რომელსაც არც ნაცები და არც ქოცები არ გვეხატება გულზე? შეკითხვა მართლაც რიტორიკული იყო, რადგან პასუხი მასზე არავის გაუცია. ეს ხალხი კი კვლავაც მივიდა საარჩევნო უნაბზე და არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კიდევ ერთხელ გააკეთა, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? სად არის გამოსავალი?**

სადაც არ არის სარწმუნოება,
იქ არ არის კეთილი საქმეები, იმიტომ,
რომ განზრახვა საქმეს სიკეთეს ანიჭებს,
ხოლო კეთილი განზრახვა
სარწმუნოებიდან მოდის.

*ნეტარი ავგუსტინე*

# ერის წინსვლისა და ერთიანობისათვის



გიორგი კუპატაძე



მამუკა გოგავა



როსტომ ჭიღლაძე



გიორგი ქუთათელაძე

**ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები და, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო „მეორე განყოფილება“, რომელიც წინდაწინვე დაგეგმილი და გათვლილი ჰქონდათ ნაცებს. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური ქსელი აფეთქებული იყო ნაც-ქოცური კინკლაობითა თუ ლანძღვა-გინებით — უკადრებელს კადრულობდნენ ნაცების ფანები, ხელისუფლების მომხრეები კი შედარებით თავშეკავებულნი იყვნენ. მთელს ამ ბაქანალიაში ხმა ამოიღო ადამიანთა ჯგუფმა, რომელიც, მართალია, ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც „ოცნების“ ხელისუფლებით იყო დიდად აღფრთოვანებული. ჰოდა, გაისმა რიტორიკული კითხვა: რა ვქნათ ჩვენ, იმ ხალხმა, რომელსაც არც ნაცები და არც ქოცები არ გვეხატება გულზე? შეკითხვა მართლაც რიტორიკული იყო, რადგან პასუხი მასზე არავის გაუცია. ეს ხალხი კი კვლავაც მივიდა საარჩევნო უნაბზე და არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კიდევ ერთხელ გააკეთა, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? სად არის გამოსავალი?**

**საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ჩვენი მიზანიც ამ თვალსაზრისების გამომზეურებაა, რომელთა შეჯერებითა და გასიგრძეგანებით, შესაძლოა, ვიპოვოთ ჭეშმარიტი გზა ხსნისა. მოვუსმინოთ ხალხს:**

„ჩვენ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც თავს მივიჩნევთ ქართველი ერისა და ჩვენი სამოციქულო ეკლესიის მდაბალ შვილებად, პრესის, ტელევიზიისა და ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ვავრცელებთ შემდეგ მიმართვას ერის, ხელისუფლებისა და პოლიტიკური სპექტრის მიმართ:

სამი ათეული წელია მას შემდეგ, რაც მრავალტანჯული ჩვენი სამშობლო სუვერენული, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას დაადგა. ყოველი დიადი და კეთილშობილური საქმის დაწყება ძნელია და სირთულეებით აღსავსე. ვეცადეთ, აგვეშენებინა საოცნებო საქართველო, ჩვენ კი შენება, ჩვენის უმეცრებით, არსებულის ნგრევით, ურთიერთის ხოცვა-ჟლეტით, ქვეყნის გაპარტახებით დავიწყეთ. შედეგად კი მივიღეთ დღევანდელი რეალობა, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე გადმოვცეთ:

ჩვენი ისტორიული ტერიტორიები (ვიმედოვნებთ, რომ დროებით) მოწყვეტილია ძირძველი სამკვიდრებელიდან. გვაქვს უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა, სახეზეა ეკონომიკური უსუსურობა და ყველაზე მძიმე, ტრაგიკული რეალობა — საშინელი, შეიძლება ითქვას, სისხლის ღვრამდე მისული ურთიერთდაპირისპირება ჩვენს საზოგადოებაში, კლანებად, პარტიებად და ბანაკებად დაყოფილი საქართველო, რომელსაც არა და არ ეღირსა დამშვიდება და დაწყნარება.

ვფიქრობთ, რომ **უმთავრესი მიზეზი ჩვენი შეცდომებისა არა გარეშე, არამედ ჩვენი შიდა ფაქტორებიდან გამომდინარეობს. 90-იან წლებში ერი და შემდგომ მოყოლებული თითქმის ყოველი ხელისუფალი თუ არა სიტყვით, საქმით შორის იდგა ჩვენი მთავარი იდენტობის, ჩვენი რაობის, ჩვენი მართლმადიდებელი ალსარებლობისგან.**

სწორედ ოცდაერთსაუკუნოვანი სამოციქულო ეკლესიის როლის გაუთვალისწინებლობამ სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეში განაპირობა ყველა მმართველი პოლიტიკური სუბიექტის კრახი და მთლიანობაში ქვეყნის წარუმატებლობა განვლილ პერიოდში.

**ერებისა და პიროვნებების კეთილდღეობისა და უკვდავების მთავარი პირობა სამყაროს შემოქმედისაგან ჩვენთვის განწესებულ ღვთიურ ცნებათა დაცვაში მდგომარეობს.** გავიხსენოთ, როდის ჰქონდა ქართველებს სახელმწიფოებრივი სიძლიერისა და სულიერი აღმავლობის ხანა. ეს ხდებოდა ღვთისმოშიშ, უფლის მსასოებელ მეფეთა და ერისკაცთა ეპოქაში, დიდი ვახტანგის, დავითისა და თამარის ზეობისას. სწორედ **მართლმადიდებელი სარწმუნოება და დედაეკლესია იყო სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი ჩვენი ერის სულიერი ერთიანობის უდიდესი ნიშანსვეტი საუკუნეთა განმავლობაში.**

**ჩვენი სახელმწიფოებრივი დამცრობის მეორე დიდი მიზეზი ჩვენსავე ქართული ხასიათის უარყოფითი თვისებებითაა განპირობებული. კატეგორიული აზროვნება, მაქსიმალიზმი, ურთიერთგაუტანლობა, პირველობისაკენ სწრაფვა იმ ნეგატიურ გამოვლინებათა კასკადია, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი ე.წ. პოლიტ-ელიტის უდიდესი ნაწილი. თითქმის იდენტურ პარტიათა უმრავლესობის ლიდერებს საქართველოს ერთადერთ გადამრჩენელად წარმოუდგენიათ საკუთარი პერსონები.**

კვლავ ძალასა და მოქმედებაშია ქართველი კაცის ყველაზე უარყოფითი თვისება. „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“, რომელიც ხაზგასმული და გაშიფრულია წმინდა მეფის — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ.

მიუხედავად ჩვენი დღევანდელი ყოფიერების შუქ-ჩრდილებისა, დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევს ერის შინაგან მოთხოვნილებას და მზადყოფნას ახალი თვითდამკვიდრებისაკენ.

დედამიწაზე არიან ერები და მათ შორის ჩვენც, რომელთაც განსაკუთრებული მისია არგუნა უფალმა. ვფიქრობთ, რომ ქართველი ერის მთელი არსებობა, მისი ისტორია, მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტების დამტკიცებაა.

თუ ჩვენი ადამიანური გონებით დავფიქრდებით და განვჭვრეტთ ჩვენს წარსულს, თითოეულ ჩვენგანს, გაოცებასთან ერთად, დაგვებადება კითხვა: როგორ გავუძელით ამდენ შემოსევებს, ურიცხვ დამპყრობლებს, როგორ ავღორძინდით ამდენი ნგრევისა და გაპარტახების შემდეგ, როგორ შევინარჩუნეთ და განვავითარეთ ყველა ნიშანი ერის თვითმყოფადობისა?

**ქართველი ერი მისი იდენტობის მთავარი ნიშნის — მართლმადიდებელი სარწმუნოების ძალით და ძლიერებით მოვიდა დღემდე. სწორედ ჩვენი სასულიერო დასის განუწყვეტელი ლოცვითა და ჩვენი წმინდანების მეოხებით გავუძელით საუკუნეთა ქარტეხილებს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და მთლიანობაში მთელმა ერმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა ამჟამინდელი ჯერ არნახული მსოფლიო გამოწვევის პერიოდში.** მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში სხვა სასულიერო კონფესიათა მსახურებანი შეჩერდა ჩვენი დედაეკლესია და ერი ღვთიური სიყვარულით ადიდებდა და ადიდებს სამყაროს შემოქმედს.

დღეს, როცა კაცობრიობა განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგა, საჭიროა კიდევ მეტი სიბრძნისა და გონიერების გამოჩენა თითოეული ერისა და მათ ხელისუფალთაგან. **მიგვაჩნია, რომ ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში მძაფრი დაპირისპირების დასაძლევად და ერის ერთიანობის განსამტკიცებლად ჩვენი სასიცოცხლო აუცილებლობაა ღვთიური სიბრძნის მატარებელი ჩვენი დედაეკლესიის კონსტიტუციური ჩართულობა ქვეყნის სამომავლო განვითარებაში, რისი კონკრეტული გამოხატულებაც უნდა მდგომარეობდეს საკანონმდებლო სივრცეში დედაეკლესიისათვის ვეტოს გამოყენებისა და ვეტოდადებულ საკითხზე საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების უფლების მინიჭებაში.**

ალბათ, არ მოიძებნება სიტყვები, იმაზე უფრო ლამაზად რომ გადმოსცემდეს დედაეკლესიის როლს ჩვენი ერის ცხოვრებაში, ვიდრე წმინდა ილია მართლისაა: **„საქართველოს ისტორიიდან რომ ამოვიღოთ ეკლესიის როლი, არაფერი დარჩება“.** ერის ეპოქალური შვილის ნააზრევს კი დაფიქრება და ცხოვრებაში ხორცშესხმა სჭირდება.

ეკლესიის ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში შესაძლებელს ხდის ე.წ. ვენეციის კომისიაც, რომლის რეკომენდაციებში ხაზგასმულია ისტორიული წარსულის გათვალისწინება ქვეყნის საკანონმდებლო-მმართველობით მოწყობაში.

**ვფიქრობთ, რომ დედაეკლესიის საკანონმდებლო სივრცეში შემოსვლასთან ერთად აუცილებელია, პარლამენტის (გარკვეული შეზღუდვებით) მთლიანად მაჟორიტარული სისტემით არჩევა, რათა ჩვენი პოლიტიკური ველი და ამომრჩეველი საზოგადოება არ იყოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაყოფილი, როგორ დღესაა.**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვერ ჩავატარეთ თითქმის ვერც ერთი არჩევნები ადამიანური მსხვერპლის გარეშე. პროპორციული სიით პარლამენტში მოხვედრილი ბევრი ვაიპოლიტიკოსი, დაგვეთანხმებით, ნამდვილად არ წარმოადგენს ქართველი ადამიანის სახეს. შეგახსენებთ, მთლიანად მაჟორიტარულია ჩვენთვის მისაბაძი აშშ სახელისუფლო თუ ადგილობრივი არჩევნები და ეს შეიძლება წარმატებით გადმოვიღოთ ჩვენთანაც. თვალსაჩინოა და სახეზეა, რომ ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ყოველმხრივ ამოწურა თავისი ინტელექტუალური თუ მორალური შესაძლებლობები, მაშინ, როდესაც საქართველო ნამდვილად არ უჩივის პატრიოტი, პატიოსანი, განათლებული შორსმჭვრეტელი პიროვნებების არსებობას. სწორედ ეს ადამიანები უნდა ჩაენაცვლონ დღეს ყავლგასულ ჩვენ პარტიულ ფიგურებს.**

ქვეყანაში სტაბილიზაციისა და ერთიანობის მისაღწევად ზემოთ ჩამოთვლილ ორ წინადადებასთან (ეკლესიის ჩართულობა და მაჟორიტარული არჩევნები) ერთად აუცილებლად მიგვაჩნია საერთო-სახალხო რეფერენდუმის სისტემის დახვეწა და პრაქტიკაში განხორციელება, რათა ერში იყოს განცდა, გრძნობა, რომ ნამდვილად ერია უმთავრესი წამმართველი თავისი ცხოვრებისა და ბედისა. ერში კი გონიერება ყოველთვის სჭარბობს უმეცრებას. ზუსტად აქვს ეს სურათი გადმოცემული და ხაზგასმული ჩვენს უსაყვარლეს ვაჟა-ფშაველას: **„ამ ვაჟ-ბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდნენ, რომ ერი შაერთებულად გენიოსია, იმას შაიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, გრძნობს კი“** (საუბარია ქართველ ერზე).

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის ბრძოლაში მოგიწოდებთ პოლიტიკურ პარტიებსა და სუბიექტებს, რომელთა მესვეურნიც თავს მიიჩნევთ პატრიოტებად და დედაეკლესიის შვილებად, გამოიჩინეთ სიყვარული და თავმდაბლობა ერთმანეთთან ურთიერთობაში, სულიერი სიმდაბლისათვის კი ერთხელ კიდევ გაიხსენეთ მაცხოვრის მიერ მოწაფეთათვის ფეხთაბანის მაგალითი, გაერთიანდით ერთ დიდ პოლიტიკურ გუნდად და გქონდეთ სრული იმედი, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ჩვენი არაქართველი ძმები და დები, თქვენთან დაადგებიან. დაიხსომეთ, პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ზემომოყვანილის განხორციელებას, ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში.

**ერის განვითარების სხვა ალტერნატიული გზა, უცხოურ ძალებსა და კავშირებზე გათვლილი, ვერასოდეს მიგვიყვანს სიმშვიდესთან და სტაბილურობასთან, საჭიროა ქვეყნის შინაგანი რეფორმაცია, რათა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გაუჩნდეს გრძნობა, რომ ის ერთი დიდი ოჯახის — საქართველოს შვილია.** შინაგანად მოწესრიგებული ჩვენი ქვეყანა, წალკოტი დედამიწისა, მისაბაძი და სასურველი გახდება ყველასთვის, რასაც უეჭველად მოჰყვება ქვეყნის სულიერი და ეკონომიკური აღმავლობა.

ყოვლადწმიდა სამება დაუშვებს ჩვენზე დიდ წყალობას, „რათა უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“.

**პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით,**

**გიორგი კუპატაძე**, ეკონომისტი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ნამდვილი წევრი;

**გიორგი ქუთათელაძე**, საზოგადოება „მამულიშვილების“ თავმჯდომარე;

**ვაჟა ბაკაშვილი**, ისტორიკოსი, პედაგოგი;

**გიგა გუდაძე**, ბიზნესასოციაცია „სოლიდარობის“ თავმჯდომარე;

**მამუკა გოგავა**, საზოგადოება „წინაპართა გზის“ თავმჯდომარე;

**როსტომ ჭიღლაძე**, საზოგადოება „წინაპართა გზის“ დამფუძნებელი.

დასავლეთმა საქართველოს წაართვა უფლება, აწარმოოს დიალოგი რუსეთთან შუამავლების გარეშე; წაართვა უფლება, ჰქონდეს პირდაპირი დიალოგი აფხაზებსა და ოსებთან; არ აქვს უფლება, აღადგინოს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან; წართმეული აქვს უფლება, ამოიღოს ხმა სააკაშვილის მიერ 2008 წლის 8 აგვისტოს განხორციელებულ ავანტიურაზე; საქართველოს აუკრძალა, იმოქმედოს ადრინდელი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღსადგენად სოხუმის გავლით რუსეთისკენ, რაც ქვეყანას მრავალმხრივ სარგებლობას მოუტანდა

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოლიტიკური მინიატურები

**საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.**

ხშირად მითქვამს და ისევ ვიმეორებ: არანაირი დამოუკიდებელი და მით უმეტეს სუვერენული სახელმწიფო საქართველო არ არის. ის აშშ-დასავლეთის ნეოკოლონიაა, უკეთეს შემთხვევაში აშშ-ის 52-ე შტატი, რომელსაც ამჯერად ქალბატონი **კელი დეგნანი** გუბერნატორობს. დასავლეთმა საქართველოს წაართვა უფლება, აწარმოოს დიალოგი რუსეთთან შუამავლების გარეშე; წაართვა უფლება, ჰქონდეს პირდაპირი დიალოგი აფხაზებსა და ოსებთან; არ აქვს უფლება, აღადგინოს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან; წართმეული აქვს უფლება, ამოიღოს ხმა **სააკაშვილის** მიერ 2008 წლის 8 აგვისტოს განხორციელებულ ავანტიურაზე; საქართველოს აუკრძალა, იმოქმედოს ადრინდელი სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღსადგენად სოხუმის გავლით რუსეთისკენ, რაც ქვეყანას მრავალმხრივ სარგებლობას მოუტანდა და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო? სანაცვლოდ მისჯილი გვაქვს, ცხვირ-პირი ლარსის უღელტეხილის გავლით ვიმტვრიოთ.

* * *

ხელისუფალნო, როდემდე გინდათ, უნაყოფოდ ხარჯოთ საბიუჯეტო თანხები არაფრისმკეთებელი ე.წ. შერიგების სამინისტროს შესანახად?! ეგ სამინისტრო ისე უმოქმედო და უჩინარია, ბევრმა მისი არსებობაც კი არ იცის, რადგან აფხაზებისა და ოსების შემოსარიგებლად არაფერი გაუკეთებია.

ხელისუფალნო, მე, პოლიტოლოგი, გირჩევთ: აღნიშნულ სამინისტროს ტურისტული სააგენტოს ფილიალის ფუნქცია შეუთავსეთ და ტურისტების დასათვალიერებელ ობიექტად აქციეთ რუსების მიერ მავთულხლართებით გავლებული ე.წ. სასაზღვრო ზოლი; სამინისტრო მოამარაგეთ ტურისტებისათვის საჭირო ჭოგრიტებით. სასაზღვრო ზოლის ჭვრეტის შესაძლებლობით ტურისტები ძალიან დაინტერესდებიან. თანაც, ზოგჯერ გაიცინებენ კიდეც, როცა მინდვრად მომშარდავ რუს და ოს მოსაზღვრეებს იხილავენ.

ხელისუფალნო, თუ ჩემს რჩევას ყურად იღებთ, ე.წ. შერიგების სამინისტრო არა მხოლოდ თავის შესანახ ფულად სახსრებს გამოიმუშავებს, არამედ ბიუჯეტსაც კი ასარგებლებს. აბა, რა ხეირი მოაქვს აშშ-დასავლეთიდან ჩამოსული მაღალჩინოსნების მიერ მავთულხლართების ჭოგრიტებით მუქთად და უსარგებლოდ ჭვრეტას? — არანაირი!

* * *

„ქართული ოცნების“ თავკაცებს: ბატონებო, ახლა მაინც შეახსენეთ სააკაშვილს, მის ნაცებს, რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როცა პირველები შეიჭრნენ ცხინვალში 2008 წლის 8 აგვისტოს, ააწიოკეს მშვიდობიანი მოსახლეობა, შეიწირეს ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე, ჩახოცეს გაეროსა და ეუთოს ორგანიზაციების მიერ ცხინვალში მშვიდობისმყოფელებად ჩაყენებული რუსი ჯარისკაცები, აატირეს მათი დედები; ბუნებრივია, რუსეთმა ეს არ გვაპატია და გაგვიკეთა ის, რასაც დღეს ყველა ვხედავთ. **რატომ დუმხართ ყოველივე ამაზე, ბატონო „ოცნებისტებო“? უთხარით სიმართლე სააკაშვილსა და მის გათავხედებულ ნაცებს, რომ ეს მათ აიძულეს რუსეთი, აგრესორი და ოკუპანტი გამხდარიყო, ჩვენთვის ტერიტორიის 20% წაერთმია. თქვით, ბატონებო, რატომ დუმხართ და არაფერს ამბობთ სააკაშვილის ამ ყველაზე დიდ დანაშაულზე?!** კარგად ვიცი, სააკაშვილის ცხინვალის ავანტიურაზე ხმის ამოღება ძია სემმა აგიკრძალათ, რადგან ამ დიდ უბედურებაში მისი ხელიც ურევია.



**არანაირი დამოუკიდებელი და მით უმეტეს სუვერენული სახელმწიფო საქართველო არ არის. ის აშშ-დასავლეთის ნეოკოლონიაა, უკეთეს შემთხვევაში აშშ-ის 52-ე შტატი, რომელსაც ამჯერად ქალბატონი კელი დეგნანი გუბერნატორობს**





* * *

საოცარია, რის საფუძველზე ითხოვს ქალბატონი **თაკო ჩარკვიანი,** რომ დანაშაულთა გამო 6 წლით ციხეში ჩასმული მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებამ ახლავე გაათავისუფლოს?! ქვეყნის პრეზიდენტმა ხომ ყველას გასაგონად განაცხადა: „სააკაშვილს არასოდეს შევიწყალებ“.

ქალბატონო თაკო, უნდა იცოდეთ: ისედაც მსუბუქ სასჯელმისჯილ სააკაშვილს, რომელიც 25-წლიან პატიმრობას იმსახურებს, თუ ხელისუფლება დღეს ციხიდან გამოუშვებს, მაშინ, ლოგიკის ძალით, უკლებლივ ყველა პატიმარი უნდა გაათავისუფლოს და ყველა ციხე დაახუროს, სხვანაირი ქმედება გამორიცხულია; რა თქმა უნდა, ხელისუფლება ასეთ უგუნურებას არ დაუშვებს და თქვენ, ქალბატონო თაკო, გირჩევთ: შეწყვიტოთ ყოვლად უვიცი, ანტილოგიკური ბაქანალია; დაასვენეთ ისედაც გზააბნეული ჩვენი ქვეყანა.

**ქალბატონო თაკო, უნდა იცოდეთ: ისედაც მსუბუქ სასჯელმისჯილ სააკაშვილს, რომელიც 25-წლიან პატიმრობას იმსახურებს, თუ ხელისუფლება დღეს ციხიდან გამოუშვებს, მაშინ, ლოგიკის ძალით, უკლებლივ ყველა პატიმარი უნდა გაათავისუფლოს და ყველა ციხე დაახუროს, სხვანაირი ქმედება გამორიცხულია**

* * *

მოვუწოდებ ყველას, ყველას: აიცერით და შეებრძოლეთ წყეულ ვირუსს; პირადად მე, 92 წლის ბერიკაცმა, უკვე 2-ჯერ ავიცერი და, თუ საჭირო იქნება, მესამედაც ავიცრი. იცოდეთ, აცრის კამპანიაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა ქვეყნის მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენისთვის. ციხეში მყოფ სააკაშვილსაც ვურჩევ, ორჯერ აიცრას, რადგან ბევრი მნახველი ჰყავს და ფრთხილად უნდა იყოს!

**კეთილი სურვილებით,**
**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

# მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის შედეგები

**ცესკოს წინასწარი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მეორე ტური თითქმის ყველგან „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო.**

**თბილისი**

**კახა კალაძე,** „ქართული ოცნება“ — 55,542%;

**ნიკანორ მელია,** „ნაციონალური მოძრაობა“ — 44,458%.

**რუსთავი**

**ნინო ლაცაბიძე,** „ქართული ოცნება“ — 53,717%;

**დავით კირკიტაძე,** „ნაციონალური მოძრაობა“ — 46,283%.

**ქუთაისი**

**იოსებ ხახალეიშვილი,** „ქართული ოცნება“ — 52,32%;

**ხატია დეკანოიძე,** „ნაციონალური მოძრაობა“ — 47,68%.

**ბათუმი**

**არჩილ ჩიქოვანი,** „ქართული ოცნება“ — 50,952%;

**გიორგი კირთაძე,** „ნაციონალური მოძრაობა“ — 49,048 %.

**ფოთი**

**ბექა ვაჭარაძე,** „ქართული ოცნება“ — 57,35 %;

**გიგი უგულა,** „ნაციონალური მოძრაობა“ — 42,65 %.

რაც შეეხება თვითმმართველი თემების მერებს, აქაც დათვლილია ამომრჩეველთა ხმების 100 პროცენტი, რომლის მიხედვით თითქმის ყველგან „ქართული ოცნების“ კანდიდატი იმარჯვებს. გამონაკლისია მხოლოდ **წალენჯიხა,** სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა — **გიორგი ხარჩილავამ** ხმების 51,176 % მიიღო, ხოლო „ქართული ოცნების“ კანდიდატმა — **გოგა გულორდავამ** — 48,824%.

imedinews.ge



ნაფიქრალი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული სახელმწიფო მმართველის შერჩევა ე.წ. პარტნიორი სახელმწიფოების სპეცსამსახურებში წყდება, ამიტომაა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, უცხო ქვეყანათა დიქტატისგან ვერ გამოდის, ამას კი რა შედეგიც მოაქვს, დღეს ყველა ვაცნობიერებთ“.**

**ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ახალი წიგნი სათაურით „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“, ანუ „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“ გაოცებს მასშტაბურობით, გაბედული მეცნიერული აზროვნებითა და მოზომილი, რაფინირებული გულწრფელობით. წიგნი კლასიკური ფორმატისაა და წარმოდგენილია 360 გვერდზე. აქვე მადლობას ვუხდი ავტორს, ჩემთვის მოწოდებლი ეგზემპლარისთვის, იმ თბილი და არაორდინარული წარწერისთვის, რომელმაც სასიამოვნოდ ამაღელვა.**

# წიგნი, რომელიც ქვეყანას სჭირდება

გადაფურცვლისას მივხვდი, რომ ეს ის წიგნია, რომელიც ბოლომდე უნდა წაიკითხო, სერიოზულად გააანალიზო და იამაყო, რომ ამ აწეწილ-დაწეწილ სინამდვილეში, რომელშიც ვცხოვრობთ, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც შეძლო, საზოგადოებისთვის ფუნდამენტური განვითარების პროგრამა მიეწოდებინა. გამაოცა წერის ორიგინალურმა მანერამ. წიგნის რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იური პაპასქუა** ორიგინალურად ჩაერთო ოპონირების პროცესში და გააზრებული კითხვებით ხელი შეუწყო ავტორს, თამამად წარმოეჩინა მრავალი წლის ნაფიქრალი და დინამიკურად (დროსა და სივრცეში) მიეწოდებინა მკითხველისთვის.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო წიგნის წინათქმაში გამოთქმულ მოსაზრებას: **„30 წელია, ქვეყანა მრავლისმომცველი გარდაქმნების რთულ პროცესშია და მაინც ვერ დალაგდა... ეს, ყველაზე რთული პერიოდი, ბოლომდე შეცნობილიც არ არის. გაანალიზების მიღმა დარჩა გარდაქმნების უხილავი პრობლემები“...** და ა.შ. კიდევ ერთი ასეთი თეზა: **„30 წლის განმავლობაში საქართველოს მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულება, მრავალმხრივი მხარდაჭერის ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდა“,** „ძლიერი სახელმწიფოს გარეშე ძლიერი ეკონომიკა არ არსებობს, მათ გარეშე კი პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. დღეს საქართველოს თანაბრად სჭირდება როგორც ძლიერი და გამჭრიახი სახელმწიფო, ასევე ძლიერი და მოქნილი ეკონომიკა“. ასეთი დამაფიქრებელი პასაჟები ნაშრომში ბევრია და დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს, კრიტიკულად შეაფასოს ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს. ავტორი მკითხველს თანამოაზრეობისკენ მოუწოდებს და რკინისებრი მეცნიერული ლოგიკით ამას აღწევს კიდეც. მართებულია კითხვა: „ვართ კი მზად ასეთ გამოწვევებთან გასამკლავებლად?“ და თავადვე უპასუხებს: „30 წლის წინათ უფრო ვიყავით მზად!“ ...რა მწარე სიმართლეა და ამას ამბობს ადამიანი, რომლის კომპეტენციაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ის ხომ 30 წლის წინათ თავად იდგა საქართველოს ეკონომიკის ავანგარდში, როგორც სამთავრობო გუნდის ყველაზე მაღალი იერარქი.

არ მგონია, მოიძებნოს ისეთი მკითხველი, რომელიც არ დაეთანხმება ქვესათაურად გამოტანილ მოსაზრებას: „ერის უბედურება იწყება იქ, სადაც ნიჭის, ჭკუისა და ცოდნის მქონე მამულიშვილებს უნდობლობას უცხადებენ“. ამ მოსაზრებას მე მიკერძოებულად დავუმატებდი სიტყვას — „შეგნებულად“. დიახ, შეგნებულად უცხადებენ უნდობლობას იმიტომ, რომ უგუნურებამ შთანთქა ქვეყნის ვერტიკალიც და ჰორიზონტალიც.

ხუთ გვერდზეა წარმოდგენილი ავტორის 10 თეზა, რომლებიც თავისი მნიშვნელობით, ალბათ, ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს. ამ სერიოზული ნააზრევის მასშტაბურობა რომ წარმოიდგინო, ერთ-ერთი თეზა ასეთია: **„თუ ძლიერი სახელმწიფო არ გვექნება, ვერ შევქმნით ძლიერ, სიცოცხლისუნარიან ეკონომიკას, ამის გარეშე კი პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. უბრალოდ, თავის მოტყუებაა. სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო დღემდე ასეთ სინამდვილეში იმყოფება“.** ქვეყანა რომ ვერ შედგა, ფაქტია! მაგრამ, რატომ ვერ შედგა, ეს ჯერ კიდევ სერიოზული კვლევის საგანია და, მე ვიტყოდი, საჩოთიროც. ბატონი ნოდარი ჩვეული პრინციპულობით მიუდგა ამ საკითხს. მომყავს მცირე ამონარიდი მისი წიგნიდან: **„ქვეყანა ბრმად მიენდო დემოკრატიულ ფასეულობებთან დაკავშირებულ მოწოდებებს და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად აირჩია მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო მართვის სისტემების მყისიერი ლიკვიდაციის გზა** (მართვის ახალ სისტემაზე, წარმოდგენაც არ ჰქონდათ). შედეგად, ქვეყანა სპონტანურად რევოლუციური გარდაქმნების მორევში აღმოჩნდა“ (რაც დამღუპველია — ნ.ქ.). ანუ, ქვეყანა დაადგა „შოკური თერაპიის“ გზას. **ეს თეორია იდიოლოგიზებულია და მას მხარს დასავლეთი, მაშასადამე, ევროკავშირი უჭერს. ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა განვითარების ამ გეგმას ბრმად დაუჭირეს მხარი და შედეგიც აშკარაა. კერძოდ, ქვეყანა აღმოჩნდა კრიმინალურ-მაფიოზური დაჯგუფებების ხელში და დაიწყო ეროვნული სიმდიდრეების დატაცების შეუქცევადი პროცესები, რომლებსაც ხელი შეუწყო ქვეყნის პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურების მიერ გაუაზებლად მიღებულმა გადაწყვეტილებებმაც** (სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება). მხოლოდ ზიანი მოგვიტანა პომპეზურად და წარმატებად წარმოჩინებულმა რეფორმებმაც. კერძოდ: დროში დაუსაბუთებლად გაწელილმა სასამართლო, ყბადაღებულმა ადამიანის უფლებების დაცვისა და სხვა ნაჩქარევად ჩატარებულმა რეფორმებმა




და, როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, „ეკონომიკური ხასიათის რეფორმებმა, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებულად წარიმართა“. დაუკვირდით, როგორი ტევადია ავტორის ლაკონური დასკვნა: **„ჩამოყალიბდა „ახალი ღარიბების“ სოციალური ჯგუფი, რომლის უნიკალურობა ისაა, რომ „ახალი ღარიბები“ განათლებული და პროფესიული ჩვევების (გამოცდილების) ადამიანები არიან“.** ბატონმა ნოდარმა გაბედა და თქვა ის სიმართლე, რომლის მიჩქმალვასაც დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა. ავტორი მწვავედ ეხმაურება „ახალი მდიდრების“ ჩამოყალიბებას და სამართლიანად აღნიშნავს, რომ იგი შეიქმნა ეროვნული სიმდიდრეების უმოწყალო ძარცვისა და კრიმინალური აზროვნების სიმბიოზის შედეგად. აქედან გამომდინარე, მართებული და ლოგიკურია დასკვნა, რომ „ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“ არიან საზოგადოებრივი პროგრესის შეფერხების მთავარი ფაქტორები. და კიდევ: **„ხელისუფლებაში მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც მინიმალური ცხოვრებისეული გამოცდილებაც კი არ აქვს, რომელიც ჩამოყალიბდა მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტილ იდეებზე. დაირღვა საზოგადოებრივი წონასწორობის ფაქტორი: უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შედეგად კი მივიღეთ პოლიტიკური პარტიების (და არა მხოლოდ მათი) ზღვარგადასული დაპირისპირება, მუდმივად აჯანყებასა და არეულობაზე ორიენტირებული, გაუნათლებელი ადამიანების პარლამენტარობა, ყველა რჯულის ავანტიურისტის გაპოლიტიკოსება, ე.წ. გარედან დაფინანსებული არასამთავრობოების დიქტატურა, ევროკავშირისა და სხვა უცხოელი „პარტნიორების“ დიქტატი და კიდევ ათასი უბედურება.**

მართებულია ავტორის მოსაზრება: **„განვლილ 30-წლიან პერიოდში ყველა ხელისუფლებამ ცალ-ცალკე, საკუთარი „ორიგინალური“ ხელწერით „მართა“ ქვეყანა, ეკონომიკის განვითარების პროცესი საკუთარი ინტერესების ჩარჩოებში მოაქცია, თანაც ისე, რომ არავინ თავის წილ პასუხისმგებლობას არ იღებს“.**

ვინ არის პოლიტიკურ ელიტაში დღეს? — ამ კითხვაზე ავტორის პასუხი ასეთია: „მისი ძირითადი ნაწილი მესაკუთრეა“. რატომ ვერ გაიმართა წელში ქვეყნის ეკონომიკა? — იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მყოფი მესაკუთრეებისთვის პრიორიტეტი მხოლოდ კერძო ინტერესებია! — რკინისებური დასკვნაა. **სამწუხაროდ, დღემდე ქართული სახელმწიფოს მმართველის შერჩევა ე.წ. პარტნიორი სახელმწიფოების სპეცსამსახურებში წყდება, ამიტომაა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, უცხო ქვეყანათა დიქტატისგან ვერ გამოდის, ამას კი რა შედეგიც მოაქვს, დღეს ყველა ვაცობიერებთ.**

ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ „პოლიტიკა და ეკონომიკა შესაძლებლობების მეცნიერება და ხელოვნებაა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებს. მხოლოდ ქვეყნის შესაძლებლობებზე ორიენტირებულ პოლიტიკას შეუძლია შექმნას ქვეყნის წარმატებული ეკონომიკა და პირიქით — წარმატებული ეკონომიკა წარმატებული ქვეყნის საფუძველია.

ავტორის აზრით (რომელსაც ვეთანხმები), **სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ხუთი ძირითადი ფუნქცია: 1. კანონიერების საფუძვლების განმტკიცება; 2. დაბალანსებული პოლიტიკის უზრუნველყოფა; 3. საბაზისო სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება; 4. მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა; 5. გარემოს დაცვა;**

ავტორის ყველა მოსაზრება გამყარებულია მის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგებით. იგი საპაექროდ იწვევს სხვებსაც, ვინაიდან კარგად იცის, რომ ჯანსაღ ოპონირებაში იბადება ჭეშმარიტება, რომელიც ყველა საშური საქმის საფუძველია. საყურადღებოა, რომ ავტორი ზოგჯერ თავად სვამს კითხვას და თავადვე უპასუხებს, მაგალითად, „რატომ უნდა იყოს ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული? პასუხი: სოციალური ორიენტაცია გამომდინარეობს თვით ეკონომიკის უზენაესი მიზნიდან — ემსახუროს ადამიანს და მის კეთილდღეობას (ანუ ადამიანების იმ მასას, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს — ნ.ქ)“.

შემდგომი კითხვები გამომდინარეობს წინა კითხვის პასუხისგან და ეს პროცესი ჯაჭვური ხასიათისაა, ამიტომაა, რომ ეკონომიკური მეცნიერება უსასრულოა, ისევე, როგორი ადამიანის მიერ დასმული კითხვები.

ქართული სახელმწიფოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და თანმდევი პოლიტიკური პრობლემების დეტალურად შესწავლის შემდეგ ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ სამყაროს ერთპოლუსიანი მართვის არსებული მოდელი შეიცვლება; რომ ეს მოდელი „მალე დაკარგავს მართვის ფუნქციებს“ და ამის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიც გახდება, რომ ადამიანებს მობეზრდებათ ერთფეროვნება.

ავტორი ხშირად უბრუნდება მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გლობალიზაციის როლს და აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია კვლავ შეასრულებს განმსაზღვრელ როლს და ამ პროცესში ნაციონალური სახელმწიფოები ასპარეზიდან არ გავლენ და ახალ გარემოში ადეკვატურ ფუნქციას შეიძენენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას წარმოადგენენ, საკუთარ ელფერს შესძენენ განვითარების გლობალურ პროცესს“. **ავტორი მეთოდურად უახლოვდება ძირითად სათქმელს: „მომავალში, მსოფლიოში უნდა დადგეს პლანეტის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში არა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ამოცანა, არამედ ისეთი პოტენციალის ამოქმედების აუცილებლობაც, როგორიცაა შექმნილი დოვლათის უფრო ზომიერად განაწილება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის.** შეზღუდული საგაზეთო ფორმატიდან გამომდინარე, შევძელი, მკითხველისთვის გამეცნო აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას წიგნის მხოლოდ ზოგიერთი ფრაგმენტი, მაგრამ ამ მცირე ამონარიდებიდანაც კარგად ჩანს ავტორის აკადემიურობა, ურთულესი საკითხების გასაგებად და საინტერესოდ გადმოცემის უნარი. ამასთანავე, ეს ყოველივე კეთდება იუველირული სიფრთხილით — ისე, რომ არ მოდუნდეს და გაიფანტოს მკითხველის ყურადღება.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
აკადემიკოსი

**P.S. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას წიგნის „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“ მთლიანი ტექსტის გაცნობა მკითხველს შეუძლია ინტერნეტით, საჯარო ბიბლიოთეკაში და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, მისამართზე: ივ.ჯავახიშვილის ქ. 51.**

**„ხელისუფლებაში მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც მინიმალური ცხოვრებისეული გამოცდილებაც კი არ აქვს, რომელიც ჩამოყალიბდა მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტილ იდეებზე. დაირღვა საზოგადოებრივი წონასწორობის ფაქტორი: უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შედეგად კი მივიღეთ პოლიტიკური პარტიების (და არა მხოლოდ მათი) ზღვარგადასული დაპირისპირება, მუდმივად აჯანყებასა და არეულობაზე ორიენტირებული, გაუნათლებელი ადამიანების პარლამენტარობა, ყველა რჯულის ავანტიურისტის გაპოლიტიკოსება, ე.წ. გარედან დაფინანსებული არასამთავრობოების დიქტატურა, ევროკავშირისა და სხვა უცხოელი „პარტნიორების“ დიქტატი და კიდევ ათასი უბედურება“**

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მოციქულებმა ერთხმად აირჩიეს მართალი იაკობი იერუსალიმის პირველ ეპისკოპოსად. სრულყოფილი საქმისა და თეორიის ყველა სათნოებაში, იაკობი მარტოდმარტო შედიოდა ახალი აღთქმის წმიდათა წმიდაში, არა თუ წელიწადში ერთხელ, როგორც ამას იუდეველთა მღვდელმთავარი იქმოდა — არამედ ყოველ დღე, რათა აღესრულებინა წმიდა საიდუმლო.**

# წმიდა მოციქული იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა

**გადმოცემის თანახმად, წმიდა მოციქული იაკობი თან ახლდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, როცა იგი ჰეროდეს რისხვას განერიდა და ყრმა იესოსთან და იოსებთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა. სიყმაწვილიდანვე იაკობი ნაზორეველი იყო (ნაზორეველობა უფლის მიერ ოდესღაც მთელი ისრაელისთვის აღთქმულ წმიდა და უბიწო ცხოვრებას ნიშნავდა). წმინდანი ისეთი გულმოდგინე მლოცველი იყო, რომ ხშირი მეტანიებისგან კანი მუხლისთავებზე აქლემის ტყავივით გაუუხეშდა. ასეთი კეთილმსახური ცხოვრებისათვის მთელი ერი იაკობს მართალს ეძახდა. იუდეველთა უხუცესებს შორისაც ნეტარი ისეთი პატივით სარგებლობდა, რომ მღვდელმთავარმა მას ერთადერთს მისცა იერუსალიმის ტაძრის შიდა ნაწილში — წმიდათა წმიდაში შესვლის უფლება, სადაც უფლის რჩეული ლოცვისთვის განმარტოვდებოდა ხოლმე. როცა მაცხოვარმა ცათა სასუფევლის შესახებ ქადაგება დაიწყო, წმიდა იაკობმა ირწმუნა განკაცებული ძე ღვთისა და მის სამოცდაათ რჩეულ მოწაფეთა შორის შეირაცხა. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ წმიდანი უფლის განსაკუთრებული გამოცხადების ღირსი შეიქნა (1 კორ. 15,7). გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტიანთა ეკლესიის სვეტად (გალ. 2,9) მიჩნეული მოღვაწე დაადგინეს იერუსალიმის პირველ მღვდელმთავრად. იგი ხელმძღვანელობდა მოციქულთა პირველ კრებას იერუსალიმში, სადაც მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.**

წმიდა იაკობი გახლდათ მარიამის საქმროს – იოსების ძე პირველი ქორწინებიდან. იგი უფლის მიერ კურთხეულ იქნა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც დედის მუცელში იმყოფებოდა. იაკობი იმდენად მართალი იყო თავისი ცხოვრებით, რომ მას ყველა ებრაელი „მართალს“ და „ობლიას“ უწოდებდა, რაც ებრაულ ენაზე „ხალხის საყრდენს (ბურჯს)“ და „სამართლიანობას“ ნიშნავს. ჯერ კიდევ ბავშვობიდან, იაკობი მკაცრ, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. არ სვამდა ღვინოს და არც სხვა მაგარ სასმელს არ ეკარებოდა. ბაძავდა რა იოანე ნათლისმცემელს, არასდროს იღებდა ისეთ საკვებს, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების სურნელს ატარებდა. იაკობს თავზე სამართებელი არასდროს გადაესვა, როგორც ამას ავალდებულებდა კანონი ყველა იმ ადამიანს, რომელსაც კი სურდა თავი უფლისთვის მიეძღვნა. არასდროს ებანავა და არ ეცხო ზეთი, სამაგიეროდ, სხეულის ნაცვლად, გამუდმებით ზრუნავდა თავის სულზე.

საეკლესიო გადმოცემით, წმინდა იაკობი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იოსაფატის ღელის ერთ-ერთ მღვიმეში იყო განმარტოვებული და აღთქმაც ჰქონდა დადებული, მანამდე არ მიეღო საზრდო, სანამ უფალი იესო ქრისტე არ აღსდგებოდა და არ გამოეცხადებოდა მას.

**იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მოციქულებმა ერთხმად აირჩიეს მართალი იაკობი იერუსალიმის პირველ ეპისკოპოსად. სრულყოფილი საქმისა და თეორიის ყველა სათნოებაში, იაკობი მარტოდმარტო შედიოდა ახალი აღთქმის წმიდათა წმიდაში, არა თუ წელიწადში ერთხელ, როგორც ამას იუდეველთა მღვდელმთავარი იქმოდა – არამედ ყოველ დღე, რათა აღესრულებინა წმიდა საიდუმლო. სელის ქსოვილით შემოსილი სრულიად მარტო მიდიოდა ტაძარში და საათების განმავლობაში მუხლმოყრილი შესთხოვდა უფალს ხალხისა და სამყაროს გადარჩენისათვის.**

წმიდა იაკობი წინ უძღვოდა აპოსტოლურ სინოდს და, როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ საკითხს – უნდა შეესრულებინათ თუ არა წინადაცვეთის რიტუალი მის თანამემამულეებს, რომლებიც ქრისტიანულ სარწმუნოებას შესდგომოდნენ, მისი მოსაზრება იყო, რომ არ დაეტვირთათ ახლადმოქცეულნი ძველი კანონის მითითებებით, არამედ „მიწერად მათდა, რაითა განეყენნენ იგინი ჭამად ნაზორევისაგან კერპთაისა და სიძვისაგან“ (საქმე 15, 20). გარდა ამისა, **წმიდა იაკობმა შეადგინა ეპისტოლე, რომელმაც მისი სახელი წმიდა წერილში შეიტანა. სწორედ ამ ეპისტოლეში იგი აღნიშნავს იმ ადამიანების საყურადღებოდ, რომლებიც ღმერთს ბოროტების მიზეზადაც მიიჩნევდნენ.**

ამასთანავე წმიდა იაკობი მოუწოდებს ქრისტიანებს, რომ თავიანთ სარწმუნოებაზე საუბრის დროს არ შემოიფარგლონ მხოლოდ იესო ქრისტეზე საუბრით, არამედ თავიანთი რწმენა სიკეთის სამსახურში ჩადენილი საქმეების მეშვეობით გამოამჟღავნონ: **„რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“** *(იაკობ 2, 26).* წმიდა იაკობი ასევე უამრავ რჩევა-დარიგებას იძლევა იმ მიზნით, რომ ადამიანმა შეძლოს ღმრთისთვის სასურველი ცხოვრების გზის გავლა და უფლის მიერ ბოძებული სიბრძნის მოპოვება. გვასწავლის, თუ როგორ უნდა შევძლოთ უფლის ყველა წყალობის შეცნობა: „ნუ სცთებით, ძმანო ჩემნო საყუარელნო! ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევისა აჩრდილ“ *(იაკობ 1, 16-17).* ამასთან ერთად, **წმიდა იაკობმა შეადგინა საღმრთო ლიტურგია, რომელიც ატარებს მის სახელს და რომელიც წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა ღმრთისმსახურებისთვის პირველწყაროს.**

ქრისტეს შობიდან დაახლოებით 62 წელს, იუდეველთა მმართველ **ფესტოსის** სიკვდილის შემდეგ, რეგიონი უწესრიგობამ და ანარქიამ მოიცვა. ებრაელებმა, რომლებმაც მანამდე ვერ აღასრულეს თავიანთი მცდელობა და ვერ მოკლეს პავლე *(საქმე 25-26),* ახლა იაკობისკენ მიმართეს მზერა, რადგან მისმა, როგორც მართალი ადამიანის, სახელმა ხალხი მისი ქადაგების მიმართ ნდობით განაწყო. მრავალმა ადამიანმა, მათ შორის, როგორც უბრალო მოსახლეობამ, ისე უხუცესებმა მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება. მწიგნობარნი და ფარისეველნი შიშობდნენ, რომ სულ მალე ყველა ერთხმად აღიარებდა იესო ქრისტეს, როგორც მესიას.




**ნეტარის მოწამეობრივმა სიკვდილმა ებრაელებზე ისეთი დიდი გავლენა იქონია, რომ ეს ომი, მის შემდგომ დაწყებული ბრძოლა რომაელებთან (66-70 წწ.) და მათი თანმხლები უბედურებანი ამ ცოდვისათვის სასჯელად მიიჩნიეს**

მწიგნობარნი და ფარისეველნი წარდგნენ იერუსალიმის ეპისკოპოსის წინაშე, ფარისევლურად და თვალთმაქცურად შეასხეს ხოტბა მის სათნოებასა და სამართლიანობის გრძნობას. მათ ეპისკოპოსს ამგვარი სიტყვებით მიმართეს: „გევედრებით შენ, სამართლიანსა და მიუკერძოებელს, რათა დაარწმუნოთ ხალხი, რომლებიც მალე შეიკრიბებიან აღდგომის აღსანიშნავად, რომ ისინი არ დამორჩილდნენ იმ შეცდომას, რომელიც იესოს პიროვნებას შეეხება. გევედრებით, რომ დადგეთ ტაძრის ფრთაზე, ისე რომ მთელმა ხალხმა შესძლოს თქვენი დანახვა და თქვენი ხმის მოსმენა და რა თქმა უნდა, იმ თანამემამულეებმაც, რომლებიც იქ დღესასწაულისათვის შეიკრიბებიან“.

როდესაც იაკობი ავიდა და დადგა ტაძრის ფრთაზე, მწიგნობარნნი და ფარისეველნნი ხალხის რიგებში იდგნენ და იქიდან უყვიროდნენ მას: „გვითხარი ჩვენ, სამართლიანო მსაჯულო, რისი უნდა გვწამდეს, რომ ხალხი გზას არის აცდენილი და სწამს ჯვარზე გაკრული იესოსი, გაგვიმჟღავნე, თუ ვინ არის ეს იესო“. მაშინ იაკობმა ჟღერადი ხმით უპასუხა: „რატომ მეკითხებით ადამიანის ძეზე? ის ახლა ზეცაშია დაბრძანებული, თავისი ყოვლისმპყრობელი მამის მარჯვნივ. იგი კვლავ მოვა ჩვენთან ღრუბლებზე მჯდომარე, რათა სამართლიანად განსაჯოს მთელი ქვეყნიერება“.

ხალხში მრავალი ისეთი ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაც სწამდა იაკობის სიტყვებისა და მათ ხმამაღლა შესძახეს: „ოსანა დავითის ძეს!“. მაგრამ ამ დროს, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა გამოაჩინეს თავიანთი ეშვები და შესძახეს: „თუმცა არის სამართლიანი, მაგრამ იტყუება“! აცვივდნენ ტაძრის ფრთაზე და ძირს ჩამოაგდეს წმიდა იაკობი, რათა აღესრულებინათ ესაია წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „შევკრათ მართალი, რამეთუ ძნელ სახუმეველ არს ჩუენდა. აწ სადმე ნაშრომთა საქმეთა მათთასა ჭამდენ“ *(ესაია წინასწარმეტყველი 3, 10).* მიუხედავად იმისა, რომ იაკობი საკმაოდ მაღალი ადგილიდან ჩამოვარდა, იგი მაინც ცოცხალი გადარჩა. მაშინ კი იუდეველებმა ქვები დაუშინეს მას. წმიდანი წამოდგა და მუხლმოყრილმა შეჰღაღადა უფალს, მსგავსად იესო ქრისტესი და წმინდა სტეფანელი *(ლუკა 23, 34; საქმე 7, 59-60):* **„ხოლო იესუ იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.**

სწორედ იმ დროს, როდესაც წმიდა იაკობი ლოცულობდა თავისი მდევნელებისა და მოძალადეებისათვის, ხალხის ბრბოდან გამოსულმა ერთ-ერთმა იუდეველმა, რომელიც ძალიან განერისხებინა სამართლიანი იაკობის ესოდენ დიდი და ურყევი სიყვარულის ხილვას, აიღო ხის დიდი ჯოხი, რომლითაც მაშინ ნაჭრებს აშრობდნენ, და ჩაარტყა წმიდანს თავში. აი, ამგვარად ეწამა მართალი იაკობი უფალი იესო ქრისტეს, ჩვენი მხსნელის რწმენისათვის. იგი იქვე, ტაძართან ახლოს, დაკრძალეს. **იმდენად დიდი იყო იაკობის სათნოებათა სახელი, რომ ყველაზე სკეპტიკურად მოაზროვნე ებრაელიც კი ფიქრობდა, რომ სწორედ მისი მოწამეობრივი სიკვდილი გახდა მიზეზი იმისა, რომ ქრისტეს შობიდან 70 წელს, იერუსალიმი ალყაშემორტყმმული და განადგურებული იქნა.**

წმიდანის ქადაგების გავლენით მრავალი ებრაელი მოექცა ქრისტიანობაზე. ყოველივე ამან შური და გულისწყრომა აღძრა იუდეველ უხუცესებში, რომელთაც უფლის რჩეულის დაღუპვა განიზრახეს. ერთხელ, როცა რომაელი მმართველი იერუსალიმიდან გავიდა, ქრისტეს მტრებმა ისარგებლეს შემთხვევით, მღვდელმთავარი იაკობი ძალით აიყვანეს ტაძრის გუმბათზე და მოსთხოვეს, პასექთან დაკავშირებით შეკრებილი ერის წინაშე უარეყო ქრისტე. მათი მოთხოვნის საპირისპიროდ, წმიდანმა ახოვნად იქადაგა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა. მაშინ მრავალმა იქ მყოფმა ირწმუნა მაცხოვარი, მწიგნობრები და ფარისევლები კი უკვე ნანობდნენ თავიანთ საქციელს: „შევცდით, რომ ყველასგან პატივდებულ მოსაგრეს ასე დავამოწმებინეთ ქრისტე“. ისინი გააფთრებით მიეჭრნენ წმიდა მამას და ძირს ჩამოაგდეს, მიწას დანარცხებული და სასიკვდილოდ დაშავებული წმინდა იაკობი უცებ არ გარდაცვლილა. მან უკანასკნელი ძალების მოკრებით მუხლი მოიყარა და მხურვალედ შესთხოვა უფალს, შეენდო მისი მტრებისათვის. ულმერთოებმა ქვები დააყარეს მარტვილს. ერთი ქვა მას თავში მოხვდა და სიცოცხლე მოუსწრაფა. ეს მოხდა იუდეველთა ომის დაწყებამდე (62-66 წლებს შორის) ცოტა ხნით ადრე, როცა იაკობ მოციქული ოთხმოცდათექვსმეტი წლისა იყო. **ნეტარის მოწამეობრივმა სიკვდილმა ებრაელებზე ისეთი დიდი გავლენა იქონია, რომ ეს ომი, მის შემდგომ დაწყებული ბრძოლა რომაელებთან (66-70 წწ) და მათი თანმხლები უბედურებანი ამ ცოდვისათვის სასჯელად მიიჩნიეს.**

მართლმადიდებელმა ეკლესიამ მისი ხსენების დღედ 5 ნოემბერი დააწესა.

წმიდა მოციქულ იაკობს ეკუთვნის ახალი აღთქმის კათოლიკე ეპისტოლე. მასვე მიეწერება შექმნა საღვთო ლიტურგიის ტიპიკონისა, რომელიც საფუძვლად დაედო ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებს. ზოგი ცნობით, წმიდა მოციქულის ნაწილები რომში, თორმეტი მოციქულის ტაძარში ინახება. ზოგი მათგანი 1853 წელს ალექსანდრიელ პატრიარქ იეროთეოსს მოსკოვში გაუგზავნია.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 2003 წ.**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინი პუჰს ჰქვია არა ვინი, არამედ ედვარდი, სახელდობრ, ასე დაარქვეს დათვის ბელს, როცა ის მაღაზიიდან შინ მიიყვანეს. ვინი „პუჰი“ (WINNIL - THE - POOH) — ეს მეტსახელია, რომელიც კრისტოფერ რობინმა, მწერალ ალან ალექსანდრე მილნის ვაჟმა, მოუგონა ბელს ზოოპარკში ნანახი დედა დათვის, ვინიპეგის, პატივსაცემად.**

# 9 საოცარი ფაქტი წიგნის შესახებ

**როგორ არის ვინი პუჰის სრული სახელი? რატომ ყვება ზღაპრებს შეჰერაზადა? როგორ დაეხმარნენ ჰარკერ ლის მეგობრები, გამხდარიყო სახელგანთქმული მწერალი? რომელი წიგნის პერსონაჟით იყო აღფრთოვანებული ჯოკერის პერსონალი? გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს წიგნის შესახებ.**



## 130 მლნ-ზე მეტი წიგნი

ოდესმე დაფიქრებულხართ, რამდენი წიგნია გამოცემული? Google-ის მონაცემებით, დაახლოებით 130 მლნ და ეს წიგნები ნამდვილად ვერ მოთავსდება თქვენს თაროებზე.



## ვინი პუჰის სახელი და გვარია ედვარდ დათვი

ვინი პუჰს ჰქვია არა ვინი, არამედ ედვარდი, სახელდობრ, ასე დაარქვეს დათვის ბელს, როცა ის მაღაზიიდან შინ მიიყვანეს. ვინი „პუჰი“ (Winnil - the - Pooh) — ეს მეტსახელია, რომელიც **კრისტოფერ რობინმა,** მწერალ **ალან ალექსანდრე მილნის** ვაჟმა, მოუგონა ბელს ზოოპარკში ნანახი დედა დათვის, ვინიპეგის, პატივსაცემად. რაც შეეხება გვარს, წიგნში ალან ალექსანდრე მილნი იყენებს სიტყვა Bear-ს — დათვს. გამოდის, რომ ვინი პუჰის სრული გვარ-სახელია **ედვარდ „ვინი პუჰ“ დათვი.**



## ბრაზილიელ ტუსაღებს შეუძლიათ, პატიმრობის ვადა წიგნების წაკითხვით შეიმცირონ

ბრაზილიელ ტუსაღებს შეუძლიათ, ციხეში ყოფნის ვადა წიგნების კითხვით შეიმცირონ — თითოეულ წაკითხულ წიგნზე პატიმრობის ვადა 4 დღით მცირდება (სულ წელიწადში — 48 დღით), ოღონდ პატიმარმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან მართლა წაიკითხა წიგნი, ამისთვის კი უნდა დაწეროს ანგარიში თავისი შთაბეჭდილებების შესახებ.



## მეგობრებმა ჰარპერ ლის აჩუქეს მისი წლიური ხელფასის ოდენობის თანხა, რათა შვებულებაში გასულიყო და რომანი დაეწერა

შობის დღესასწაულზე ჰარპერ ლიმ მეგობრებისგან მოულოდნელი საჩუქარი მიიღო — თანხა, რომელიც მისი წლიური ხელფასის ტოლი იყო. ამან შესაძლებლობა მისცა ჰარპერს, აეღო ხანგძლივი შვებულება და დაკავებულიყო სამწერლო მოღვაწეობით, რაზეც ის ოცნებობდა. 1960 წელს ჰარპერ ლიმ შექმნა მსოფლიოში პოპულარული რომანი „ნუ მოკლავ ჯაფარას“ (ინგ. To kill a Mockingbird).




## ყველაზე ძვირად ღირებული წიგნი 35 მლნ დოლარი ღირს

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული წიგნი არის მორმონის წიგნის მანუსკრიპტი. ეს წიგნი 2017 წელს 35 მლნ დოლარად იყიდა უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიამ. ყველაზე ძვირად ღირებული წიგნების სიაში მეორეა ლესტერის კოდექსი — **ლეონარდო და ვინჩის** სამეცნიერო ჩანაწერების რვეული, რომელიც 1994 წელს გამართულ „კრისტის“ აუქციონზე 30,8 მლნ დოლარად შეიძინა ბილ გეიტსმა.



## ჯოკერის პერსონაჟი ალაფრთოვანა გუინპლენმა ვიქტორ ჰიუგოს წიგნიდან „კაცი, რომელიც იცინის“

ჯოკერის პერსონაჟი კომიქსებიდან, მოგვიანებით კი ბეტმენზე გადაღებული ფილმებიდან აღფრთოვანებული იყო ვიქტორ ჰიუგოს მიერ 1869 წელს დაწერილი წიგნის „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟ გუინპლენით, რომელსაც ბავშვობაში პირი ისე დაუზიანეს, რომ სახეზე სულ შეყინული ჰქონდა სიცილი.



## შეჰერაზადა თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ზღაპრებს ყვება

არაბული წიგნის „ათას ერთი ღამის“ გმირი, მთხრობელი შეჰერაზადა მეფე შაჰრიარს ამბებს უყვება, რათა მან შეწყვიტოს ყოველ დილას ქალწულზე დაქორწინება, ხოლო დღის ბოლოს ცოლის მკვლელობა. შეჰერაზადას გაცნობამდე მეფემ საიქიოში გაგზავნა 1000 ცოლი, შეჰერაზადა კი შემდეგი უნდა ყოფილიყო.




## წიგნი „რაზე ფიქრობს ყველა მამაკაცი სექსის გარდა“ 200-გვერდიანია და ყველა გვერდი — ცარიელი

წიგნი სახელწოდებით „რაზე ფიქრობს ყველა მამაკაცი, სექსის გარდა“, რომელიც ბრიტანელმა **შერიდან სიმოკმა** გამოსცა, 200 ცარიელი გვერდისგან შედგება.




## შიშს, რომ წასაკითხი აღარაფერი გექნებათ, აბიბლიოფობია ეწოდება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**მატჩებისა და პრესკონფერენციებისას არაეთიკური გამონათქვამების გამო არავინ იმდენჯერ არ დაჯარიმებულა, რამდენჯერაც რონი ო'სალივანი. ამასთანავე, ხშირად მისი საქციელი უპროგნოზოა: მატჩზე თეთრი სპორტული ფეხსაცმლით მისულა, დემონსტრაციულადაც შეუკრავს ფეხსაცმლის თასმები სნუკერის მაგიდაზე... და ამიტომაც უყვარს სნუკერის გულშემატკივრებს.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სნუკერის ლეგენდა

**თუ გსმენიათ სნუკერის შესახებ, ე.ი., გსმენიათ რონი ო'სალივანზეც, სწორედ ის არის სნუკერი. ბილიარდის ყველაზე პოპულარული სახეობის, სნუკერის, ინგლისელი დიდოსტატი 37 წლის განმავლობაში იყო საუკეთესოთა შორის. ბოლოს 2020 წელს მეექვსედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.**









რონი ო'სალივანი დაიბადა 1975 წლის 5 დეკემბერს ქალაქ უორდსლიში (დასავლეთ მიდლენდის საგრაფო, ინგლისი), მისი ბაბუა ცნობილი მოკრივე იყო, მამა (მისი სეხნია) — ფეხბურთელი, ჰყავს 4 წლით უმცროსი და.

რონი 7 წლის იყო, როცა სნუკერმა გაიტაცა. მამამ დაინახა, რომ შვილი ბიძასთან სტუმრობისას დიდი ინტერესით უყურებდა სნუკერის პარტიას და შობის დღესასწაულზე შვილს სნუკერის მაგიდა აჩუქა. რონი მას შემდეგ თამაშობს.

13 წლისამ მოიგო დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი იუნიორებს შორის, 16-ისა კი გახდა პროფესიონალი, მაგრამ იმ წელს, როცა ო'სალივანმა უმაღლეს დონეს მიაღწია, მამა დაუპატიმრეს. 1995 წელს დედის დაპატიმრების შემდეგ კი რონი მოზარდ დასთან ერთად დიდ სახლში მარტო დარჩა.

„როცა 17 წლის ვიყავი, ერთდროულად მყავდა ათამდე გოგონა — ფრანგი, რუმინელი... ძირითადად, სნუკერის ფანატები. ისე, მე ცუდ ბიჭად ვითვლებოდი, ნაწილობრივ თამაშის მანერის, ნაწილობრივ ჩემი ოჯახის ისტორიის გამო", — ამბობს რონი ო'სალივანი ერთ-ერთ ინტერვიუში. დედის დაპატიმრებით გამოწვეული განცდების მიუხედავად, რონიმ ერთი კვირაში შინ წვეულება მოაწყო: „დილით, როცა გავიღვიძე, სახლი დავათვალიერე, ყველგან ეყარა ლუდის ბოთლები, სიგარეტის ნამწვებისგან ყველაფერი გაშავებული იყო, სახლი დაბომბილს ჰგავდა".

7 თვის შემდეგ დედა გაათავისუფლეს, მაგრამ ძალიან მალე რონი თვითონ აღმოჩნდა ციხეში. მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას მან ჩხუბი აუტეხა მსაჯ **ლენ გენლის** ვაჟს — **მაიკს** (ამჟამად ის სნუკერის ტურნირების ორგანიზატორად მუშაობს). ლენ გენლი იმის გამო დასცინოდა რონი ო'სალივანს, რომ მამამისი ციხეში აღმოჩნდა. მაიკი, რომელიც იმ ჩემპიონატზე პრესსამსახურში მუშაობდა, შეეცადა, რონის მწვრთნელი მოთამაშეთა ოთახიდან გაეძევებინა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯინსი ეცვა. სალივანს, როგორც იტყვიან, გონება გადაეკეტა და მაიკს რამდენჯერმე უთავაზა თავში. შემდეგ კი, რომ არ დაეჭირათ, ოთახიდან გაიქცა. რონის ფულადი ჯარიმის გადახდა არ აკმარეს და პირობითი სასჯელიც შეუფარდეს. ის დღე ძალიან დატვირთული აღმოჩნდა რონისთვის, ჩხუბის შემდეგ შეიტყო, რომ მალე მამა გახდებოდა.

## ქალები, შვილები და ნარკოტიკები

ო'სალივანი 1 წლის განმავლობაში ხვდებოდა **სალი მაგნუსს,** მაგრამ მანამდე დაშორდნენ, სანამ ქალი შეიტყობდა, რომ ფეხმძიმედ იყო. ახალ ამბავს რონი არ გაუხარებია: „ეს დაგეგმილი არ გვქონია, რადგან ჩვენი ურთიერთობა შემთხვევითი იყო, მაგრამ სალიმ გადაწყვიტა, ბავშვი გაეჩინა. მე არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. დეპრესიაში ჩავვარდი. სალიმ გოგონას ტეილორი დაარქვა და მე დავიწყე მათთვის ალიმენტის გადახდა. ისინი მალე წავიდნენ".

მიუხედავად იმისა, რომ სალიმ და ტეილორმა ლონდონი დატოვეს, ო'სალივანს მათზე ზრუნვა არ შეუწყვეტია: უყიდა სახლი, ყოველ კვირას უგზავნიდა ფულს, მაგრამ ბავშვთან ურთიერთობა, თავდაპირველად, არ სურდა. რონი იმარჯვებდა სნუკერში, მაგრამ რეჟიმის დაცვით თავს მაინცდამაინც არ იზღუდავდა: სვამდა, ეწეოდა მარიხუანას, გასუქდა. 2000-ში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა და სარეაბილიტაციო კურსი გაიარა ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში. სწორედ იქ გააცნობიერა, რომ სურს, გაიცნოს თავისი ქალიშვილი. სალი წინააღმდეგი იყო.

„კინაღამ გავგიჟდი, როცა ტეილორი დავინახე, მასში ჩემი თავის ნაწილს ვხედავდი — როგორც მე, მას ვერავინ ვერაფერს უბრძანებს. მაგრამ ვხვდებოდი, რომ იქ არასასურველი სტუმარი ვიყავი, ამიტომ გადავწყვიტე, მათ გავრიდებოდი. ჩემი შვილი გაიზრდება და ყველაფერს თვითონ გადაწყვეტს", — თქვა რონიმ, მაგრამ შემდეგ შვილს იშვიათად ნახულობდა.

2018-ში ტეილორს გოგონა ეყოლა და რონიმ განაცხადა, რომ შეეცდება, მოაგვაროს შვილთან ურთიერთობა, რადგან ძალიან სურს შვილიშვილის გაცნობა და მის აღზრდაში მონაწილეობა.

* * *

2000-ში ო'სალივანმა გაიცნო **ჯო ლენგლი** და წყვილმა ერთად ცხოვრება დაიწყო. 2006 წელს ქალმა მას ორი შვილი გაუჩინა — **ლილი ჯო** და **რონი-უმცროსი.** მათი ქორწინება 8 წლის შემდეგ დასრულდა. მიზეზი ჯოს ჭირვეულობა იყო, რომელსაც სურდა, რონის ბილიარდისთვის თავი დაენებებინა და მეტი ყურადღება დაეთმო ოჯახისთვის. 2008 წელს რონი და ჯო განქორწინდნენ. რონი, ყოველ ჯერზე, როცა პრობლემები ექმნებოდა, ნარკოტიკებს უბრუნდებოდა, ასე მოხდა ჯოსთან დაშორების შემდეგ. ყოველ ხუთშაბათს 22 საათიდან დილის 7 საათამდე ეწეოდა მარიხუანას, სვამდა არაყს და თამაშობდა ნარდს, შემდეგ კი დარბოდა.

დროსტარებისა და ადვოკატებთან ალიმენტის გამო ნერვების გლეჯვის მიუხედავად, რონი ბილიარდის მაგიდასთან უმაღლესი დონის ოსტატობას ავლენდა. 2008 წელს მოიგო დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი, შემდეგ — მსოფლიო ჩემპიონატი და სწორი დასკვნები გამოიტანა უფროს ქალიშვილთან მძიმე ისტორიიდან. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა შვილებთან, რომლებიც ჯომ გაუჩინა. ახლა ისინი ზოგჯერ ესწრებიან კიდეც მამის გამოსვლებს.

2013 წელს რონიმ იქორწინა **ლეილა რუასთან.** მასთან ჰყავს ქალიშვილი — **ინეზი.**

## ყოველ წელს ამბობს, რომ თავსანებებს სპორტს, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ თამაშობს

არც ერთ სპორტსმენს იმდენჯერ არ განუცხადებია სპორტისთვის თავის დანებების შესახებ, რამდენჯერაც რონი ო'სალივანს. 1991 წელს, როცა სულ ახალი მოპოვებული ჰქონდა პროფესიონალის წოდება, თქვა, რომ მალე დატოვებდა სნუკერსს. მას შემდეგ ეს მან კიდევ 7-ჯერ გააკეთა.



რონი ო'სალივანი შვილებთან — ლილი ჯოსა და რონი-უმცროსთან ერთად

## ხულიგნობს თამაშისას: იხდის ფეხსაცმელს, თავს იპარსავს შესვენებაზე, კინკლაობს მეტოქეებსა და მსაჯებთან

რონი ო'სალივანს ჩახლართული ურთიერთობა აქვს სნუკერთან. ის სპორტის ამ სახეობის სახეა, მაგრამ World Snooker-ის (მთავარი ორგანიზაცია) ბოსებს ძალიან უჭირთ სკანდალურ ვარსკვლავთან ურთიერთობა.

მატჩებისა და პრესკონფერენციებისას არაეთიკური გამონათქვამების გამო არავინ იმდენჯერ არ დაჯარიმებულა, რამდენჯერაც რონი ო'სალივანი. ამასთანავე, ხშირად მისი საქციელი უპროგნოზოა: მატჩზე თეთრი სპორტული ფეხსაცმლით მისულა, დემონსტრაციულადაც შეუკრავს ფეხსაცმლის თასმები სნუკერის მაგიდაზე... და ამიტომაც უყვარს სნუკერის გულშემატკივრებს.

2016 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას რონი ო'სალივანს ნერვული აშლილობა დაემართა და ისე გამოიფიტა, რომ 4 დღე საავადმყოფოში გაატარა. ო'სალივანს შეიძლება გავუგოთ — დღეს ის საკულტო მოთამაშეა, რომელსაც გულშემატკივრები აღმერთებენ. ის ძალიან დიდხანს თამაშობდა ამ როლს და დაიღალა ორგანიზატორებთან და საკუთარ თავთან ბრძოლით. **„ძალიან რთულია, იყო სნუკერის მთავარი სახე. ყველას ყურადღება ჩემკენაა მოპყრობილი, ყველა რაღაცას ელის ჩემგან, თვითონ მეც კი".**

თუ მართლა დაანებებს სნუკერს თავს, ო'სალივანს აქვს შესაძლებლობები, სხვა გზას დაადგეს — წერს წიგნებს და არა მხოლოდ ბიოგრაფიულს. **ემლინ რისთან** თანაავტორობით გამოსცა სამი კრიმინალური რომანი, 2019 წელს კი — წიგნი კვებაზე. კიდევ ერთი გატაცება არის სირბილი. ის ყოველდღე დარბის და ამბობს, რომ სირბილი დემონებთან ბრძოლაში ეხმარება. ტელევიზიებიც დაინტერესებულნი არიან ო'სალივანით, „ვერისპ-რატის" ეთერში გადიოდა „რონი ო'სალივანის შოუ". პლუს მას ტელეეთერში ხშირად იწვევენ, როგორც ექსპერტს.

## რონი ო'სალივანის მიღწევები

*** 6-გზის მსოფლიო ჩემპიონი (2001, 2004, 2008, 2013, 2020);**

*** 7-გზის მასტერსის ჩემპიონი (1995, 2005, 2007, 2009, 2014 , 2016, 2017);**

*** დიდი ბრიტანეთის 7-გზის ჩემპიონი;**

*** 37-ჯერ მოიგო ყველაზე რეიტინგული ტურნირი;**

*** დაჯილდოებულია ბრიტანეთის იმპერიის ორდენით.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




# «მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე» — ვიქტორ რცხილაძის ახალი თარგმანები

**ადამიანს, მათ შორის, არამორწმუნეს, ოდითგანვე აფიქრებდა სიკვდილისა და უკვდავების თემა, თუმცა უმრავლესობა ადამიანის ყოფის ამ მთავარ საკითხს არ ულრმავდება, გაურბის საეკლესიო მამების სწავლებათა კითხვას.**

**ვიქტორ რცხილაძე,** დიდი ხანია, ილვწის საიმისოდ, რომ თანამედროვე ადამიანი დაინტერესდეს რწმენის საკითხებით, ეძებოს გზა რწმენისკენ. ამ მიზნით იგი თარგმნის ახალი ეპოქის ავტორებს — ფილოსოფიისა და თეოლოგიის კორიფეებს, რომლებიც თანამედროვე ენით წერდნენ.

ამჯერადაც, გამომცემლობა Carpe diem-მა დასტამბა ვიქტორ რცხილაძის თარგმანების ახალი კრებული, რომელიც სწორედ უკვდავების საკითხებს შეეხება. კრებულს ასე ეწოდება: „მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე“ და შედგება შემდეგი ავტორებისაგან: **რომანო გუარდინი, ვოლფჰარტ პანენბერგი, გეორგ ზიმელი, ანტონ ნოიჰოიზლერი და ნიკოლაი ლოსკი.**

კრებულის შეძენა შესაძლებელია თბილისში, რუსთაველის გამზირის 16 ნომერში, ასევე წიგნის მაღაზიებში: „პარნასი“, „ლატერნა“ და ილიას უნივერსიტეტის წიგნის სახლში.



# ხორვატიის ყოფილ პრემიერს 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**ხორვატიის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრემიერმინისტრ ივო სანადერს კორუფციის საქმეზე 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

სანადერი სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი კომპანია INA-ს უნგრული კომპანია MOL-ისთვის მიყიდვის სანაცვლოდ 5 მილიონი ევროს ოდენობით ქრთამის აღებაში დამნაშავედ ცნეს. ხორვატიაში MOL-ის ფილიალის ხელმძღვანელ ჟოლტ ჰერნადის დაუსწრებლად 2-წლიანი პატიმრობა მი?საჯეს.

სანადერი ხორვატიის მთავრობას 2003-2009 წლებში მეთაურობდა, შემდეგ კი თანამდებობიდან გადადგა და ავსტრიაში გაემგზავრა. აღსანიშნავია, რომ გადადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ამიტომ ავსტრიამ ის ხორვატიის ხელისუფლებას გადასცა. სანადერის სახლში სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით უკანონოდ შეძენილი ხელოვნების ნიმუშები აღმოაჩინეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სანადერმა ჯარიმის სახით 5 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს, ჯარიმა დაეკისრა მის პარტიასაც — „ხორვატიის დემოკრატიულ გაერთიანებას“. 68 წლის სანადერი უკვე იხდის სასჯელს 2008 წელს ქრთამის აღების კიდევ ერთ ფაქტზე, როდესაც მისი თანაპარტიელის საკუთრებაში არსებული შენობა ერთ-ერთმა სამინისტრომ საბაზრო ფასთან შედარებით ორჯერ უფრო ძვირად შეიძინა.

**imedinews.ge**

# ამერიკელმა სენატორმა ქვეყნის მთავარი ინფექციონისტის, ენტონი ფაუჩის, პოსტიდან გათავისუფლება მოითხოვა




**სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან — რენდ პოლმა აშშ-ის ადმინისტრაციას მოუწოდა, ვაშინგტონის მიერ უჰანის ლაბორატორიაში კორონავირუსის შესასწავლი კვლევების დაფინანსების გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლოს ქვეყნის მთავარი ინფექციონისტი ენტონი ფაუჩი.**

უფრო ადრე ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ინსტიტუტში (NIH) აღიარეს, რომ ქვეყანაში გამოყოფილი იყო თანხები მსგავსი კვლევების დასაფინანსებლად რამდენიმე სამეცნიერო ორგანიზაციაში, მათ შორის ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტში.

**„ის უნდა გათავისუფლდეს“,** — განუცხადა სენატორმა რენდ პოლმა პორტალ Axies-ის ჟურნალისტებს და ამერიკის მთავარი ინფექციონისტი სიცრუის თქმაში დაადანაშაულა. სენატორის განცხადებით, გამოსაძიებელია დაფინანსება კვლევებისა, რომლებსაც, რესპუბლიკური პარტიის წევრის აზრით, შეეძლო გამოეწვია ახალი კორონავირუსის პანდემიის აფეთქება.

თვითონ ფაუჩიმ ტელეარხ ABC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ უჰანში მუშაობა მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა და არ ყოფილა ახალი ვირუსის შექმნის მცდელობა. აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების თანამეგობრობამ ადრე აღირა, რომ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის დასადგენად, კორონავირუსი ბუნებრივი წარმონაქმნია თუ ლაბორატორიიდან გაჟონვის შედეგად გავრცელდა.

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთის ხელისუფლებამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა უჰანში (პროვინცია ჰუბეი) უცნობი პნევმონიის აფეთქების შესახებ. 2020 წელს ქვეყანაში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ აფეთქების მიზეზი იყო კორონავირუსის ახალი სახეობა. 2020 წლის 11 მარტს კი ჯანმოს ხელმძღვანელმა ტედროს ადანომ გებრეისუსმა განაცხადა, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელებას პანდემიის ხასიათი აქვს.

ორგანიზაციამ მარტში გამოაქვეყნა ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფის მოხსენება კორონავირუსის წარმოშობის გასარკვევად უჰანში ვიზიტის შესახებ, რომელშიც ვირუსის ლაბორატორიიდან გაჟონვა „ნაკლებად სავარაუდოდ“ არის მოხსენიებული.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




# «ფეისბუკის» რებრენდინგი

**„ფეისბუკის“ დამფუძნებელ მარკ ცუკერბერგის განცხადებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანია „ფეისბუკის“ სახელწოდება იცვლება და მას Meta დაერქმევა.**

ცუკერბერგის თქმით, ბრენდი Facebook-ი არ ასახავს, რით არის დაკავებული სოციალური ქსელი დღეს. „ჩვენ უფრო მეტი ვართ, ვიდრე სოციალური ქსელი, — განაცხადა ცუკერბერგმა, — კომპანია მუშაობს ვირტუალური რეალობის პლატფორმასა და სხვა ბევრ საინტერესო პროექტზე“.

ამასთანავე, თვითონ სოციალურ ქსელს კვლავაც „ფეისბუკი“ ერქმევა. WhatsApp-ი და Instagram-იც შეინარჩუნებენ სახელწოდებას.

**rg.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ბრძოლა კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ — მსოფლიო ბიზნესელიტის გამოგონილი დღის წესრიგი

**31 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში გაიმართება მსოფლიო კონფერენცია კლიმატის შესახებ. მისი ფორმალური სახელწოდებაა „გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის 26-ე სესია. ეს ყველაზე ფართო სამიტია 2015 წლის შემდეგ, როცა ანალოგიური ღონისძიება პარიზში გაიმართა.**




კონფერენცია ტარდება გაეროს ეგიდით და მასში მონაწილეობა გაეროს წევრ ყველა ქვეყანას (ასეთი კი 190-ია) შეუძლია, მაგრამ მასში არ მონაწილეობენ სამი დიდი სახელმწიფოს ლიდერები — რუსეთის, ჩინეთისა და ბრაზილიის.

ზემოაღნიშნული კონცეფცია ბევრი ეკონომისტისა და კლიმატოლოგის ეჭვს იწვევს. სკეპტიკოსების ეჭვები გაამძაფრა კლიმატის საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი მთავარი მრჩევლის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, **რეი კვონ ჩანგის,** განცხადებამ, რომ ატმოსფეროში მავნე აირების გამოყოფის ნულამდე შემცირება 2050 წელსაც ვერ მოხერხდება „ახალი მეცნიერების“ გარეშე. კონცეფცია Net Zero 2050-ის ავტორის თქმით, 2050 წლისთვის ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების ნულამდე შესამცირებლად წყალბადზე დაფუძნებულ განსაკუთრებულ „კლიმატურ ეკონომიკაზე“ გადასვლაა საჭირო. ჩანგის თქმით, წყალბადოვანი ენერგეტიკა რუსეთის მომავალია, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია და შესაძლებლობები აქვს წყალბადის მოსაპოვებლად და შესანახავად.

ბევრი ექსპერტის აზრით, თანამედროვე კლიმატური დღის წესრიგი მოგონილია და მისი ერთადერთი მიზანი არის მსოფლიო პოლიტიკური და ბიზნესელიტების გავლენის გაძლიერება და არა კაცობრიობისთვის საფრთხის თავიდან აცილება.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009